სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაკა მურვანიძე

ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმები კიბერ სამყაროში მათი მდგრადობა და ზეგავლენა ქართულ ენაზე

ახალციხე
2018

„დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე იაც ამოდისო"
გიორგი ლეონიძე

ვუძღვნი დედას ნინო მურვანიძეს
და დეიდას გულიკო ჯანოვას

ნაშრომი ეხება თანამედროვე ინგლისური ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების გზების შესწავლას, ენაში დამკვიდრებული ნეოლოგიზმების აქტუალურობისა და მღვრადობის დადგენას. ნაშრომში გაანალიზებულია ქართულ კიბერ-სივრცეში კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე. შესწავლილია ქართველი ახალგაზრდების მეტყველების თავისებურებები. ჩატარებულია კვლევა, რომელმაც გამოავლინა ქართველი ნეტიზენების მეტყველების სპონტანურობა.

ნაშრომი აგრეთვე ეხება კიბერ ენის ზოგიერთ ლინგვისტურ მახასიათებელს, რომელიც დამყარებულია თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწარმოებაზე. მაგალითებისა და კვლევების საფუძველზე ნაჩვენებია ჰაკერთა ენის თავისებურებანი და "Leet" ენის გრამატიკა, რომლებმაც შეცვალეს ენის სტილი, გრამატიკული კონსტრუქციები, სტილისტური და ფონეტიკური მახასიათებელი.

ნაშრომი გაკუთვნილია ლინგვისტებისათვის, ინგლისური და ქართული ენის პედაგოგებისათვის, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. იგი დახმარებას გაუწევს ნებისმიერ პიროვნებას, რომელიც დაინტერესებულია როგორც ინგლისურ ენაში არსებული კიბერ ნეოლოგიზმებით, აგრეთვე მათი გავლენით ქართულ ენაში წარმოქმნილი მორფოლოგიური ცვლილებების კვლევით.

რედაქტორი: **ნუგზარ სიხარულიძე** – ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

რეცენზენტები: **ქეთევან სიხარულიძე** - ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი
მარიამ შონია – განათლების მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

© სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მ. მურვანიძე, 2018
ISBN 978-9941-9488-9-3

წინასიტყვაობა

ნაშრომი ეხება თანამედროვე ინგლისური ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების გზების შესწავლას. ენაში დამკვიდრებული ნეოლოგიზმების აქტუალურობისა და მდგრადობის დადგენას. სტრუქტურული, გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებების შესწავლას. აგრეთვე განხილულია თანამედროვე სიტყვაწარმოების ძირითადი ტიპები: აფიქსაცია, კონვერსია, შემოკლება (აბრევიატურა, მოკვეცა, აკრონიმია, შეზრდა).

ნაშრომში გაანალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ კიბერ-სივრცეში, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე. შევეცადეთ შეგვესწავლა ქართველი ახალგაზრდების მეტყველების თავისებურებები. ამისათვის ვაწარმოეთ კვლევა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომელმაც გამოაელინა, ქართველი ნეტიზენების მეტყველების სპონტანურობა. გამოჩნდა, რომ ქართველი ახალგაზრდები ყოველდღიურ საუბარში ფართოდ იყენებენ ინგლისურ აბრევიატურებსა და აკრონიმებს, რომლებიც ცვალებადობას განიცდიან ქართული ენის მორფოლოგიის მიხედვით.

სწორედ ამიტომ, გადავწყვიტეთ გვეწარმეობინა კვლევა სხვადასხვა მიმართულებით. კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად, სამ ქვეყანაში აშშ, საქართველო და აზერბაიჯანი. კვლევა დაიწყო 2012 წლის იანვარში და რვა კვირის განმავლობაში გაგრძელდა. კვლევაში ნებაყოფლობით მიიღო მონაწილეობა 350 ქართველმა ახალგაზრდამ, 100 აზერბაიჯანელმა სტუდენტმა და 50 ამერიკელმა სტუდენტმა (სულ 500).

პირველ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აშშ-ს, ნებრასკის შტატის, ნებრასკის უნივერსიტეტის 50 სტუდენტი, ასაკი (20-25 წელი). მათ სოციალური ქსელ Facebook-ის მეშვეობით გავუგზავნეთ კითხვარები და ვთხოვეთ გამოეგზავნათ ის 80 აბრევიატურა/აკრონიმი (გარდა უცენზურო სიტყვებისა), რომელიც მათ გარშემო ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა, გარდა ამისა

უნდა გამოეგზავნათ ის სიტყვები, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს.

მეორე სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს მასშტაბით 16-25 წლის მოსწავლეები და სტუდენტები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ სტუდენტებსა და მოსწავლეებს სოციალური ქსელის მეშვეობით დაურიგდათ კითხვარი, რომელშიც წარმოდგენილი იყო, ნებრასკის უნივერსიტეტის გამოკითხულთა მიერ წარმოდგენილი პოპულარული აბრევიატურა/აკრონიმები განმარტებების გარეშე. კვლევა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. იცოდნენ თუ არა მოზარდებმა ინგლისურენოვანი ტერმინების ზუსტი განმარტება;

2. რა სიხშირით იყენებენ თვითოეულ მათგანს და კერძოდ რა შემთხვევებში, მაგ: წერისას, საუბრისას, სკაიპში, თუ ზოგადად სოციალურ ქსელში.;

3. სამიზნე ჯგუფს უნდა ჩამოეწერა ის ინგლისურენოვანი აბრევიატურა/აკრონიმები, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი კითხვარში და თვითონ ხშირად იყენებენ;

4. სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოედგინა ის ინგლისურენოვანი კიბერ ნეოლოგიზმები, რომლებსაც ხშირად იყენებენ ქართული ენაზე მეტყველების დროს;

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 350 ქართველი სამიზნე ჯგუფის გამოკითხულიდან არც ერთმა წარმომადგენელმა არ იცის შემდეგი აკრონიმების მნიშვნელობა: **182 - I hate You, 1432 – I Love You Too, DF - Dear Friend**; ყველაზე მაღალი სიხშირით გამოიყენება: **4ever - Forever – 140 (40%); LOL - Lauthing Out Loud/Lots Of Love – 130 (37.14%); FB-Facebook/Buddy – 80 (22.87%),** ხოლო ყველაზე ნაკლებად იყენებენ შემდეგ ტერმინებს: **HMU - Hit Me Up – 2 (0.57), PCM – Please Call Me – 3 (0.85%), Ema - E-mail Address – 5 (1.42%).**

მესამე სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აზერბაიჯანის ენათა უნივერსიტეტის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის 100 სტუდენტი (ასაკი 20-25 წელი). მათ ზუსტად იგივე კითხვარი გაეუგზავნეთ სოციალური ქსელის მეშვეობით

და ზუსტად იგივე მოთხოვნები ჰქონდათ, რაც ქართველ სტუდენტებს.

კვლევამ ცხადყო, რომ ქართველი თინეიჯერებისაგან განსხვავებით, აშერბაიჯანელმა სტუდენტებმა იცოდნენ ოთხმოცივე აბრევიატურისა და აკრონიმის განმარტება, თუმცა 50% - იო ნაკლები იყენებს მათ, ვიდრე საქართველოში.

იმისათვის, რომ უკეთესად გავიგოთ ინტერნეტ ინგლისურის ენა, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიცოდეთ როგორ იწარმოება ინტერნეტ ინგლისურის სიტყვები. ზოგადად, ინტერნეტ ინგლისურის სიტყვაწარმოება მიყვება სალიტერატურო ინგლისურის სიტყვაწარმოების მეთოდებსა და პრინციპებს. თუმცა, ამავდროულად კიბერ ენას გააჩნია უნიკალური თავისებურებები, რომელიც მთავარი მიმართულება გახდა სოციალური ქსელების ინგლისური ენის განვითარებაში. კიბერ ენამ მემკვიდრეობით მიიღო სიტყვაწარმოების ტრადიციული მეთოდები, როგორიცაა: თხზვა, აბრევიაცია და სხვ. მაგრამ ზოგიერთი ახალი სიტყვა, რომელიც მკვიდრდება, შეიქმნა განსაკუთრებულ სიტუაციებში, სწრაფად იქნა შეთვისებული ხალხის მიერ და დამკვიდრდა თანამედროვე ინგლისურში.

ჩვენ ვაწარმოეთ 2012 წელს სხვადასხვა სფეროში გავრცელებული 50 ყველაზე პოპულარული და ხშირად გამოყენებული ნეოლოგიზმის კვლევა. სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: სიტყვის პოპულარულობა, საზოგადოებაში დამკვიდრების ტენდენცია და კულტურული აღიარება, სიტყვის შექმნის თარიღი, გამოყენების სფეროები, სიტყვაწარმოების ხერხები.

კვლევის თანახმად 50 ნეოლოგიზმიდან ოთხი 2012წ. არის შექმნილი, 20- 2000-2011 წლებში, 16- 1990-1999 წწ, ხოლო 10- 1980-1989 წწ. როგორც კვლევიდან ჩანს, 50 ნეოლოგიზმიდან 35 სიტყვა არსებითი სახელია, აქედან 14 შედგენილი არსებითი სახელი, რომელიც ძირითადად ორი ან ხშირად სამი მეტყველების ნაწილისაგან შედგება და უმეტეს შემთხვევაში შემადგენელი მეტყველების ნაწილები, ისევ არსებითი სახელებია ან არსებითი სახელი და ზმნა ან ზედსართავი სახელი. ორი არსებითი სახელი შენახარდის საშუალებით არის ნაწარმოები.

აგრეთვე ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს 100 ინტერნეტ ნეოლოგიზმი, რომლებიც 2005-2011 წლებშია შექმნილი. აღსანიშნავია, ისიც რომ, 16 კატეგორიდან ზემოთხსენებულ წლებში შექმნილი ნეოლოგიზმები მხოლოდ 11 კატეგორიას მოიცავს. თითოეულ მათგანს მითითებული აქვს სიტყვის განმარტება, შექმნის თარიღი, პირველადი წყარო, მეტყველების ნაწილი და მათი სიტყვაწარმოების ხერხები.

კვლევის თანახმად 646 ნეოლოგიზმიდან ერთი 1963 წ. არის შექმნილი, 6- 1978 -1979 წლებში, 29 - 1981-1989 წწ, 206 - 1990-1999 წწ, 269 – 2000-2012 წწ., ხოლო 135 სიტყვის შექმნის ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც კვლევიდან ჩანს, 646 ნეოლოგიზმიდან 478 სიტყვა არსებითი სახელია, 26 ზედსართაული სახელი, 28 ზმნა, 43 შენაზარდი, 56 ნამყოს მიმღეობა, 5 აბრევიატურა, 3 აკრონიმი, 2 სლენგი, 2 ფრაზული ზმნა, 1 ჟარგონი და 2 იდიომი.

ინტერნეტისა და მობილურის ფართოდ გამოყენებამ ენაში, გამოიწვია ახალი სიტყვებისა და ფრაზების შექმნა და კომუნიკაციის ახალი ფორმის წარმოქმნა. კიბერ-სივრცით კომუნიკაციის დამყარება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა.

ნაშრომი ეხება კიბერ ენის ზოგიერთ ლინგვისტურ მახასიათებელს, რომელიც ძირითადათ დამყარებულია თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწარმოებაზე, მაგრამ აქვს უნიკალური თავისებურებანი, როგორიცაა ჰაკერთა ენა. მათ შეცვალეს ენის სტილი, გრამატიკული კონსტრუქციები, სტილისტური, ფონეტიკური მახასიათებელი და შექმნეს ახალი ენა ახალი **"Leet"** ენის გრამატიკით, რომელიც შესანიშნავად არის ნარევნები ნაშრომში მაგალითებისა და კვლევების საფუძველზე.

ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ხშირად გამოყენებული ნიშნები კიბერ სივრცეში „სმაილებია". ინტერნეტ ინგლისურის გამოჩენამ არა მხოლოდ ინგლისური ენის სიტყვათა მარაგით შეავსო ლექსიკონები, არამედ შეიმუშავა ისეთი უცნაური ნიშნები, რომლებიც ძირითადად გამოყენება ემოციის

გამოსახატავად. ზოგიერთი მკვლევარი ამ ნიშნებს „ემოტიკონებს" უწოდებს. ისინი გამოიყენებიან იმიტომ, რომ ინტერნეტის ვირტუალურ სამყაროში, კომუნიკაცია ძირითადად სიტყვებით ხორციელდება, რომლის დროსაც არ შეგვიძლია გამოვხატოთ გრძნობები სახის ემოციით და ჟესტებით. თუმცა ხალხი იყენებს პუნქტუაციის ნიშნებს, ასოებისა და ნიშნების კომბინაციებს, რომ თავიანთი ემოციები გამოხატონ. ყველაზე ცნობილი ნიშანი არის „ახალთახალი და ცოცხალი".

კვლევებმა ცხადყო, რომ კიბერ ენა შეცვლის ინგლისურ ენას ფუნდამენტალურად.

English Neologisms In The Cyber World, Their Stability and Influence On The Georgian Language

The article deals with the studying of enriching modern English language vocabulary with new lexical units,determining the stability and urgency of neologisms established in the language, studying their structural, grammatical and semantic featrures. It also studies modern ways of word – formation: shortening- abbreviation, clipping, acronym, blending.

It also analyses the features of textual speech in Georgian cyber space through a computer, which is usually done in the English language. We tried to study the features of Georgian teenagers' speech and did the research about this issue. The research done by us detected the spontaneity of Georgian teenager netizen's speech. It also showed that they widely use English abbreviations and acronyms in their everyday speech, which are changed according to the morphology of the Georgian language.

We have decided to do the research in different directions. The research was done in three stages, in three countries: the USA, Georgia and Azerbaijan. The research began in January, 2012 and continued during eight weeks.. 350 Georgian teenagers, 100 Azeri students and 50 American students (Total 500) took part in this research.

The first group were 50 students of the University of Nebraska, from the State of Nebraska, the USA (Age 20-25). They were asked to fill the questionnaire in Face book and send those 80 abbreviations/acronyms (except unprintable words), which are used very often. Also they should send those words which they mostly use among each other during communication.

In the second group there were 16-25 year old Georgian students and pupils. As we mentioned above Georgian teenagers got questionnaires with popular abbreviations/acronyms listed by American students without definitions. The research was done in the following directions:

1. If students knew the exact meanings of English terms;

2. How often they use these terms and in what situations, e.g. during writing, speaking , Skype or generally in social network;

3. Target group should list those English abbreviations/acronyms they use too often, but were not listed in the questionnaires;

4. Target group should present those English cyber neologisms they use during the conversation in Georgian.

It is an interesting fact that, out of 350 Georgian students nobody knew the meaning of the following acronyms: **182 – I Hate You, 1432 – I Love You Too, DF – Dear Friend**; Most widely used acronyms are: **4ever – Forever** – 140 (40%); **LOL – Lauthing Out Loud/Lots Of Love** – 130 (37.14%); **FB – Facebook/Buddy** – 80 (22.87%); Most recently used acronyms are the following terms: **HMU – Hit Me Up** – 2 (0.57), **PCM – Please Call Me** – 3 (0.85%), **Ema – E-mail Address** – 5 (1.42%).

The third target group were 100 students from Azerbaijan University with the specialty of the English language and literature (Age 20-25).They were sent exactly the same questionnaires and they had the same requirements as Georgain students. As the research showed Azeri students different from the Georgian ones, knew all English terms, but less than 50% use them than Georgians.

In order to have a better understanding of the Internet English, we should know how words of the Internet English are formed. Generally, the word-formation of the Internet English follows the methods and principles of word-formation of standard English. However, at the same time, cyber English has some unique characteristics which has become the major trend in the development of network English. New words in the Cyber English have inherited some traditional methods of word-formation. Such as: compounding, abbreviation and so on. But some new words have been created in particular circumstances, were quickly accepted by people and incorporated in modern English.

We did the research of the most popular and widely used 50 cyber-neologisms in the Internet space in 2012 in different ways, such as: word popularity, the basic tendency of words stability and cultural acceptance, the date of new word formation, the spheres of usage and the ways of word-formation.

According to research out of 50 neologisms four are created in 2012, 20 – 2000-2011, 16 – 1990-1999 and 10 – 1980-1989.As it is shown out of 50 neologisms, 35 are nouns, 14 out of it are compound nouns, which are formed mainly with two or three parts of speech and mostly they are still nouns or nouns and verbs, or adjectives. Two nouns are blends.

The research also deals with 100 internet neologisms which were created in 2005-2011. It is interesting that, out of 16 categories, 11 are created in above mentioned years. Each of them has their own definition, date of creating, the source of origin, part of speech and the ways of word-formation.

According to research out of 646 neologisms, 1 is created in 1963, 6– 1978-1979, 29– 1981-1989, 206 – 1990-1999, 269 – 2000-2012 and the date of creation of 135 words are unknown. It is shown that, out of 646 neologisms 478 are nouns, 26 adjectives, 28 verbs, 43 blends, 56 past participles, 5 abbreviations, 3 acronyms, 2 slangs, 2 phrasal verbs, 1 jargon and 1 idiom.

The usage of the internet and mobile phones caused forming new words and phrases in the language and establishing a new form of communication. To establish communication with the cyber- space has become an important part of our everyday life.

The article deals with some linguistic features of the Cyber language. The Cyber language is mainly based on modern English word formation but it has its unique features, such as Hackers' Language. They have changed the style of language, grammar constructions, stylistic and phonetic characteristics and created the new language with new "Leet" grammar, what is perfectly shown in the article with examples and research.

One of the most interesting and usable signs in the Cyber space are "smiles". The internet English that increased the English vocabulary filled not only the dictionaries but also produced some strange signs, which are usually used to express emotions. Some scholars call these signs emoticons. They are used just because in the virtual world of Internet communication mostly is performed through words, in which we cannot express our facial expressions or gestures. Therefore, people use punctuations, combinations of letters and signs to express emotions. Each sign is fresh and vivid.

The research done by me is a clear evidence that the Cyber language is going to change the English language fundamentally.

შესავალი

„მჯერა, რომ 21-ე საუკუნეში ინტერნეტი მოახდენს უდიდეს გავლენას ინგლისურ ენაზე" თქვა ცნობილმა ლინგვისტმა დევიდ კრისტალმა და ეს მართლაც ასე მოხდა.

ნაშრომის სათაურშიეე ყურადღებას იპყრობს სიტყვა, **"Cyber"**, რომელიც უკვე დამკვიდრებულია ქართულ კიბერ სივრცეში. სიტყვა „კიბერი", ანუ "Cyber" არის პრეფიქსი, რომელიც გამოიყენება ადამიანის, საგნის ან იმ იდეის აღსანიშნავად, რომელიც კომპიუტერისა და ინფორმაციული სივრცის ნაწილია.

ინტერნეტის მომხმარებლები იყენებენ განსაკუთრებულ სიტყვებს, ტერმინებს, აბრევიატურებსა და აკრონიმებს, რომელთა წარმოება მეტად აქტიურია თანამედროვე ლინგვისტიკაში და გამოირჩევა თავისი სალაპარაკო და არაოფიციალური თავისებურებებით. თუმცა ბევრი ასეთი სიტყვა უკვე შესულია ოფიციალურ სალიტერატურო ენაში.

კიბერ სივრცეში ცენზურა არ არსებობს, რაც მომხმარებელს აძლევს თვითგამოხატვის სრულ თავისუფლებას. ამ ახალ ენას ან ენის ქვე-კულტურას **"Netlage"**-ს უწოდებენ, რაც წარმოადგენს ორი ინგლისური სიტყვის "Internet"-ისა და "Language"-ის კომბინაციას.

XX საუკუნეში ინტერნეტის ფართო სპექტრში გამოყენებამ შეცვალა მსოფლიო, რამაც დიდი ზეგავლენა მოახდინა ენის განვითარებაზე. თითოეულ ახალ იდეას, გამოგონებას, ფენომენს თუ მცნებას სჭირდება სახელი. ენაში ამ ტერმინის აღსანიშნავად სიტყვა ნეოლოგიზმი იხმარება. თვითონ სიტყვა **ნეოლოგია** დაახლოებით 1800 წელს ითვლის. იგი პირველად გამოყენებულ იქნა ახალი სიტყვების მოსახსენებლად ენაში.

ტერმინს **ნეოლოგია** სხვადასხვა ლინგვისტი სხვადასხვანაირად განმარტავს. თუმცა საბოლოოდ ყველა ეთანხმება იმ აზრს, რომ სიტყვა ნეოლოგიზმი გამოიყენება ახალი ცნებების აღსანიშნავად ენაში.

ახალი სიტყვები ჩნდება ძველი სიტყვების ახლებური ინტერპრეტაციის გზით ან სპონტანურად იქმნება საუბრის პროცესში მოსაუბრის მიერ, რომელიც განსაკუთრებით თავს იჩენს სოციალურ ქსელებში.

საინტერესოა ფსიქოლოგიური და თეოლოგიური მიდგომა ამ ტერმინისადმი. ფსიქოლოგიაში ითვლება, რომ ნეოლოგიზმს ქმნის ადამიანი, რომელიც ფსიქიურადაა დაავადებული. ამ ტერმინებს თვითონ ფსიქოლოგები იშვიათად იყენებენ, რომელიმე ფსიქოლოგიური დაავადების აღწერის პროცესში [45, 520-522].

თეოლოგიაში კი ნეოლოგიზმი არის აბსოლიტურად ახალი ცნება. მათი რწმენით ნეოლოგისტი არის გამომგონებელი, რომელიც ქმნის რელიგიურ მრწამსს ან სისტემას, რაც დედაეკლესიისთვის ერეტიკულ (მწვალებლურ) მიდგომადაა მიჩნეული.

საბოლოოდ კი მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნეოლოგიზმები ჩნდებიან ენაში, არსებობენ და გარკვეული დროის შემდეგ ან იმკვიდრებენ ადგილს ლექსიკონებში და მისაღები ხდებიან საზოგადოების მიერ ან ქრებიან. ამ შემთხვევის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სიტყვა "nigilist-nihilist", რომელსაც ლათინური ფუძე აქვს "nihil-nothing" და ნიშნავს არაფერს. ეს სიტყვა პირველად გამოყენებულ იქნა 1829 წელს ესეში და პოპულარობა ჰპოვა ი.ტურგენევის ნაწარმოებში „მამები და შვილები". სიტყვა ნიჰილიზმის სწრაფად დამკვიდრებას ხელი შეუწყო ზემოდხსენებულმა ნაწარმოებმა და იმ ადამიანების არსებობამ, რომლებსაც იმ პერიოდში არაფრის სწამდათ და დაკარგული ჰქონდათ რწმენა ყოველგვარი ფასეულობისადმი.

თემის აქტუალურობა:

ინტერნეტის მომხმარებელთა რიცხვის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით არაერთი კვლევა განხორციელდა სხვადასხვა მეცნიერების მიერ. ინტერნეტმა და სოციალუმა ქსელებმა უდიდესი ზეგავლენა მოახდინა თითქმის ყველა სფეროზე. დღეს სოციალურ ქსელებს ინტერნეტ მომხმარებლის გარდა, ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სფეროში დასაქმებული სპეციალისტები. მაგალითად კრიმინალისტიკაში საქმეს იძიებენ სოცია-

ლური ქსელების საშუალებით, ასევე ფსიქოლოგიაში აწარმოებენ სოციალურ კვლევებს, გამოკითხვებს და ა.შ.

ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს ლინგვისტიკა ანუ ენაში მომხდარი ცვლილებები, რომელიც არაერთი მკვლევარის ინტერესის საგანია ადამსი [1], [2], არნოლდი [61], ბაუერი [7], ბაუმი [8], ბორტნიჩუკი [63] ელდი'შევი [66], გინზბურგი [19], მარშანდი [30], ვინოგრადოვი [54], [65] და სხვები.

ღღესდღეობით კი, მსოფლიო გლობალიზაციის ეპოქაა და ინტერნეტ სივრცე ამ პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოდგენს. ინგლისური ენის გამდიდრების საქმეში უდიდესი როლი კიბერ სამყაროს აკისრია, თუმცა უშუალოდ კიბერ ნეოლოგი'სმებს და მათი თავისებურებების კვლევას ყველაზე ხშირად კრისტალთან [17] და მაკფედერისთან [32] ვხვდებით. აღნიშნული მოვლენის კვლევა ლინგვისტურ ლიტერატურა'ში არ არის ამომწურავი. ამიტომ, ყოველი ახალი შრომა, რომელიც მიმართულია ნეოლოგიზმების წარმოების, მათი დამკვიდრების გზების შესწავლასა და მდგრადობის დადგენა'ში ღღესდღეობით მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს.

ცხადია ენის განვითარების ისტორიისათვის 10-20 წელი არაფერს ნიშნავს, მაგრამ ხშირად დროის ეს მცირე მონაკვეთიც გვაძლევს შესაძლებლობას დავაფიქსიროთ ენაში საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარე მასშტაბური ცვლილებები. ევროპული ენების 70-90 წლების მდგომარეობა ამ მოვლენის შესანი'შნაე მაგალითს წარმოადგენს. როგორც კვლევა გვიჩვენებს, ყველაზე მნი'შვნელოვანი და საინტერესო არის უზარმაზარი რაოდენობის სიტყვების გაჩენა, მათი თხზვა. მეორეს მხრივ ასევე დიდი რაოდენობის სიტყვებისა და მათი მნიშვნელობების გაქრობა-გაუჩინარება, რაც ნათლიად აისახება ლექსიკონებსა თუ სხვა ლინგვისტურ ლიტერატურაში.

აშკარაა, რომ ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები დამოკიდებულია როგორც შინაგან, ისე გარეგან ფაქტორებზე. XX და XXI საუკუნე ძალზე საინტერესო გამოდგა ლინგვისტებისათვის. არსებითად მეტყველებაში განხორციელდა მთელი რი-

გი სოციო-ლინგვისტური ექსპერიმენტი, რომელიც დისერტაციის შემდეგ თავებში იქნება მიმოხილული.

დისერტაციის მიზანი:

ნაშრომის ძირითადი მიზანია ინგლისური ენის ახალი ლექსიკური წარმოების ქვეშ პროდუქტული სტრუქტურულ-სემანტიკური მოდელის შეძლებისდაგვარად დეტალური აღწერა. ინგლისური ენის ლექსიკური შემადგენლობის განვითარების ძირითადი ტენდენციების შესწავლა, სიტყვაწარმოების გზების განხილვა და მათი მიმართება კიბერ ნეოლოგიზმების დამკვიდრებისა და მსგავსება - განსხვავების ასპექტში.

ლექსიკის პრაგმატიკულ ასპექტებად, უპირველეს ყოვლისა მივიჩნევთ მისი გამოყენების იმ თავისებურებებს, რომლებიც დამოკიდებულია ინგლისურ ენაზე მოლაპარაკეთა სოციალურ სტატუსზე, კომუნიკაციური აქტების რეალურ პირობებზე და მსმენელზე მათ ზემოქმედებაზე. ამის გამო ლექსიკის აღწერის პროცესში აქცენტი გადატანილია არა მხოლოდ იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებებით ხორციელდება მისი თხზვა, არამედ იმაზე თუ როგორ გამოიყენება იგი და რა მიზნისათვის.

ჩვენი ძირითდი ამოცანაა გავარკვიოთ პროდუქტული სიტყვაწარმოების როლი თანამედროვე ინგლისური ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების საქმეში, გამოვყოთ შემოკლების ტიპები, სტრუქტურული, გრამატიკული და სემანტიკური თავისებურებანი, შეძლებისდაგვარად შევაფასოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა სიტყვაწარმოების პროცესისათვის.

ასევე განვიხილოთ თანამედროვე სიტყვაწარმობის ძირითადი ტიპები: შემოკლება (აბრევიაცია, მოკვეცა, აკრონიმია, შეზრდა), ინგლისური ენის ლექსიკის ახალი სიტყვებით წარმონაქმნებით ე.წ. **"Newspeak Coined Word"**-ებით უწყვეტი შევსების გზები და საშუალებები კიბერ ნეოლოგიაში.

ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ჰაკერთა ენის თავისებურებების შესწავლას. ინტერნეტ ენის ლინგვისტურ მახასიათებლების გამოვლენას და ე.წ. **"Leet"** ენის გრამატიკის შეს-

წავლას, რომელიც მკვეთრად განსხვავდება სალიტერატურო ენის გრამატიკისაგან.

განსაკუთრებით საყურადღებოა კვლევის იმ შედეგების წარმოჩენა, რომელშიც ასახულია ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების ზეგავლენა ქართულ ენაზე.

დისერტაციის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:

წარმოებულ კვლევას აქვს როგორც თეორიული, აგრეთვე პრაქტიკული ღირებულება. კერძოდ მის თეორიულ ღირებულებად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ აქ განხილული და შესწავლილია თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწარმოების სპეციფიკა, გამოვლენილია პროდუქტული და არაპროდუქტული გზები და მათი კონტექსტური აქტუალიზაციის სპეციფიკა.

დისერტაციის ცალკეული დებულებები და მასში გაანალიზებული მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნას ინგლისური ფილოლოგიის სპეც-კურსებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე. აღნიშნული კვლევა საინტერესოა იმ „ჰაკერი" ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ინტერნეტ ენის შესწავლით არიან დაკავებულნი და ნაშრომში განხილული საკითხები მათთვის მეტად საინტერესო შესასწავლ მასალას წარმოდგენს.

მშობლიური ენის ინტერფერენციით გამოწვეული შეცდომები ხშირად, ენის ზერელე და განსაკუთრებით მისი პრაქტიკულად გამოყენების არასაკმარისი კომპეტენციის შედეგია. ყერ ვუარყოფთ, რომ მშობლიური ენის როლი, განსაკუთრებით ახალბედა მთარგმნელისთვის, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წამყვანებისათვის საწყის ეტაპზე დიდია. წინამდებარე მასალა, რომელიც განიხილავს ინგლისური ენის სლენგის ფენომენს და მის ზეგავლენას ქართულ ენაზე შესაძლებელს გახდის წინასწარ განჭვრიტოთ და თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი შეცდომები.

კვლევის ობიექტი:

კვლევის საგანს წარმოდგენს ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ახალი წარმონაქმნების, კიბერ ნეოლოგიზმების, შემოკლებული ერთეულებისა და სლენგის საფუძველზე.

იმისათვის, რომ ახალ ათასწლეულში დამკვიდრებული ნეოლოგიზმები შეგვესწავლა სიტყვაწარმოების ყველანაირი გზის გამოყენებით, საჭირო გახდა ბოლო წლებში დაბეჭდილი ლექსიკონების გამოყენება, სხვადასხვა ლინგვისტის მიერ გამოკვლეული და გაანალიზებული მასალის შესწავლა. აგრეთვე საკვლევი მასალის ძირითად ტენდენციად მიჩნეულია ინტერნეტის სხვადასხვა გვერდზე არსებული ენის ახალი ერთეულები, ინტერნეტ ლექსიკონები და ინტერნეტ ფორუმებში არსებული ინფორმაცია, როგორიცაა: **ICQ, Messenger, OOVOO, Skype, www.facebook.com, www.myspace.com, www.twitter.com, www.tagged.com**

არსებულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარდა კვლევა სამ ეტაპად. პირველ სამიზნე ჯგუფს შეადგენდა აშშ-ის, ნებრასკის შტატის, ნებრასკის უნივერსიტეტის 50 სტუდენტი. მეორე სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდნენ:

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 სტუდენტი;
2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 სტუდენტი;
3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 სტუდენტი;
4. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 10 სტუდენტი;
5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 10 სტუდენტი;
6. ქ. ახალციხის №1 საჯარო სკოლის 100 მოსწავლე;
7. ქ. თბილისის მე-18 საჯარო სკოლის 10 მოსწავლე;
8. დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის 10 მოსწავლე;
9. ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლე;
10. ქ. თბილისი 160-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლე;
11. ქ. თბილისის 195-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლე;
12. ქ. თბილისის 54-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლე;

13. ქ. ფოთის მე-15 საჯარო სკოლის 10 მოსწავლე;

14. ქ. ტყიბულის მე-6 საჯარო სკოლის 10 მოსწავლე;

15. ქ. ო'ხ'ურგეთის №4 საჯარო სკოლის 10 მოსწავლე.

ხოლო მესამე სამიზნე ჯგუფი გახლდათ აზერბაიჯანის ენათა უნივერსიტეტის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის 100 სტუდენტი (სულ 500).

კვლევის მიზანი გახლდათ ამერიკელი ახალგაზრდების მიერ ხშირად გამოყენებული აბრევიატურა/აკრონიმების სიხშირის დადგენა და შემდგომ ქართველ და აზერბაიჯანელ მოსარდებში მათი შემოწმება - შეფასება. ინტერნეტის ქართველი მომხამარებლის მიერ თანამედროვე ინგლისურენოვანი ლექსიკის ცოდნა, შემოკლებული სიტყვებისა და ერთეულების, ასევე, სლენგის გამოყენების სიხშირე. სამ ქვეყანაში განხორციელებულმა კვლევამ უფრო ნათლად დაგვანახა ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე არსებული ტენდენციები და ქართულ რეალობასთან პარალელის გაკვლების შესაძლებლობა.

აგრეთვე სადისერტაციო თემის ნაწილი აგრეთვე ეძღვნება ახალგაზრდათა მეტყველების თავისებურებების შესწავლას ქართულ სოციალურ-კულტურულ გარემოში. ნაშრომში განალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სიერცეში, მათი მდგრადობა და ზეგავლენა ქართველ „ნეტიზენებზე", რომელიც ძირითადად ინგლისურ ენაზე ხორციელდება.

დისერტაციაში განხორციელებული კვლევის თანახმად, მიზნად დავისახეთ ინგლისური კიბერ მეტყველების ახალი სიტყვებით, ფრაზებით გამდიდრებისა და შევსების სხვადახვა გზებისა და საშუალებების შესწავლა და შეფასება, მათი პროდუქტულობისა და აქტიურობის განსაზღვრა ინგლისური ენის ვირტუალური სამყაროს სიტყვაწარმოებაში.

კვლევის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ბოლო დროს წარმოებული სიტყვების მოძიებას, რომლებსაც ყველაზე ხშირად და აქტიურად იყენებენ ინგლისური ენის მატარებლები და ბუნებრივია ენაში არსებობენ სლენგის სტატუსით. ამ მხრივ

განსაკუთრებით საყურადღებოა ინტერნეტ გვერდი **http://wordspy.com**, რომელიც ყველაზე მეტი პოპულარულობით სარგებლობს თანამედროვე ინგლისურ მეტყველებაში.

კვლევის საგანს წარმოადგენს ზემოთმოხსენიებულ ინტერნეტ გვერდზე დაფიქსირებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ნეოლოგიზმები, რომლებიც თავს იჩენენ კიბერ სამყაროში და ინტერნეტ მომხმარებლებს შორის მეტად აქტიური და პოპულარულია, აქედან ზოგი უკვე დამკვიდრებულია, ზოგი კი თანდათან იკიდებს ფეხს. კიბერ სივრცეში ახლად შემოტანილი სიტყვები, სხვადასხვა კატეგორიებს განეკუთვნებიან. სულ 16 კატეგორიაა, ხოლო აქედან 11 ინტერნეტ ნეოლოგიზმებს მოიცავს. ნაშრომში განვიხილეთ 646 კიბერ ნეოლოგიზმი. თვითოეულ მათგანს მითითებული აქვს სიტყვის განმარტება, შექმნის თარიღი, პირველადი წყარო, მეტყველების ნაწილი, და მათი სიტყვაწარმოების ხერხები.

ამავე ინტერნეტ გვერდზე 2012 წლის 50 ყველაზე პოპულარული და ხშირად გამოყენებული ნეოლოგიზმების კვლევა ვაწარმოეთ სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ: სიტყვის პოპულარობა, სასოგადოებაში დამკვიდრების ტენდენცია და კულტურული აღიარება, სიტყვის შექმნის თარიღი, გამოყენების სფეროები, სიტყვათწარმოების ხერხები.

კვლევის მეთოდი:

ნაშრომში კვლევის მეთოდად ძირითადად გამოყენებულია კიბერ სივრცეში არსებული და ინტერნეტ მასალაზე დაფუძნებული ენის ერთეულების განხილვა-შესწავლა თანამედროვე სიტყვაწარმოების გზების საშუალებით. აგრეთვე სოციალურ ქსელებში კითხვარების საშუალებით სხვადასხვა ტიპის გამოკითხვები, სტატისტიკური კითხვარები და უშუალოდ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან გასაუბრება-კითხვარი. კვლევა წარიმართა სოციალური ქსელების საშუალებით, რაც კიბერ სამყაროს განუყოფელი ნაწილია.

ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე

ემპირიული შედეგების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ, ნაშრომში მოხდა:

1. კლეევის ობიექტის შესახებ არსებული კლეევების რეტროსპექცია და თეორიული ანალიზი;

2. კიბერ ენის დეფინიციისა და მისი გამოხატვის სახეობების ტერმინოლოგიური მრავალფეროვნების შეჯამება;

3. ინგლისურ, ქართულ და ასპრბაიჯანულ სივრცეში კიბერ ნეოლოგიზმების გამოყენების სიხშირე და მათი შედარება;

4. კიბერ ნეოლოგიზმების ლინგვისტური მახასიათებლების შესწავლა და მათი თვალსაჩინოდ წარმოდგენა;

5. კიბერ ენის სეგავლენის როლი ქართველ „ნეტიზენებზე" და დისერტაციაზე მუშაობის პროცესში ნატარებული კლეევის შედეგების ანალიზი;

6. კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, და ინგლისურენოვანი შემოკლებული სიტყვებით კომუნიკაციის შესწავლა-შეფასება.

7. ჰაკერთა ენისა და "Leet"-ის გრამატიკის თეორიული საფუძვლების შესწავლა, მათი ანალიზი და თავისებურებანი წერით მეტყველებაში;

8. ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების პროდუქტული მოდელებისა და მათი ტიპების შესწავლა. კიბერ ნეოლოგიაში ახალი აფიქსალური ელემენტების გამოყოფა;

9. შემოკლებული ერთეულების წარმოების სტატისტიკური ანალიზი და მათი ონლაინ ლექსიკონებში დარეგისტრირების სიხშირე. შემოკლების სხვადასხვა ტიპების (აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა, შენაზარდი) კომპლექსური შესწავლა და თვითეული მათგანის როლი და მნიშვნელობა სიტყვაწარმოების პროცესში;

10. კიბერ ნეოლოგიზმების დამკვიდრება სხვადასხვა სფეროში და მათი გამოყენების სიხშირე.

დისერტაციის სტრუქტურა:

სადისერტაციო ნაშრომი შეესაბამება მის მიზნებსა და ამოცანებს. იგი შედგება შესავლის, ოთხი თავისა და დასკვნითი ნაწილისაგან (სულ 158 ნაბეჭდი გვერდი). მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია. შესავალში დასაბუთებულია შერჩეული თემის აქტუალობა, ახსნილია მიზანი, ობიექტი, ამოცანები, მისი მეცნიერული სიახლე, ახსნილია ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველი თავი შედგება შვიდი ქვეთავისაგან და მასში განხილულია სიტყვაწარმოების საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში, შესწავლილია შემოკლება, როგორც სიტყვაწარმოების ერთ-ერთი სახე, გაანალიზებულია გრაფიკული აბრევიაციის ისტორია, გრაფიკული შემოკლების, როგორც სიტყვაწარმოების საშუალების ლექსიკალიზაცია, განხილულია აბრევიატურის განვითარების ეტაპები, ასევე ლექსიკალიზებული შემოკლების ორთოგრაფიული მახასიათებლები. აგრეთვე დეტალურად არის განხილული შემოკლების ტიპები: აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა, შეზრდა.

მეორე თავი შედგება სამი ქვეთავისაგან. იგი ეძღვნება ნეოლოგიზმების გამოყენების შესწავლას თანამედროვე მეტყველების სხვადასხვა სფეროში. კონკრეტულად კი ესაა ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ყველაზე პოპულარული კიბერ ნეოლოგიზმები. კვლევა სხვადასხვა მიმართულებით განხორციელდა. როგორიცაა: აღნიშნული სიტყვის პირველად გამოყენების სფერო, ადგილი, შექმნის თარიღი, ციტირება უშუალოდ გამოყენებული ტექსტიდან და მონათესავე ნეოლოგიზმები.

მესამე თავი მოიცავს ოთხ ქვეთავს. აქ წარმოდგენილი მასალა მეტად საინტერესო კუთხითაა გაშუქებული. ელექტრონული კომუნიკაციის ენა მიჩნეულია მრავალფუნქციონალურ ენად. იგი მკვეთრად გამოეყოფა სხვა კომუნიკაციის სფეროებს, რადგან იგი ხორციელდება ტექნიკურ-ელექტრონული საშუალებებით და მიიჩნევა შუამავალ ენად. ეს ენა აკმაყოფილებს სპეციფიკური კომუნიკაციის მიზნებს, რომელმაც საფუძველი დაუდო კონვერ-

ციონალური უანრის თეორიის ახალი მიმართულების განვითარებას, ანუ ვირტუალურ უანრს. ასევე მრავალფუნქციონალურ ენას აქვს საკუთარი უნიკალური ლექსიკური და გრამატიკული ტიპის კრებული, როგორიცაა აბრევიატურები, ბარბარიზმები, შემოკლებები ან მოგონილი ფრაზები, რაც არ არის გავრცელებული სალიტერატურო ენაში.

აქ წარმოდგენილია კიბერ ენის ლინგვისტური მახასიათებლები, ჰაკერები და ჰაკერთა ენის თავისებურებანი, "Leet" ენის გრამატიკა. ეს არის ასოების კომბინაცია, ციფრები და სიმბოლოები, რომლებიც ჰაკერთა სამყაროში ძალიან პოპულარულია.

მეოთხე თავი შედგება ოთხი ქვეთავისაგან. ეს ნაწილი ეძღვნება ახალგაზრდული მეტყველების თავისებურებების შესწავლას ქართულ სოციო-კულტურულ გარემოში. აუცილებლად მივიჩნიეთ გვეწარმოებინა ერთგვარი გამოკითხვა და ასევე შეგვეფასებინა ქართველი ინტერნეტ მოქალაქეების ანუ ნეტიზენების **(Netizens < Network Citizens)** მეტყველება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ კომპიუტერის მომხმარებელთა კომუნიკაცია. ნაშრომში გაანალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე და გამოვლენილია ქართულ ენაში ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების დამკვიდრების სიტყვაწარმოების გზები.

დასკვნით ნაწილში ჩამოყალიბებულია კვლევის ძირითადი შედეგები და შემაჯამებელი განზოგადებები.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში გამოვიყენეთ სამეცნიერო და მეთოდური ლიტერატურა როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. გავეცანით ქართველ, რუს, ამერიკელ და ბრიტანელ მკვლევართა ნაშრომებს. გამოყენებული ლიტერატურა და ელექტრონული გვერდები ანბანურ რიგზე თან ერთვის ნაშრომს.

კიბერ ენა მეცნიერების კვლევის ახალ მიმართულებას განეკუთვნება, მაგრამ საქართველოში მისი კვლევა რაოდენობ-

რივი თვალსაზრისით სულ რამდენიმე ათეულსაც არ აღემატება. სამწუხაროდ რაოდენობამ ამ შემთხვევაში თვისობრიობაც განსაზღვრა. ნაშრომში გაკეთებული ამ ხარვეზის აღმოჯხვრის ცდით აღსანიშნავია, რომ კიბერ ენაზე არსებობს განსაკუთრებით მდიდარი უცხოური, კერძოდ, ამერიკელ მკვლევართა ლიტერატურა, როგორც ჩვეულებრივ ლინგვისტურ და ფსიქოლოგიურ ასპექტში, ასევე სხვადასხვა სამეცნიერო დისკუსიებში. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია დ. კრისტალის მოსაზრებები. მის კვლევებს ეყრდნობა კიბერ ენის საკითხებით დაინტერესებული თითქმის ყველა თანამედროვე ენათმეცნიერი [17].

ნაშრომში წარმოდგენილია ავტორის მრავალწლიანი დაკვირვების და გამოცდილების შედეგად მიღებული თეორიული და პრაქტიკული მასალა კიბერ სამყაროს შესახებ. წიგნში თავმოყრილი მასალა განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან შეიცავს უახლესი დაკვირვებების შედეგებს და ინტერნეტის ზეგავლენას ინგლისურ ენაზე, კერძოდ ინტრენეტ ენის ლინგვისტური პერსპექტივა, ელექტრონული ფოსტის ენა, ვირტუალური სამყაროსა და ინტერნეტის ენის მომავალი, სიტყვაწარმოების გზები და საშუალებები კიბერ სივრცეში. აღნიშნული გამოცემა დაეხმარება ყველა მსურველს გაეცნოს კიბერ სივრცის უახლეს სტატისტიკურ მონაცემებს და მიდგომებს.

კიბერ ენის ლინგვისტური მახასიათებლის შესწავლისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია ფ.მაკფედრისის მოსაზრებანი. იგი მიმოიხილავს ენაში დამკვიდრებულ ნეოლოგიზმებს და აშუქებს მრავალი კუთხით. კერძოდ: სიტყვის პოპულარულობა, საზოგადოებაში დამკვიდრების ტენდენცია და კულტურული აღიარება, სიტყვის შექმნის თარიღი, გამოყენების სფეროები, სიტყვაწარმოების ხერხები [32].

ყურადღებას იქცევს ალჯეოს მოსაზრებები ნეოლოგიზმების დამკვიდრების მხრივ და შენაზარდი სიტყვების სტრუქტურული ხედვის ფართო კვლევა და გაშუქება ნაშრომებში აღწერილია ნეოლოგიზმების დამკვიდრების გზები და ტენდენციები [3], [4].

გ. ქენონს დიდი დამსახურება მიუძღვის თანამედროვე ინგლისური ენის კვლევაში მის ნაშრომში დეტალურადაა განხილული ინგლისური კიბერ მეტყველების ახალი სიტყვებით, ფრაზებით გამდიდრებისა და შევსების სხვადახვა გზები და საშუალებები. შესწავლილია და შეფასებულია მათი პროდუქტულობისა და აქტიურობის განსაზღვრა ინგლისური ენის ვირტუალური სამყაროს სიტყვაწარმოებაში. აღწერილია მათი მრავალფეროვნება ისტორიულ ჭრილში [11], [12].

თანამედროვე ინგლისური ენის საკითხებს ეხება ჰ. მარშანდი. სხვადასხვა ფაქტობრივი მასალის განხილვის შედეგად მეცნიერი აკეთებს ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრების კომპლექსურ ანალიზს. მისი ძირითადი ამოცანაა გამოავლინოს პროდუქტული სიტყვაწარმოების როლი თანამედროვე ინგლისური ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების საქმეში. იგი გამოყოფს შემოკლების ტიპებს, სტრუქტურულ, გრამატიკულ და სემანტიკურ თავისებურებებს და აფასებს თითოეული მათგანის მნიშვნელობას სიტყვაწარმოების პროცესში [30].

საკმაოდ საინტერესოა ვ. ფ. კუნტემეიერის ნაშრომი სახელმძღვანელო განკუთვნილია ინგლისური ენის სტუდენტებისათვის და თანამედროვე ტექნოლოგიით დაინტერესებული პირებისათვის. ნაშრომში განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს დამატებითი საკითხავი ტექსტები სხვადასხვა დავალებებით, სადაც შესანიშნავად არის წარმოდგენილი თანამედროვე ინგლისური ენის ტექნოლოგიური ნეოლოგიზმები. ყურადღებას იპყრობს ისეთი საკითხები როგორიცაა: ტელე და გრაფიკული კომუნიკაცია, თანამედროვე ტექნოლოგიური კომუნიკაციის მიდგომები, კომპიუტერთან შერწყმული კომუნიკაცია და სხვ. [28].

რ. ვორდჰოგის ნაშრომში საფუძვლიანად არის განხილული სოციოლინგვისტიკის საკითხები, რომელიც უშუალოდაა დაკავშირებული ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიის საკითხებთან. ნაშრომში მოცემული საკითხები კარგად აშუქებს ახალი სიტყვების გაჩენისა და მათი დამკვიდრების პრობლემებს ენაში, თუ რამდენად მისაღებია ისინი და

რა ფაზებს გადის საზოგადოებაში და კულტურაში დამკვიდრებისათვის [45].

ყურადღებას იქცევს თ. ფ. ჰექენის ნაშრომი, სადაც დეტალურადაა აღწერილი სიტყვაწარმოების გზები და საშუალებები ელექტრონულ ლექსიკონებში. განხილული აქვს თანამედროვე სიტყვაწარმობის ძირითადი ტიპები: შემოკლება (აბრევიაცია, მოკვეცა, აკრონიმია, შეზრდა), ინგლისური ენის ლექსიკის ახალი სიტყვებით წარმონაქმნებით ე. წ. **"Newspeak Coined Word"**-ებით უწყვეტი შევსების გზები და საშუალებები კიბერ ნეოლოგიაში, რაც უპირველეს ანარეკლს ღღეს ბეჭდურ ლექსიკონებთან შედარებით ელექტრონულ ლექსიკონებში იჩენს თავს [22].

ცხადია ენის განვითარების ისტორიისათვის 10-20 წელი არაფერს ნიშნავს, მაგრამ ხშირად დროის ეს მცირე მონაკვეთიც გვაძლევს შესაძლებლობას დავაფიქსიროთ ენაში საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარე მაშტაბური ცვლილებები. ვ. ადამსის ნაშრომები ამ მოვლენის შესანიშნავ მაგალითს წარმოადგენს. იგი აღწერს და იკვლევს ენაში უსარმასარი რაოდენობის სიტყვების გაჩენას, მათ თხზვას [1], [2].

მეტად საინტერესოა ე.ბაკარაძის დისერტაცია, სადაც ავტორი წინა პლანზე წამოწევს ინგლისური ენის ლექსიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს (შემოკლებული ერთეულებისა და ახალგაზრდული სლენგის საფუძველზე) [48].

ი. ვ. არნოლდის ნაშრომი წარმოადგენს სასწავლო კურსს უცხოური ენის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. წიგნი ნებისმიერი მკითხველის ყურადღებას მიიპყრობს, ვინც დაინტერესებულია ინგლისური ლექსიკოლოგიით. წიგნში დეტალურადაა განხილული ინგლისურ ენაში შემავალი სიტყვების სტრუქტურა, სიტყვაწარმოების ხერხები, ეტიმოლოგია და ინგლისური ენის ლექსიკონების შედგენის მეთოდები. ავტორის თვალსაზრისით წიგნი ძირითადათ დაფუძნებულია სინქრონულ მიდგომებზე [61].

დ. ი. ფრიმენის ნაშრომში სათანადო სპეციალური ლიტერატურისა და ავტორის პირადი ანალიზის საფუძველზე გან-

ხილულია ენის განვითარების სხვადასხვა ასპექტები, რომელიც დაეხმარება უცხოური ენის მომავალ მასწავლებლებს და სპეციალისტებს ენის სტრუქტურის გაგებაში და უკეთ შეთვისებაში. სახელმძღვანელო განსაკუთრებით იმითაა საყურადღებო, რომ იგი მოიცავს ავტორის 16 წლიან გამოცდილებასა და პრაქტიკულ დაკვირვებას თვითონ უცხოური ენის შემსწავლელ სტუდენტებზე [18].

რ. ს. გინსბურგისა და მისი თანამოაზრეების გამოცემა ინგლისური ენის ლექსიკოლოგიის საკითხების სასწავლო და თეორიული სახელმძღვანელოა. ნაშრომში განხილულია სემასიოლოგია, სიტყვათწარმოება, სიტყვაწარმოება, თხზვა, ინგლისური ენის დიალექტები და სხვ.

ჰ. ჯექსონის სახელმძღვანელო განკუთვნილია ინგლისური ენის სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის, ლინგვისტებისა და ინგლისური ენის ლექსიკოლოგით დაინტერესებული პირებისათვის. წიგნში განხილულია ინგლისური ენის სიტყვათა მარაგის თავისებურებანი და განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ გვაძლევს უახლეს მიდგომებს და მაგალითებს იმ სიახლეებისა, რაც აქტიურია დღევანდელ ბრიტანეთში და თავს იჩენს ყოველდღიურ კომუნიკაციაში [25].

ს. ხიდეკელისა და მისი თანაგუნდელების სახელმძღვანელოში წარმოდგენილია ლექსიკოლოგიის აქტუალური საკითხები. წინამდებარე ნაშრომი განსაკუთრებით ყურადღებას იპყრობს დამატებითი საკითხავი ტექსტებით, სადაც სხვადასხვა მაგალითის საფუძველზე კარგად არის განხილული სიტყვაწარმოების, სემასიოლოგიის, ეტიმოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის საკითხები [71].

თ. გამყრელიძისა და მისი თანამოაზრე მეცნიერების წიგნში განხილულია თანამედროვე ენათმეცნიერების ზოგიერთი პრობლემატიკა. ენობრივი სისტემის სემიოტიკური ასპექტები, სინქრონული და დიაქრონული ანალიზის უახლესი პრინციპები და მეთოდები; ბუნებრივ ენათა ტაქსონომიური და წარმომშობი მოდელები; მსოფლიოს ენათა განსხვავებულ ლინგვისტურ ტიპებად კლასიფიკაციის საფუძვლები; ისტორიულ-

შედარებითი ენათმეცნიერების თეორიული წინამძღვრები და ენობრივი რეკონსტრუქციის თანამედროვე კონცეფციები, გამოყენებითი ენათმეცნიერების ძირითადი საკითხები [49].

წიგნი საინტერესოა სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისათვის, ჰუმანიტარული პროფილის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო თანამედროვე თეორიული ენათმეცნიერების საფუძვლების შესასწავლად.

ვ. ნებიერიძეს დაწერილებით აქვს განხილული ენის რაობა და ფუნქციები, ენა და დიალექტი, ენის წარმოშობა, ენისა და საზოგადოების, ენისა და აზროვნების ურთიერთობა; აგრეთვე ფონეტიკა-ფონოლოგიის, მორფოლოგიისა და სინტაქსის, სემანტიკის საკითხები. ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გარდა, დიდი ადგილი აქვს დათმობილი თანამედროვე ენათმეცნიერების მეთოდების განხილვას. ავტორი გვერდს არც ტიპოლოგიურ კვლევას უელის. წიგნი წარმოადგენს უმაღლესი სასწავლებლის ჰუმანიტარული ფაკულტეტის სტუდენთა სახელმძღვანელოს. იგი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მათ, ვინც დაინტერესებულია ზოგადი ენათმეცნიერების საკითხებით [53].

ლ. მ. ნოზაძის კრებულში მოთავსებულია ავტორის მიერ სხვადასხვა საენათმეცნიერო ჟურნალში ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემებთან დაკავშირებული სტატიები. აღნიშნული სახელმძღვანელოთი შეიძლება დაინტერესდნენ აღნიშნულ საკითხზე მომუშავე ადამიანები [54].

საკმაოდ საინტერესოა ბ. ფოჩხუას ნარკვევი თანამედროვე ქართული ლექსიკის შედგენილობისა და ისტორის საკითხების შესახებ. განხილულია ლექსიკის მიმართება ქართული სიტყვის ბგერადობასთან და აგებულებასთან. ქართული ენის ლექსიკური ფონდი და ცალკეული სიტყვები დახასიათებულია მნიშვნელობასთან და ენობრივ კოლექტივთან მიმართებაში და აგრეთვე სიტყვათა ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით. წიგნი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის [55].

ჰაკერთა ენის თავისებურებების გამოვლენას, მათ სტრუქტურას და "Leet" ენის განსაკუთრებულ ლინგვისტურ მახასიათებლებს ვხვდებით გ. ჯანოყას ნაშრომებში. ნაშრომში გაანალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები. აქ წარმოდგენილია კიბერ ენის ლინგვისტური მახასიათებლები, ჰაკერები და ჰაკერთა ენის თავისებურებანი, "Leet" ენის გრამატიკა. ეს არის ასოების კომბინაცია, ციფრები და სიმბოლოები, რომლებიც ჰაკერთა სამყაროში ძალიან პოპულარულია [57], [58].

ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების სიტყვაწარმოების საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში

სიტყვაწარმოება არის სიტყვების შექმნის პროცესი გარკვეული სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების გამოყენებითა და მათზე დაყრდნობით. მეცნიერები იკვლევენ იმ ბაზებსა და საშუალებებს, რომელთა მიხედვითაც იქმნება და იწარმოება სიტყვა. სიტყვაწარმოების საგანს წარმოადგენს პირველადი, ძირეული სიტყვები და მათგან ნაწარმოები ლექსიკური ერთეულები - დერივაციული და რთული სიტყვები.

ტერმინი სიტყვაწარმოება იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით, რომელიც განსხვავებას საჭიროებს. პირველი მნიშვნელობით ის გამოიყენება ენაში ახალი სიტყვების წარმოშობის მუდმივი პროცესის გამოსახატავად. ენა მუდმივად ცვლილებისა და განვითარების პროცესშია, რაც გულისხმობს გარკვეულ ენობრივ პროცესებს, მათ შორის არის ახალი ლექსიკური ერთეულების შექმნის პროცესი, რომელმაც მიიღო სახელწოდება „სიტყვაწარმოება“. მეორე მნიშვნელობით ტერმინი „სიტყვაწარმოება“, აღნიშნავს ენათმეცნიერების ნაწილს, რომელიც შეისწავლის ლექსიკური ერთეულების წარმოშობის პროცესს.

იმის მოხედვით, თუ რა ადგილი, სტატუსი და ურთიერთობა აქვს სიტყვაწარმოებას სხვა ლინგვისტურ დისციპლინებთან, რომელთა კვლევის საგანია ენის სტრუქტურული დონეები (ფონეტიკა, ფონოლოგია, ლექსიკოლოგია, სტილისტიკა, გრამატიკა), მეცნიერები მას მიაკუთვნებენ ხან გრამატიკას, ხან მიიჩნევენ ენათმეცნიერების დამოუკიდებელ, მორფოლოგიისაგან სრულიად ავტონომიურ დარგად. ამ განსხვავებულ შეხედულებებს აერთიანებს ყარაუდი, რომ სიტყვაწარმოების საკითხები გრამატიკის და არა ლექსიკოლოგიის კომპეტენ-

ციას შეადგენს. ამ მხრივ საყურადღებოა ვ.ვ ვინოგრადოვის მოსაზრება, რომლის თანახმად სიტყვაწარმოება წარმოადგენს ლექსიკოლოგიური და გრამატიკული კვლევის საგანს, ე.ი. ის უნდა იქნეს გამოკვლეული, როგორც შინაარსის, ასევე გამოხატვის მხრივ. შესაძლოა ასეთი ორნაირი განხილვა განაპირობებს სიტყვაწარმოების გამოყოფას დამოუკიდებელ დისციპლინად. სიტყვაწარმოება აუცილებლად უნდა განიხილებოდეს როგორც პროცესი, ცოცხალი ენის თვისება, ხოლო თეორიული დებულებები უნდა გამომდინარეობდეს ენობრივი რეალობიდან და ეყრდნობოდეს მას [64].

ბევრ ავტორს სიტყვაწარმოების საკითხები ლექსიკოლოგიაში შეაქვს რამდენადაც სიტყვაწარმოება მიაჩნია ლექსიკური სისტემის ერთ-ერთ მომენტად მაგ. რ. ს. გინზბურგი და მისი თანაავტორები [19, 200-202].

სხვა მეცნიერებს სიტყვაწარმოება ასევე შეაქვთ ლექსიკოლოგიაში იმ საფუძველით, რომ იგი არ შემოისაზღვრება მხოლოდ ლექსიკური შემადგენლობით, არამედ ლექსიკის გამდიდრების, შევსების წყაროდ. ბ. ფორხუა ნაშრომში თავის მოსაზრებას ასე ასაბუთებს: „ეს ვარაუდი XX საუკუნის 50-70-იან წლებში არსებობდა. დღეს კი სიტყვაწარმოების ადგილი ნამდვილად ლექსიკოლოგიაშია. ამ დაკავშირებას ის გამართლებაც აქვს, რომ ორიენს შესწავლის ობიექტი სიტყვაა, მაგრამ ზოგჯერ მას მორფოლოგიაშიც განიხილავენ, რადგანაც იგი სიტყვების აგებულებასაც სწავლობს" [55]. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგი მეცნიერი, მაგალითად ი. ვ. არნოლდი ამ საკითხის განხილვას საერთოდ თავს არიდებს [61].

დღეს სიტყვაწარმოებას განიხილავენ, როგორც ლინგვისტიკის დამოუკიდებელ სფეროს. ამგვარად, სიტყვაწარმოება არის ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის სიტყვების წარმოების პროცესებს, ხერხებს, ტიპებსა და წესებს, მათ პროდუქტულობას, აქტიურობასა და სიტყვაწარმოების საშუალებებისა და მოდელების გამოყენების კანონიერებას. ამას მჭიდრო კავშირი აქვს ლინგვისტიკის სხვა დისციპლინებთან. სიტყვაწარმოება აწარმოებს კვლევებს მორფოლოგიაში, სინ-

ტაქსში, ლექსიკოლოგიაში, სოციოლინგვისტიკაში, ტექსტის ლინგვისტიკაში. ეს ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთკავშირი განისაზღვრება ენის სისტემური თვისებებით.

ენის ლექსიკის გამდიდრება, როგორც ცნობილია ხორციელდება ერთი მხრივ სიტყვაწარმოების იმ მოდელებზე დაყრდნობითა და მეშვეობით, რომლებიც უკვე დამკვიდრებულია ენაში, მეორე მხრივ სხვადასხვა ენიდან მ'ხა სიტყვების სესხებით, ანუ ენაში უკვე არსებული სიტყვების მნი'შვნელობის გაყართოების გ'ხით.

ენის ლექსიკის განვითარებ'ში ყველაზე მკაფიოდ განსაზღვრულ პროცესად ითვლება ენის მუდმივი და ინტენსიური შევსება ახალი, ადრე უცნობი ძირითადად სასაუბრო რეგისტრის სიტყვებით, რაც მუდმივად ხორციელდება ჩვენს გარემომცველ სამყარო'ში მომხდარი ცვლილებებისა და ენის მატარებელთა მოთხოვნების შესაბამისად [68].

სწორედ ამიტომ აქვს ასეთი დიდი მნიშვნელობა ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების პროდუქტული მოდელებისა და მათი ტიპების შესწავლას, რომელთა მეშვეობით გახდა მათი წარმოება შესაძლებელი. საკვლევი მასალა წარმოადგენს ასევე ამ მოდელების აქტიურობის, პროდუქტიულობისა და გამოყენების ხარისხების შესწავლას. ცნობილია, რომ ახალი სიტყვების წარმოება იმ მოდელების სიტყვამაწარმოებელი ტიპების მიხედვით ხდება, რომლებიც უკვე დადგენილია ან ასევე შესაძლოა განხორციელდეს ახალი ფუძეების გამოყოფითა და ახალი აფიქსალური ელემენტების გამოყენებით, რაც სიტყვაწარმოების სისტემის განვითარებასა და სრულყოფას უკავშირდება [64].

სიტყვაწარმოების პროცეს'ში ხდება სიტყვის ფორმალურ-სემანტიკური გარდაქმნა, რომელსაც ადგილი აქვს, როგორც მაწარმოებელ სიტყვებს შორის, ასევე მაწარმოებელ ფუძეებსა და სიტყვამაწარმოებელ ელემენტებს შორის. სიტყვასაწარმოებელი ანალი'ზი შედგება წარმოებული სიტყვების მორფოლოგიური სტრუქტურის ანალი'ზისაგან (მორფემული ანალი'ზი). როგორც ცნობილია ეტიმოლოგიურ ანალი'ზს მიმართავენ,

როდესაც კვლევა წარმოებს დიაქრონულ პლანში და ასევე სინქრონული აღწერის დროს ასახსნელია სიტყვების გარკვეული სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებები.

სიტყვაწარმოების თეორია ენათმეცნიერების ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს, რადგანაც იგი შეისწავლის როგორც ახალი ლინგვისტური ერთეულების წარმოების საშუალების მთლიან კომპლექსებს, ასევე მათი თანამედროვე მდგომარეობისა და ისტორიული განვითარების ცალკეულ ეტაპებსა და მოდელებს, მათ ტიპებსა და პროდუქტულობას. ამავე დროს დიდი ყურადღება ექცევა უკვე შექმნილი სიტყვების წარმოების სპეციფიკის შესწავლას. სიტყვაწარმოების შესწავლა გულისხმობს აგრეთვე რეალური პროცესებისა და სიტყვაწარმოების წესების სტრუქტურის კვლევას ენაში უკვე დაფიქსირებული სიტყვების მეშვეობით, რაც საშუალებას იძლევა სწორად გაიგოთ სიტყვაწარმოების პროცესები, მოსაუბრემ კი შექმნას სიტყვა მეტყველების დროს ენის სისტემის ერთეულის გამოყენებით.

სიტყვაწარმოების სისტემა მუდმივად ვითარდება, იცვლის იერს, მდიდრდება. ენაში მიმდინარე სიტყვაწარმოების პროცესების ფუნქციონირება და ევოლუცია ზედმიწევნით აირეკლება ლექსიკურ ახალ წარმონაქმნებში, რომელთა ანალიზის გარეშე ჩვენი წარმოდგენა სიტყვაწარმოების საშუალებების ხერხებისა და მოდელების მოქმედებაზე არასრული იქნებოდა. ნეოლოგიზმების შესწავლა ენის განვითარების ყოველ ცალკეულ ეტაპზე ავსებს და ამყარებს უკვე არსებულ მონაცემებს ამ სისტემაზე, გვიჩვენებს იმ ცვლილებათა თავისებურებებს, რომლებიც ენის ლექსიკაში ხორციელდება მათი ზემოქმედებით და იძლევა საშუალებას დადგინდეს სოციალურ-ისტორიული განვითარების თავისებურება ამა თუ იმ ენის მატარებელ სოციუმში.

იმისათვის, რომ გავიგოთ თუ როგორ იწარმოება ლექსიკა, უნდა გვახსოვდეს, რომ სიტყვა არის ენის მთავარი ძირითადი ერთეული, ენა კი სისტემა, და რომ ამ სისტემაში ერთდროულად თანაარსებობენ ხმარებიდან გამოსული (არქაული) და

ახლად წარმოქმნილი სიტყვები (ნეოლოგიზმები), რაც აძლევს საზოგადოებას იმის შესაძლებლობას, რომ ენის სტრუქტურაზე მოახდინოს ზემოქმედება. როგორც ცნობილია სიტყვას აქვს დენოტატიური (აღსანიშნი) და კონოტატიური (დამატებითი) მნიშვნელობა, რომლის მიხედვითაც ახალი სიტყვები ენაში შეიძლება წარმოიშვნენ:

1) ახალი რეალიებისა და გარესამყაროში მომხდარი მოვლენების აღსანიშნავად, რომლებიც იქმნება მეცნიერებისა და ტექნიკის სა'ზოგადოებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან ერთად.

2) სიტყვაწარმოების საშუალებით მოსაუბრისა თუ მწერლის ექსპრესიულ-შეფასებითი მიმართების გამოსახატავად რაიმე საგნის, მოვლენისა თუ ადრესატისადმი.

იმის გათვალისწინებით, თუ რა მიზნით არიან შექმნილი ახალი სიტყვები ენაში არსებული მოდელების გამოყენებით, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით ენასა და მეტყველებასთან, ენის ლექსიკურ მარაგთან, შეგვიძლია ისინი დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1) უზუალური სიტყვები, რომლებიც მყარად შევიდნენ რეგისტრირებულ ლექსიკონებსა და ენის ლექსიკურ მარაგში.

2) ოკაზიონალური სიტყვები, რომლებიც საუბრის მომენტში იქმნება. მათი წარმოების მექანიზმი მრავალმხრივია და მეტად რთული. თამაზ გამყრელიძე შემდეგნაირად განმარტავს არსს: ენობრივი ნიშანი რომელიმე მოლაპარაკემ შეიძლება შექმნას გარკვეულ პირობებში, კონკრეტულ კონტექსტში ერთჯერადი გამოყენებისათვის. ამგვარ ინდივიდუალურ-საავტორო გამონათქვამებს, რომლებიც არ შედიან ენობრივ სისტემაში ოკაზიონალიზმები ეწოდება. ისინი გხვდება პოეზიაში, ბავშვის მეტყველებაში, "ლინგვისტურ თამაშებში". ოკაზიონალიზმები შემოფარგლულია მოცემული გამონათქვამების ჩარჩოებით, მოულოდნელია, ახალია და ძალიან ექსპრესიული. რეალურად მოსაუბრე თუ მწერალი თავად ქმნის თავის საკუთარ სიტყვებს არსებული მოდელებით, ჩვეულებრივ, განსაზღვრული სტილისტური მიზნისათვის [49, 387].

მსგავსი სიტყვები ჩნდებიან და ქრებიან და შესაბამისად ყოველთვის არ რეგისტრირდებიან ლექსიკონებში. ამიტომ სიტყვამაწარმოებელი ელემენტები, რომლებიც მათ შესაქმნელად გამოიყენეს, ლექსიკონებში ცალკე ქცეთავად არის მოცემული და თან ახლავს ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობა.

ინგლისური ენის სიტყვაწარმოების პროცესში ლინგვისტები გამოყოფენ შემდეგ ხერხებს: აფიქსაცია (პრეფიქსაცია და სუფიქსაცია) ანუ პროგრესული დერივაცია, კონვერსია, კომპოზიცია, შემოკლება (აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა, შეზრდა). ასახელებენ სიტყვაწარმოების საშუალებებსაც, ესენია: უკუწარმოება, პოსტპოზიტივაცია, ბგერის მიმსგავსება, გამეორება, ლექსიკურ-სემანტიკური სიტყვაწარმოება, ბგერათა მონაცვლეობა, მახვილის მონაცვლეობა.

ჩამოთვლილთაგან ყველა არ გამოიყენება აქტიურად. არც თუ იშვიათად ნაწარმოები სიტყვა რამდენიმე სიტყვამაწარმოებელი პროცესის შედეგია. მაგალითად, colour-blindness ერთდროულად კომპოზიციისა და აფიქსაციის ნიმუშია (colour blind – ness colour + blind). საინტერესოა, რომ ჯეიმს ჯოისია ერთერთი ყველაზე დიდი სიტყვის (101) ერთეულის bababadalgharaghtakamminarronnkonnbronntonnerronntuonnthunntrovarr houawnskawntoohoohoordenenthurnuk ავტორი. ამ სიტყვას ერთი ასოთი ჩამორჩება 1973 წლის პეპსის სარეკლამო სააგენტოს "Boase Massimi Pollitt"- ის მიერ გამოყენებული ფრაზა Lipsmackinthirstquenchinacetastinmotivatingoodbuzzincooltalkinnighwalk infastlivinevergivincool-fizzin სატელევიზიო რეკლამის დროს, რომელიც ერთი სიტყვით არის გადმოცემული. ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელი გახდა ყველაზე გრძელი სიტყვის პოვნა, რომელიც ანტიკური ხანის კომიკოსს არისტოფანეს ეკუთვნის 183 ერთეულით, რომელშიც თავმოყრილია კერძის მომზადების რეცეპტი:

Lopadotemakhoselakhogameokranioleipsanodrymypotrimmatosilphiokara bomelitokatakekhymenokikhlepikossyphophattoperister. ზემოთ აღნიშნულ მაგალითში კარგად ჩანს სხვადასხვა სიტყვის მაწარმოებელი ელემენტების გამოყენება, ანუ არსებულ მორფემებს

დერივაციულს უმატებენ. მისი გამოსახვა ფორმულის სახით შემდეგნაირად შეიძლება A (ახალი სიტყვა) = B+C+D, სადაც (B, C, D სიტყვამაწარმოებელი ელემენტებია). ჰ.მარ'შანდმა ჩამოაყალიბა სიტყვაწარმოების მეტად საინტერესო კლასიფიკაცია. იგი საკუთრივ ლინგვისტურ ნი'შნებს შემდეგნაირად განასხვავებს [19].

1. სიტყვები, რომლებიც იწარმოებიან, როგორც გრამატიკული სინტაგმები. ისინი მორფოლოგიურად მოტივირებულნი არიან. მაგ. Do-er, rain-bow;

2. სიტყვები, რომლებიც არ არიან გრამატიკული სინტაგმები, სრული ლინგვისტური ნი'შნებისაგან არ არიან ნაწარმოები. მაგ: Babynap.

პირველ ჯგუფს მიეკუთვნება კონვერსია, სუფიქსაცია, აბრევიაცია და უკუდერივაცია, მეორეს-შეზრდა, მოკვეცა. მაგრამ ორივე ჯგ'უფის ახალი სიტყვების წარმოებას საფუძვლად უდევს მორფემებს შორის სინქრონული ურთიერთობა.

ინგლისური ენის სიტყვაწარმოების ძირითად ტიპებად, როგორც ვიცით ითვლება მორფოლოგიური ან ფონეტიკურ-მორფოლოგიური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-სემანტიკური ტიპები. მორფოლოგიური ან ფონეტიკურ-მორფოლოგიური სიტყვაწარმოების საშუალებით ახალ სიტყვას ვღებულობთ ფონეტიკური და/ან მორფემული შემადგენლობის სახესხვაობით, ცვლილებით სიტყვამაწარმოებელ ფუძეში, მახვილის ადგილის შეცვლით. სიტყვაწარმეობის ამ ტიპს მიეკუთვნება აფიქსაცია, კომპოზიცია, შემოკლება, უკუდერივაცია, პოსტპო'ზიტივაცია, ბგერთა დანაწევრება და მახვილის მონაცვლეობა სიტყვაში.

ახალი სიტყვების საწარმეობლად ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად ითვლება აფიქსაცია. თვით აფიქსებს შორის გამოიყოფა:

1. მაღალპროდუქტიული აფიქსები, რომლებიც განუსაზღვრელი რაოდენობის სიტყვებს აწარმოებენ.

2. შედარებით ნაკლებად პროდუქტული აფიქსები.

3. არაპროდუქტული აფიქსები.

საინტერესოა, თუ რას გულისხმობენ ლინგვისტები ტერმინი „მაღალპროდუქტულის“ ქვეშ. აფიქსის მაღალპროდუქტულობა განისაზღვრება, არ იმით თუ რა სიხშირით გვხვდება საუბრისას ამ აფიქსით ნაწარმოები სიტყვა, არამედ იმით, თუ რა რაოდენობის ახალ სიტყვებს აწარმოებს იგი ენის განვითარების მოცემულ ეტაპზე. შესაბამისად, პროდუქტიულად ის მოდელი ითვლება, რომელიც ენის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე გამოიყენება ახალი სიტყვების წარმოების ნიმუშად.

მაგალითისათვის მოვიყვანოთ შემდეგი: სუფიქსი – **er** აქტიური და ამავე დროს პროდუქტიულიცაა. ინგლისურ ენაში ძალიან ბევრი არსებითი სახელია ნაწარმოები ამ სუფიქსით. შეგვიძლია გამოვიყენოთ ფორმულა: **V +er = N** მაგ: driver, goer, speaker, printer, onlooker, singer, finder-out და ა.შ. აღნიშნული სუფიქსის დართვით თავისუფლად შეიძლება ვაწარმოოთ განუსაზღვრელი რაოდენობის ოკაზიონალური სიტყვები და გამოთქმები, მაგალითად: laugher, interpreter, fundraiser, financier და ა.შ.

ასევე ინგლისურ ენაში მაღალპროდუქტიულია **V + ing = N** მოდელი, მაგალითად: kissing, painting, laughing, flying, interesting, law-making, gathering, sitting.

აგრეთვე პროდუქტიულად ითვლება **ness** და **less** სუფიქსებიც, რომლებიც ფორმულის სახით შემდეგნაირად გამოისახება: **N + ness = Adj.** და **N + less = Adj.** მაგ: youngness, livableness, blessedness, all-at-once-ness, laugherless, changeless, sugarless, umnrelaaless და ა.შ. მაღალპროდუქტიული სუფიქსებია აგრეთვე **ist, ish** მაგ: economist, paleontologist, monogamist, childish, modish, dilettantish. ნაკლებად პროდუქტიულად ითვლება ის მოდელები, რომლებიც ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება გამოყენებული იქნას ახალი სიტყვების წარმოების ნიმუშებად, მაგრამ ვერ გამოდგებიან დიდი რაოდენობის სიტყვების შესაქმნელად. ამგვარ სუფიქსებად ვთვლით: **ee, ese, ete, esque**: conferee, nomince, offeree, cablese, commercialese, journalese, leaderette, kitchenette, launcheonette, jockette, Byzantiesque, Japanesque, statuesque, pictueresque [63, 50].

საინტერესოა, რომ სუფიქსი **ee** ძირითადად იურიდიულ ტერმინოლოგიაში, კერძოდ კონტრაქტებში გამოიყენება, მაგ: abandonee, pawnee, mortgagee, leasee, indorsee. რაც შეეხება სუფიქსებს, **ette, ess**-ის მსგავსად ფრანგული ენისა მდედრობით სქესზე მიუთითებს შემდეგ ნაწარმოებ სიტყვებში: bruntee, conductorette, farmerette. არაპროდუქტიულად თვლიან მოდელებს, რომელთა გამოყენებით სიტყვების წარმოება არ შეგვიძლია, რადგან მათი მეშვეობით ენაში უკვე არსებობს წარმოებული სიტყვები, რომელთა რაოდენობა მცირეა და ქმნიან ე.წ. „სიტყვათა დახურულ რიგს". გამოვიყენოთ ფორმულა: **V + ard = N** ან **N +cy = N**. მაგ: obstinacy, complicacy, aristocracy, legacy, drunkard, dullard, stinkard, laggard, ასევეა **ive** სუფიქსიც, მაგ: defensive, creative, substantive, sedative და ა.შ. [63, 18].

აფიქსაცია, კონვერსია და კომპოზიცია თანამედროვე ინგლისურში სიტყვაწარმოების ძირითადი საშუალებებია. სხვა საშუალებებს მიეკუთვნება უკუდერივაცია და შემოკლება. აბრევიაცია, როგორც ცნობილია მეორადი ნომინაციის მქონე ლექსიკური ერთეულების შექმნის ისეთი პროცესია, რომელიც მდგომარეობს მოტივაციის წყაროს ნებისმიერი ნაწილის მოკვეცაში, რის შედეგადაც წარმოიქმნება ისეთი სიტყვა, რომელიც თავის ფორმით ემთხვევა ამოსავალი ერთეულის რომელიმე ნაწილს (ან ნაწილებს).

ა. ელდიშევმა ჩამოაყალიბა შემოკლების სტრუქტურული კლასიფიკაცია, რომელშიც გამოყო სამი სტრუქტურული ტიპი: მარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაშიც შედის ერთი სიტყვის ნაწილი ან ნაწილები, რომლებშიც ორ მარცვალზე ნაკლები არ უნდა იყოს.

1. რთულმარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაშიც შედიან არ მარტო სიტყვის რედუცირებული ნაწილები, არამედ მთლიანი სიტყვა ან სიტყვებიც.

2. ინიციალური შემოკლება, რომლის შემადგენლობაშიც აუცილებლად შედიან სიტყვის საწყისი ასოები, ბგერები (ინიციალები) ან შემოკლებული შესიტყვებები [66, 35].

ამ კლასიფიკაციის პირველი ტიპი მოიცავს მოკვეცილ სიტყვებს **(clippings, clipped words)**, მეორე ტიპი - შენაზარდებს **(blends, blendings, blend words, portmanteau words)**, მესამე ტიპი კი აბრევიატურებსა **(abbreviations)** და აკრონიმებს **(acronyms)**. ყოველივე ამის მიხედვით, ავტორის აზრით შეგვიძლია სიტყვების შემოკლება და მიღებული ერთეულის გამოყენება ახალი სიტყვის შესაქმნელად.

შემოკლებული სიტყვა ძირეულთან შედარებით მოკლეა, ერთმნიშვნელოვანი, მარტივი. სინტაქსური ფუნქცია გაფართოებული აქვს.

ამიტომაც სიტყვაწარმოების ეს ხერხი მეტად ხელსაყრელია. საინტერესოა აგრეთვე ფონეტიკური მიმიკრიის ფენომენიც: სიტყვაწარმოების ეს ხერხი ეყრდნობა ერთ ენაში სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ ფონეტიკურად იდენტური სიტყვების მისადაგებას მეორე ენაში არსებულ სიტყვებსა თუ პროფესიულ ტერმინებთან. მაგ: button - батон, keyboard - киборг, shareware - шаровар, breakpoint - брякпоинт. ამ მოვლენას ძალიან ჰგავს ბგერათა მიმსგავსება, მაგ: intrpretator – интертрепатор.

სიტყვაწარმოების თვალსაზრისით საინტერესოა ბოლო პერიოდში ახალგაზრდების მეტყველებაში შემოსული სიტყვები, რომლებიც ზოგიერთი ლინგვისტის თქმით აშკარად მეტყველებენ თინეიჯერთა მიერ ენის მიზნობრივ შეცვალზე, მის „დამხობაზე“. ენაში დაიწყო ე.წ. დიგლოსია – ორენოვნება, რაც ამ შემთხვევაში გამოიხატება ერთ ენაში ამავე ენის ორი ფორმის თანაარსებობით მის სხვადასხვა სფეროში.

ინგლისში, საყოველთაოდ მიღებული ინგლისური ენის გვერდით აღმოცენდა სრულიად ახალი ენა, რომელსაც როგორც ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა ჯონ ორუელმა **"Newspeak"** უწოდა და გახდა ყველზე ჩვეული დასახელება ლინგვოპოლიტიკური მონსტრისა [36].

დიგლოსია ადრეც არსებობდა სხვა ენებში, მაგ: ძველ რუსულში ერთმანეთის გვერდით თანაარსებობდა სასაუბრო რუსული ენა და სალიტერატურო-საეკლესიო სლავური. მოგ-

ვიანებით XVII საუკუნეში კი რუსულ ენას მოუწია თანაარსებობა ფრანგულთან.

დიგლოსიის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ არაბულ სამყაროში არაბული სალიტერატურო ენის გამოყენება ოფიციალურ სისტემებში (განათლების სისტემა, მასმედია, ადმინისტრაციული მმართველობა და სხვა), ხოლო ხალხური არაბული ენა დიალექტებისა-ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო სიტუაციებში. „დიგლოსია საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ ნაკლებად შესწავლილი მოვლენაა. იგი შეიძლება სხვადასხვა სამეტყველო სიტუაციით იყოს გამოწვეული. მაგალითად, ბერძნული დიგლოსიის ძირები მრავალ საუკუნეს ითვლის, თუმცა სრული სახით იგი ჩამოყალიბდა მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში ბერძნული ლიტერატურის აღორძინების ხანაში. „შეიცარიული გერმანულის შემთხვევაში" დიგლოსია განსხვავდა გერმანული ენის სტანდარტული ფორმებისაგან ამ ენის ხანგრძლივი პოლიტიკური იზოლაციის შედეგად [49].

დიგლოსია საერთოდ რელიგიური საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი, სადაც „მაღალი" რელიგიური ენა ემსახურებოდა მხოლოდ რელიგიურ-რიტუალურ და მსგავს საზოგადოებასა თუ ერთობას. სხვა სიტუაციებში გამოიყენებოდა „დაბალი" სალაპარაკო-სასაუბრო ენა. ინგლისური და რუსული საზოგადოების სინამდვილეში გამოიყენებოდა ენის სხვა მრავალი ფორმა, მაგ: უბრალო (სალაპარაკო-სასაუბრო ენა) სლენგი, პროფესიონალიზმი, ჟარგონიზმი, ვულგარიზმი და ა.შ. ეს ფორმები ერთმანეთთან თითქმის არ უროიერთმოქმედებდნენ, რადგანაც სხვადასხვა საზოგადოების საკომუნიკაციაო საშუალებებს მიეკუთვნებოდნენ. ენაში არსებულმა სხვადახვა ფორმამ გააღვივა ინტერესი სტანდარტული, სალიტერატურო ენების დახასიათებისა და შესწავლისადმი.

ინგლისურ ენაში ტერმინი, შემოკლება მრავალი სახით არსებობს. ესენია: **abbreviation, abecedism, acronym, alphabetic word, anagram, blend, clipping, contraction, curtailment, clliptical word, incomplete compound, initialism, logogram, protogram, shortening, stum-word, trunk-word** და ა.შ.

როგორც მკვლევარებიც აღნიშნავენ სხვა ენებშიც შემოკლებასთან დაკავშირებული ტერმინები ასევე მრავლად მოიპოვება. თუმცა ყველა ხსენებული ტერმინი ენაში მიმდინარე დაახლოებით ერთსა და იმავე პროცესზე მიუთითებს, ისინი მაინც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან შინაარსით. ხშირად ერთიდაიგივე ტერმინი სხვადასხვა მეცნიერის მიერ სხვადასხვა მნიშვნელობით არის გამოყენებული.

შემოკლებული სიტყვა მარტივთან (ძირეულთან) შედარებით მოკლეა, მეტწილად ერთმნიშვნელოვანი, აქვს ფართო სინტაქსური ფუნქცია. ამიტომ სიტყვაწარმოების ეს ხერხი მეტად ხელსაყრელია. შემოკლება არის ზეპირი ან წერილობითი დისკურსის ერთეული, რომელიც შექმნილია ცალკეული სიტყვების ნაწილებისაგან. შემოკლების წარმოებაში შეიძლება მონაწილეობდეს ცალკეული ასო, (ბგერები) ან ასოთა ჯგუფი.

შემოკლებასთან დაკავშირებული სპეციალური ლიტერატურის შესწავლის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ შემოკლებული სიტყვების წარმოშობა დაკავშირებულია ისეთ მნიშვნელოვან ძვრებთან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორიცაა ომები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ძირეული სოციალური ძვრები, კომპიუტერიზაცია, ინფორმაციის წყაროს ზრდა და მისი გადაცემის აუცილებლობა მისწრაფება დროისა და ადგილის მინიმალიზაციისაკენ. (ექსტრალინგვისტური ფაქტორები); ასევე, ენობრივი ეკონომიისაკენ სწრაფვის ტენდენცია, ინგლისური ენის ლტოლვა მონოსილაბიზმისკენ (ლინგვისტური ფაქტორები).

თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებული თვალსაზრისები შემოკლების განსხვავებულ ეტიმოლოგიასა და ინტერპრეტაციას გვთავაზობენ.

ი. ვ. არნოლდი ამტკიცებს, რომ ინგლისურ ენაში შემოკლება უკავშირდება ნასესხები სიტყვების ასიმილაციას, რომლის შედეგადაც ნასესხები სიტყვები დაუახლოვდნენ ინგლისურს ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელი ერთმარცვლოვანების თვალსაზრისით [61, 176].

კ. ლეკკოვსკაია თვლის, რომ აბრევიაციის წარმოშობა განაპირობა:

1. სწრაფად წერის მოთხოვნამ, რომელმაც მისი სახოგადოებრიობის მნიშვნელობის გაზრდა გამოიწვია:

2. წერს დროს საწერი ქაღალდის (სიერცის) ეკონომიამ;

3. შემოკლებული და სიმბოლიზებული ჩაწერა გამოწვია ისეთი მეცნიერებების განვითარებამ, როგორებიცაა მათემატიკა, ქიმია, ასტრონომია [67, 178, 194-195].

დ. ი. ალექსეევი ეწინააღმდეგება აზრს, თითქოს შემოკლება ქაღალდის ან დროის ეკონომიის მიზნით წარმოიშვა. ეკონომია მისი აზრით არ არის გადამწყვეტი ფაქტორი ამ პროცესში, თუმცა იგი ერთ-ერთი მიზეზთაგანია. აბრევიაცია, ავტორის აზრით, ენაში დამკვიდრდა იმიტომ, რომ მან საშუალება მოგვცა გვეხმარა სრულმნიშვნელოვანი სიტყვა იქ, სადაც მანამდე მხოლოდ მისი აღწერა იყო შესაძლებელი [60, 8].

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეს ეხება მხოლოდ შემოკლებული ჩაწერის სისტემას და არა წაკითხვის სისტემას. წყაროების მიხედვით, პირველი გრაფიკული აბრევიაცია შეიქმნა უფრო ადრე, ვიდრე დამწერლობა, რადგან მანამდე არსებობდა წერის იდეოგრაფიული სისტემა.

აი, რას წერს ივანე ჯავახიშვილი სიტყვების შემოკლებით დაწერასთან დაკავშირებით: „ძველად, როცა მწიგნობრობა და დამწერნიც დახელოვდნენ, სისწრაფის გულისთვისაც და საწერი მასალის სიძვირის გამოც სიტყვათა სრული წერის მაგიერ მთელი მარცვლების გამოტოვებით შემოკლებული წერა შემოიღეს. ამ წესით დაწერილ სიტყვას ხშირად განსა-

კუთრებულ ნიშანს უკეთებდნენ ხოლმე, რაც მკითხველისათვის იმის მაჩვენებელი და დამამტკიცებელი უნდა ყოფილიყო, რომ წაკითხვის დროს ეს ასონაკლები სიტყვა სრულად უნდა აღედგინა. ასოს ან მარცვალის ნაკლებობის ნიშანს „პატიე" და „ქარაგმა" ეწოდებოდა [91].

როგორც ვიცით, ქარაგმა არის პატარა, ოდნავ გაღუნული ან სწორი ხაზი იმ სიტყვის თავზე, რომელიც ხელნაწერებსა თუ წარწერებში შემოკლებულად არის დაწერილი. მაგ: ქ-ე (ქრისტე); რ-ნ (რომელმან); ე-ა (ყითარცა) და ა.შ. დაქარაგმება იმდენად მიღებული ყოფილა ძველ რომსა და შემდგომ პერიოდში, კერძოდ შუა საუკუნეების დასაწყისში ევროპის ქვეყნებში, რომ შემოკლებათა სისტემის უცოდინარი ხელნაწერებს ვერ წაიკითხავდა.

შემოკლების სპეციალურ ტერმინოლოგიურ ლექსიკასთან დაკავშირებით, მკვეთრად გამოიყოფა კაცობრიობის განვითარების შემდეგი პერიოდები: ძველი რომი და საბერძნეთი, აღორძინების ეპოქა და XX საუკუნე. ძველ რომში განვითარება ჰპოვა გრაფიკულმა შემოკლებამ. ამის ნიმუშად შეგვიძლია მოვიყვანოთ აბრევიატურა: SPQR – Senatus Populusque Romanus, რაც ნიშნავს: „რომის სენატი და ხალხი".

აღორძინების ხანაში დაიწყო მეცნიერების განვითარება, ხშირი იყო რევოლუციებიც, რამაც განაპირობა ახალი ტერმინებისა და სიტყვების წარმოშობა, რაც ხშირად ცალკეული სიტყვებისა თუ ფრაზების შემოკლებით იქმნებოდა. ამ პერიოდის მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ აღორძინების ეპოქის უდიდესი დრამატურგის უ.შექსპირის პიესა „ჰამლეტი", სადაც ავტორი დანიის პრინცი Gilbert-ის ნაცვლად მოიხსენიებს მის შემოკლებულ ვარიანტს Gilb-ს.

საინტერესოა, რომ XV საუკუნეში ყველაზე გავრცელებული ყოფილა ლექსიკონი "Modus Legendi Abbreviaturas in Utroque Jure" [59, 187].

და მაინც, აბრევიაციის, როგორც სიტყვაწარმოების საშუალებად გადაქცევა XX 40-50-იან წლებს უკავშირდება. აღნიშ-

ნული მოვლენის აღმაელობაზე გავლენა მოახდინა ენის განვითარების როგორც შინაგანმა, ისე გარეგანმა ფაქტორებმა.

შევეცადოთ განვიხილოთ შემოკლების არსი: ვ. ბორისოვის თანახმად, შემოკლებად შეიძლება ჩაითვალოს ენაში მიმდინარე ნებისმიერი პროცესი, რომლის შედეგადაც რომელიმე ძირეული კარგავს მისი შემადგენელი ნაწილებიდან ერთ კომპონენტს და გადაიქცევა შემოკლებულ ერთეულად. აღნიშნულ პროცესს ზოგჯერ ფორმულის სახითაც გამოხატავენ: **X–(X–A)** [62, 155].

შემოკლების ეს განმარტება არ გვეჩვენება სრულყოფილად, რადგან იგი არ გვიჩვენებს, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ ძირეულ ერთეულში ან რომელი ნაწილი შეიძლება დაკარგოს მან, რომ გადაიქცეს შემოკლებულ სიტყვად. ისმის სხვა, არსებითი ხასიათის კითხვაც: როგორია ურთიერთობა თავდაპირველ და მისგან წარმოქმნილ ერთეულებს შორის? არის თუ არა შემოკლებული ვარიანტი თვისობრივად ახალი ერთეული თუ წარმოქმნილი სიტყვა ეროი ელემენტის დაკარგვის შემდეგ პირვანდელი სიტყვის ვარიანტად რჩება? შემოკლების და კერძოდ, აბრევიაციის რაობის დადგენა მხოლოდ ამ და სხვა კითხვებზე პასუხის გაცემით შეიძლება. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შემოკლებული სიტყვის არსებობა ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს მისი უფრო სრული პროტოტიპის არსებობაზე. მათი ურთიერთობა კი შემდგომი კვლევის საგანია.

უნდა აღინიშნოს, რომ შემოკლებას არ ექვემდებარება მეტყველების ყველა ნაწილი. მაგალითად, როგორც ჩვენს მიერ გამოკვლეული მასალა გვიჩვენებს, ნაცვალსახელებისაგან, რიცხვითი სახელებისაგან და შორისდებულებისაგან ნაწარმოები შემოკლებები თითქმის არ ფიქსირდება. გამონაკლისებს წარმოადგენენ ნაცვალსახელების **you–U** და **your–yor/ur** შემოკლება. თანამედროვე ინგლისურ ენაში იშვიათია აგრეთვე ზმნების შემოკლება. ისეთი ზმნები, როგორებიცაა, to do, to occur, to tax, to penn, to phone, მიღებულია არსებითი სახელებისაგან კონვერსიის გზით. რაც შეეხება ზმნებს, to pend, to mend, to lend, ისინი წარმოიშვნენ სიტყვების შეკვეცით, კერძოდ,

აპოკოპიის შედეგად. საინტერესოა ისედაც მოკლე ზმნის to be-ის მოკვეცა ინიციალურ აბრევიატურამდე (B) b, რომლის ხმარებასაც ძირითადად თინეიჯერებში ვხვდებით.

გასული საუკუნის 80-90-იან წლებში ძალზე მცირე რაოდენობით ხდებოდა შემოკლებული სედსართავი სახელების წარმოება, რაც აშკარად არ იოქმის ღღევანდელ ზედსართავ სახელებზე, რომელთა უმრავლესობას ვღებულობთ შემოკლებულ სიტყვაზე სუფიქსის დართვით. ბევრ მათგანს სასკოლო სლენგის ეერი აქვს. Dilly < dilightful, Imposs < impossible, Comfy < comfortable, Grumpies < grown up mature people და ა.შ. შემოკლებული სიტყვა შეიძლება ძახილის წინადადების ფუნქციასაც ასრულებდეს. მაგ: Shun < attention!

შემოკლების არსებული ტიპებიდან ძირითადად მიგვაჩნია შემდეგი: აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა და შეზრდა. ეს ტიპები ითვლება გრაფიკულ (ანუ ისეთებად, რომლებიც წერის დროს გამოიყენება) და ლექსიკურ ერთეულებად.

როგორც ვიცით, ჯერ გრაფიკული აბრევიაცია შეიქმნა, შემდეგ კი XX საუკუნეში ლექსიკური აბრევიაცია. (ლექსიკური აბრევიაცია პირველად ჰ. პაულმ, კ. ბრუგმანმა, კ. სუნდენმა და ჰ. კელმანმა გამოიყენეს თავიანთ ნაშრომებში). ისინი ცხადია თანაარსებობენ ენის ლექსიკაში.

გრაფიკულ აბრევიაციად ითვლება შემოკლება, რომლიც ინფორმაციას გადმოგვცემს ნიშნების (ბგერითი და არაბგერითი) საშუალებით. მაგ: %, &, TM და ა.შ. მათი პრინციპული სხვადასხვაობის მიუხედავად, შესაძლებელია გრაფიკული შემოკლებებისა და პირობითი ნიშნების (ფორმულების) ერთ ჯგუფში გაერთიანება ერთობლივი გადახედვის მიზნით. ყოველივე ეს გვაძლევს საშუალებას, გამოვავლინოთ გრაფიკული შემოკლების სპეციფიკა და მის პირობით ნიშნებში გადასვლის კანონიერება სიმბოლოზაციის შედეგად სპეციფიკურობის დაკარგვით.

ფ. პ. ფილინი და ა. მარცინი ამტკიცებენ, რომ ანბანის შემადგენლობამ, ბგერების მოხაზულობამ, გრაფიკისა და მართლწერის თავისებურებებმა, ასევე თავად წერის მანერამ ზე-

გაელენა მოახდინეს შემოკლების სპეციფიკური სისტემის შემუშავებაში [60, 156].

გრაფიკული აბრევიაციის წარმოშობის კვლევის პროცესში მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასოების დახმარებით ენაში „ფონემა ფონემაში“ მაქსიმალური სისრულით გადაეცემა და სწორედ საყოველთაოდ მიღებული სიტყვების ე.წ. გადაცემის სრულ ფონზე, მათი შემოკლებული ჩაწერა გახდა აბერევიაცია.

წერილობით არაასობრივ სისტემებს (იდეოგრაფია, ლოგოგრაფია) ქვაზე ნაკლები შესაძლებლობა აქვთ გრაფიკული აბრევიაციის წარმოქმნისა, რადგანაც წერის სისტემა, რომელიც მას უდევს საფუძვლად, თავადაა აბრევიაცია.

გრაფიკული აბრევიაციის შექმნის მეორე პირობად შეიძლება მივიჩნიოთ კოდსა და ტექსტს შორის წონასწორობის დარღვევა, რომელიც წარმოიშვა წერითი სისტემის ისტორიული განვითარების საერთო სვლის შემდეგ.

დამატებითი კოდური ნიშნების გამოყენება ამოკლებს ტექსტს. მაგ: five (4ნიშანი) = 5 (1 ნიშანი). მას ემსახურება სწორედ გრაფიკული აბრევიაცია. საყოველთაოდ მიღებულია სიმბოლოები , - / ამ პირობით ნიშნებს ქვედა ქვეყანაში იყენებენ. ის გრაფიკული აბრევიატურები, რომლებიც სიმბოლოზაციას არ ექვემდებარებიან, არ გადაიქცევიან ცალკეულ კოდურ ნიშნებად. შესაბამისად, ასოებრივი, ვოკალიზებულ-ბგერითი დამწერლობა ის სფეროა, სადაც წარმოიშვა და განვითარება ჰპოვა გრაფიკულმა აბრევიაციამ.

გრაფიკულმა აბრევიაციამ, რომელიც ლექსიკურს წინ უსწრებს, ამ უკანასკნელზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მეცნიერები დაობენ. ზოგის აზრით ძველი პერიოდის შემოკლებებს ახალთან საერთო არაფერი აქვთ, სხვები კი საპირისპიროს ამტკიცებენ. ზოგადად, ჩვენ შეგვიძლია აბრევიაციის პროცესის ეტაპებად დაყოფა, რომელიც, სავარაუდოდ, ბევრი ენისათვის არის საერთო:

I ეტაპი – გრაფიკული, ინიციალური შემოკლების სისტემის გამოყენება XVIII საუკუნემდე. ესაა ტექსტური აბრევიაცია, რომელსაც ძირითადად ძველ ხელნაწერებში, წიგნების სათაუ-

რებსა თუ ტექსტებში საკრალური სიტყვები (Nomina Sacra) აღსანიშნავად იყენებდნენ. მაგალითად: His< Jesus, XC< Xpistos. ადრეულ ეტაპზე მრავლად ვხვდებით რა თქმა უნდა ქარაგმის ნიშნებს, რომლებიც შემოკლების ნიშნებად გადაიქცა დროთა განმავლობაში. ასევე არსებობს არატექსტური აბრევიაცია, რომლის ნიმუშები შეგვიძლია ვნახოთ მონეტებზე, ღერბებზე, მარკებზე, თიხისა და ფაიფურისაგან დამზადებულ ნაწარმზე, ნაბეჭდებზე თუ სხვა მსგავს წარწერებზე [60, 56-50].

II ეტაპი – გრაფიკული, წერტილოვანი შემოკლების გამოყენება 200 წლის განმავლობაში სტამბის დაარსებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე. წერტილოვან აბრევიაციას რამდენიმე განშტოება აქვს: ტექსტურ-დარგობრიული (მაგ: მათემატიკა, ქიმია) ტექსტურ-წიგნობრიული და არატექსტური, რომელიც ტოპონიმიკისა და ანტროპონიმიკის სფეროებში გავრცელდა. საინტერესოა კრიპტონიმების გამოყენება სტატიებში, წიგნებში, წერილებსა თუ მემუარებში. მაგ: უ. სკოტის „ანტიკვარში" ვხვდებით კრიპტონიმს: Mr.B; ასევეა D.H. Lawrence – ინგლისელი მწერლის სახელის ინიციალური აბრევიაცია. მსგავსმა აბრევიაციებმა ფეხი მოიკიდეს შემდეგი დროის სარეკლამო განცხადებებში, საფირმო სახელწოდებებსა თუ საქმიან მიმოწერებში, რაც წარმოებისა თუ კაპიტალური ურთიერთობების განვითარების შედეგია;

III ეტაპი – ლექსიკურ-აბრევიატურული სიტყვაწარმოების სისტემის გამოყენება დღემდე.

გრაფიკულ შემოკლების დროს ადრე ფართოდ გამოიყენებოდა გამყოფი ნიშნები: წერტილები, დეფისები, დახრილი ხაზი და გრაფიკული გაფორმების სხვა საშუალებები. გამოიყოფა გრაფიკული შემოკლების შემდეგი ტიპები:

1. კურსორული;
2. წერტილოვანი;
3. დახრილხაზოვანი;
4. დეფისური;
5. ნულოვანი;
6. კომბინირებული.

გრაფიკული შემოკლების ეს კლასიფიკაცია მნიშვნელოვნად გვეხვენება. უპირველეს ყოვლისა შემოკლების ორთოგრაფიული გაფორმების თვალსაზრისით, მაგრამ თანამედროვე ეტაპზე ხშირად ჩაწერის ფორმას ამარტივებენ და შემოკლებულ სიტყვებს წერენ გამყოფი ნიშნების დეფისის, დახრილი ხაზისა თუ წერტილის გარეშე.

ლექსიკური შემოკლება ენის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ. ასეთი ტიპის შემოკლების დროს სიტყვაში ნაწილები, ისე უნდა შეკვეცოთ, რომ ძირეული სიტყვის ამოცნობა არ გაგვიჭირდეს.

არსებობს ლექსიკური შემოკლების სხვადასხვაგვარი კლასიფიკაცია. მისი სტრუქტურის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. მაგალითად, სინტაქსურს მიეკუთვნება ისეთი შემოკლება, როგორიცაა: battleship – line – of - battel-ship. მორფოლოგიური შემოკლება იყოფა შემდეგ ტიპებად: ინიციალური შემოკლება ანუ აბრევიაცია (WWW – world wide web,); აკრონიმია (JIT – Just in time,); მოკვეცა (Govt – government და შერეული ტიპის შემოკლება (მოკვეცისა და ინიციალურ აბრევიაციის ელემენტების შერწყმით) ანუ შეზრდა (Narcodollars – narcotics + dollars); ყოველი ახალი სიტყვა მოკლდება ამ კლასიფიკაციის საფუძველზე.

სიტყვა ნებისმიერი ტიპის შემოკლებაში შეიძლება მონაწილეობდეს, იქნება ის მხოლოდ უბრალო შემოკლება თუ ტექსტის აბრევიატურული კომპონენტი, მაგრამ ყოველი აბრევიაციის მიზანი მხოლოდ სიტყვის შემოკლება როდია, მაგალითად:

1. ინიციალურ აბრევიატურაში სიტყვა ტექსტის ნომინალური ერთეულია და შემოკლების მიზანია ტექსტში განსაზღვრული მნიშვნელობის მქონე ლექსიკის გრაფიკული დაყოფა;

2. სიტყვის ინიციალურ აბრევიატურაში სტრიქონი არის ხელნაწერის გრაფიკული ერთეული. შემოკლების მიზანია სტრიქონის მოცულობის გაზრდა, რითიც ხდება დროისა და სივრცის თანადროული ეკონომია;

3. წერტილოვან აბრევიაციაში სიტყვა-ფორმა, როგორც ტიპოგრაფიული წერის გრაფიკული ერთეული. შემოკლების მიზანია ტექსტში განმეორებადი სიტყვების რაციონალური გადაცემა (შესაბამისი კონტექსტის დროს);

4. ლექსიკურ აბრევიაციაში – ნომინაციურ სიტყვათშეხამება, როგორც ენის ერთეული შემოკლების მიზანი, ხომ დიდი დასახელების მქონე კონტექსტისათვის ერთსიტყვიანი სახელწოდების მორგებაა [60, 136].

გრაფიკული შემოკლება და აბრევიატურების განვითარების ეტაპები

გრაფიკული შემოკლების ლექსიკალიზაციის შედეგად გრაფიკული შემოკლება სიტყვა-აბრევიატურად იქცევა. გრაფიკული აბრევიაცია ორთოგრაფიულია, ლექსიკური კი, როგორც ვიცით, ენაში არსებულ ფაქტორებს ასახავს. სიტყვაწარმოების ეს ორი მოვლენა ერთმანეთს ერწყმის დამწერლობისას, წერის დროს, სადაც ენობრივი ფაქტები გრაფიკულ ფიქსაციას ღებულობენ.

ლექსიკალიზაცია მრავალწახნაგოვანი და ძალზე რთული პროცესია. იმისათვის, რომ გრაფიკული შემოკლება გადაიქცეს სიტყვად, ის ითვისებს რამდენიმე ლექსიკურ ნიშანს:

1. საკუთარ ასობრივ წარმოთქმას;
2. ინდივიდუალურ ორთოგრაფიას;
3. ახალი სიტყვების წარმოების შესაძლებლობას;
4. საკუთარ სემანტიკურ-სტილისტურ შინაარსს, რომელიც განსხვავდება სრული სიტყვის ან სიტყვათშეხამების მნიშვნელობისაგან.

ამ თვისებების შეძენა ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, რაც არასრულ ლექსიკალიზაციას იწვევს. ისმის კითხვა: როგორ განვასხვაოთ ლექსიკური აბრევიაცია გრაფიკულისაგან? ცნობილია, რომ აბრევიატურები წერის დროს გამოიყენება, წაკითხვის დროს კი ძირითადად სრული ფორმით იკითხება.

ლექსიკურობის შეძენით შემოკლება არ ეფუძნება რაიმე ერთიან ნიშანს, კერძოდ, აბრევიატურის კვლავ წარმოებას ზეპირმეტყველებაში მის მოხერხებულად წარმოთქმასა თუ საყოველთაო გაგებისათვის. სიტყვა, როგორც ენობრივი ერთეული, ფლობს არაერთ ნიშან-თვისებას და ეს მისი ყველა განმარტებაშია ხაზგასმული;

ენაში შექმნილი ლექსემები, უნდა აღინიშნოს, უკიდეგანოა. ზღვარი აქვს მხოლოდ აქტიურად ფუნქციონირებადი სიტყვების მარაგს. ამ ზღვარს კი ადამიანის მახსოვრობის შესაძლებლობა განსაზღვრავს.

როგორც ვიცით ლექსიკალიზაციის დროს შემოკლებულ ერთეულებს საკუთარი წარმოთქმა უმუშავდებათ, რაც გრაფიკულ აბრევიაციას არ ახასიათებს. ისინი, ასე ვთქვათ, „იშიფრებაინ" და ძირითადად მხედველობითი აღქმისათვის არსებობენ. მაგალითად: P.O. იკითხება როგორც Post Office; აბრევიატურულ სიტყვებს კი სპეციფიკური გამოთქმა აქვთ.

ლექსიკალიზაციის დროს გრაფიკულ შემოკლება წყვეტს „გაშიფვრას" და იკითხება ასო-ასო (ასოების შემადგენლობის მიხედვით), მაგრამ ყოველი გრაფიკული აბრევიაცია არ „იშიფრება". ამისათვის ორი მიზეზია:

1. როდესაც გაშიფვრა არ გვინდა რაიმე საიდუმლოს გამჟღავნების მიზნით;
2. როდესაც გრაფიკული შემოკლება იმდენად ნაცნობი და საყოველთაოა, რომ ესა თუ ის ავტორი საჭიროდ არ მიიჩნევს მის გაშიფვრას.

თანამედროვე ინიციალური აბრევიატურის უმეტესობა სიტყვის სახით წარმოიოქმება, ისე რომ აბრევიატურებისათვის დამახასიათებელ განვითარების ეტაპებს არ გადის. მათ წარმოვთქვამთ, როგორც სიტყვას, მახვილის თუ მის გარეშე. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლექსიკალიზაციას წარმოთქმის დროს ორგვარი გამოვლინება აქვს:

1. ისტორიული, როდესაც ენაში გრაფიკული შემოკლებების წარმოება ხდებოდა;

2. თანამედროვე, როდესაც აბრევიატურების შემქმნელებმა უკვე იციან, თუ რა სურთ და აწარმოებენ პირდაპირ აბრევიატურულ სიტყვას, კითხულობენ მას ასოასო ისე, რომ მომავალში არ დასჭირდეს ხმოვნების შეცვლა თუ დახვეწა.

საინტერესოა ოვალი გადავავლოთ შემოკლების, კერძოდ XX საუკუნის აბრევიაციის განვითარების ეტაპებს ინგლისურ ენაში:

1. 10-20-იანი წლები – მასიური სხვადასხვაობა, მარცვლოვანი აბრევიაცია;

2. 30-იანი წლები – აბრევიატურული სიტყვაწარმოების შედარებითი სტაბილიზაცია;

3. 40-იანი წლები – ინიციალური შემოკლების, ინიციალურ-ციფრული აბრევიაციის განვითარება;

4. 50-60-იანი წლები – აბრევიაციის ყველა ტიპის მკვეთრი რეგლამენტაცია და მათი „გრამატიზაცია", აკრონიმების წარმოშობა;

5. 70-80-იანი წლები – „აკრონიმია", სხვა ენებიდან აბრევიატურების შემოღება და ენაში დამკვიდრება-გამყარება;

6. 90-იანი წლებიდან დღემდე – სრული თავისუფლება აბრევიაციის, აკრონიმიის, მოკვეცილი და შენაერთი სიტყვების წარმოების პროცესში. როგორც ვხედავთ ყოველი ეტაპი განსაკუთრებული თავისებურებებით, სპეციფიკურობებით ხასიათდება.

აღსანიშნავია ენაში სიტყვაწარმოების ხერხის მოწესრიგებისაკენ სწრაფვა, რაც ჩვენი აზრით, იმაში გამოიხატება, რომ, ორი მოკვეცილი სიტყვა ერთმანეთს ჩანაცვლების საშუალებით ერწყმის. მაგ: Litcric < literacy criticism; Cigaretiquette < cigarette + etiquette;

1. ხშირია თანამედროვე მრავალსიტყვიან შემოკლებებში მეორე ან მესამე კომპონენტის განდევნა, ზოგჯერ კი მხოლოდ ერთი კომპონენტი რჩება. მაგ: Pop< Popular music; Closed Caption< closed circuit caption;

2. აღსანიშნავია შემოკლებულ ერთეულებზე სუფიქსების დართვაც, რაც მათ სრულფასოვანი სიტყვის იერს აძლევს სასაუბრო ენაში გამოყენებისას. მაგ: Compy< comfortable; mizzy< mizerable;

შემოკლება, როგორც ჩვენს მიერ მოკვლეული მასალა მოწმობს, წარმოადგენს რთულ, მრავალმხრივ მოვლენას, რომელსაც ფესვები ღრმა წარსულში აქვს გადგმული. უპირველეს ყოვლისა აბრევიაცია არის ნომინაციის შექმნის ხერხი მის გასაგებად. პირველი აბრევიატურული ლექსემები სტიქიურად ჩამოყალიბდნენ გრაფიკული შემოკლებების ბაზაზე. გასული საუკუნის დასაწყისამდე შემოკლება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა სიტყვაწარმოების პროდუქტიულ საშუალებას. XX საუკუნის დასაწყისში მეცნიერები მეტად პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი აბრევიატურული შემოკლებების განვითარებასთან დაკავშირებული საკითხებით, მაგრამ 70-იანი წლების შემდეგ ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ენაში არ შეიმჩნევა შემოკლებული ნომინაციების შემცირების ტენდენცია და ის სფეროები სადაც, ზოგი აბრევიაცია კვდება, ივსება ახალი ნეოლოგიზმებით [60, 147].

უკვე საქმე აბრევიატურების დეტიმოლოგიამდეც კი მიდის. ყოველივე ეს განაპირობა საზოგადოების შეკვეთილმა და მიზანსწრაფულმა ჩარევამ სიტყვაწარმოების სტიქიურ პროცესში. ამ მოვლენის ილუსტრაციისათვის შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი ონლაინ ლექსიკონი, რომლებშიც ყოველწლიურად შედის ასობით ათასი შემოკლებული სიტყვა:

www.acronymfinder.com/
www.abbreviations.com/
www.acronyms.thefreedictionary.com/
www.medilexicon.com/
www.lib.berkeley.edu/EART/abbrev.html
www.a4esl.org/q/h/nr/abbr-dictionary.html

ლექსიკალიზაციის დროს გრაფიკულ შემოკლებებს მართლწერა ეცვლებათ. ამ დროს ორთოგრაფიას იყენებენ, როგორც გრაფიკული და ლექსიკური აბრევიატურების გამიჯვნის დამატებით, თვალსაჩინოების საშუალებას.

XIX საუკუნეში, როდესაც ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული ინიციალური ლექსემების ორთოგრაფიული სტანდარტები, ყველაზე საიმედოდ ითვლებოდა ტრანსკრიფცია. ამ გზით წავიდა სწორედ ისეთი ლექსიკალიზაცია როგორიცაა, მაგალითად: N. D < national Democrat. დღეისათვის ტრანსკრიფციული ჩაწერის ფუნქცია შეიცვალა. ჩაწერის ეს ტიპი ძირითადად გამოიყენება პირდაპირი ნათქვამის ავტორისაგან დამატებით გასამიჯნავად, პირადაპირი ნათქვამის თავისებური გაცოცხლების მიზნით. მეორე, ორთოგრაფიული მოდიფიკაცია, რომელიც ლექსიკალიზაციის დროს აღინიშნება, არის შერეული ორთოგრაფიის შეცვლა მთლიანად ჩაწერის სისტემით. გრაფიკულ შემოკლებას, რომელიც შემოკლებული სიტყვისა თუ სიტყვათშეხამების დაწერის ბევრ თავისებურებას ირეკლავს ჭრელი, შერეული და არასწორი მართლწერა აქვს. აქ თანაარსებობენ დეფისები, წერტილები, ფრჩხილები, მთავრული და ნუსხური ასოები, ინიციალები და მარცვლები. მართლწერის დროს სიჭრელისაგან თავის დაღწევა ხანგრძლივი პროცესია. ჯერ კიდევ გრაფიკულ სტადიაში იწყება შემოკლებული სიტყვის ლექსიკალიზაცია, ასე ვთქვათ, გათანაბრება – გასწორება. ეს პროცესი დ.ი. ალექსეევის აზრით მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. წერის მრავალფეროვნების გადალახვას, ორთოგრაფიის სტაბილიზაციას;
2. წერტილის გარდა პუნქტუაციის ყველა ნიშნის, მათ შორის დეფისების უგულებელყოფას;
3. წერის ერთიან ორთოგრაფიაზე გადასვლას;
4. წერტილების თანდათანობით უარყოფას;

ყოველივე ამის განხორციელების შედეგად გადაიდგა საბოლოო ნაბიჯი გრაფიკული შემოკლებების ლექსიკალიზაციის საქმეში. რის შედეგადაც აბრევიატურული სიტყვა უკვე ცალკე სიტყვად იქცა. ის ფაქტიც აღსანიშნავია, რომ ინიციალური შემოკლებებიდან უწერტილო შემოკლებად გარდაიქმნა მხოლოდ ბგერითი და არა ასობრივი ტიპის გრაფიკული შემოკლებები [60, 116-118].

დ. ი. ალექსეევის ამ ჩამონათვალს და საერთოდ მის აზრს გრაფიკული აბრევიაციების ლექსიკალიზაციასთან დაკავშირებით, ბევრი მეცნიერი ეთანხმება. როგორც ჩანს გრაფიკული შემოკლებების ლექსიკალიზაცია გამოიწვიეს შემდეგმა ფაქტორებმა:

1. წერის დროს ორთოგრაფიის პრობლემამ და
2. წერტილოვანი აბრევიაციის ასო-ასო წაკითხვამ;

ამგვარად, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან გრაფიკული შემოკლებები დაიხვეწა, გამარტივდა და აღსაქმელადაც ადვილად გასაგები გახდა. ეს პროცესი სხვადასხვა ევროპულ ენაში ინგლისურის პარალელურად მიმდინარეობდა და ყოველ მათგანში თითქმის ანალოგიური მოვლენები დაფიქსირდა.

აბრევიაცია

როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ შემოკლების ერთ-ერთი ტიპი აბრევიაცია, კარგად ესადაგება წერით დისკურსს. იგი, ერთი მხრივ მოკლეა, მეორე მხრივ კი ტექსტში სხვა ფონზე ადვილად გამოიკვეთება. აბრევიაციის მაგალითებია: ATB < Advanced Technology Bomber; DTP < Deskdop Publishing; AOL< American OnLine; TTYL < Talk to you later; CML < Computer meaning of life; XST < Experimental Stealth Technology;

აბრევიატურები, ესაა სიტყვები, რომლებიც წარმოებულნი არიან სიტყვების საწყისი ასოების თანამიმდევრული წყობით. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გაჩდნენ ისინი XX საუკუნის დასაწყისში, ბევრი მათგანი შეიქმნა I და II მსოფლიო ომის დროსაც. მაგ: BBC < British Broadcasting Corporation;

UNESCO < United Nations Educational, Scientific and Cultural Organization;

ახალი სიტყვების წარმოების ეს ხერხი დღესაც ძალზე პროდუქტულია. კ. ბარჰარტის ლექსიკონში რეგისტრირებულია ამ ტიპის უამრავი, ახალი ლექსიკური ერთეული, რაც ძირითადად სამეცნიერო–ტექნიკური ტერმინები და საზოგადოებრივი, სახელმწიფო და პოლიტიკური ორგანიზაციების დასახელებებია. ლექსიკონში აღნიშნულია, რომ აბრევიატურები გამოიყენება გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე მათი სრულმნიშვნელოვანი ექვივალენტები. მაგალითად მეცნიერები უცვლელად ხმარობენ აბრევიატურას DNA, ნაცვლად მისი სრული დასახელებისა Dcoxyribonucleic Acid; ისევე როგორც, CIA < Central Intelligence Agency; FBI < Fedral Bureau of Investigation; ჩვეულებრივ, როდესაც აბრევიატურა პირველად არის გამოყენებული, მას თან ახლავს მისი სრულმნიშვნელოვანი ტერმინი ან დასახელება. მაგ: EEZ < Exclusive Economic Zone; TM < Transcendental Meditation; შემდეგ კი ხმარებაში შედის მხოლოდ აბრევიატურა [6].

აბრევიაციის მნიშვნელობა ადვილი გამოსაცნობია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებრივ ჩაწერის სისწრაფე ბევრად ჩამორჩება მეტყველების სისწრაფეს. შემოკლებული ჩაწერის დროს კი უფრო შესაძლებელია, ტექსტის ძირითადი შინაარსის სწრაფად ფიქსირება [50, 9].

არსებობს აბრევიატურის შემდეგი ტიპები:

1. ასობრივი, (რომელიც იკითხება ანბანური წესით), მაგ: MP < Member Of Parliament;

2. ბგერითი (იკითხება, როგორც ჩვეულებრივი ინგლისური სიტყვა), მაგ: RAND < Research and Development;

3. ამას გარდა გამოიყოფა ინიციალურ-მარცვლოვანი შემოკლება, რომელიც, როგორც დასახელებაში ჩანს შეიცავს ინიციალური და მარცვლოვანი შემოკლების ნიშნებს (პირველი კომპონენტი/ასო ანბანური წესით იკითხება, დანარჩენი კი, როგორც ცალკეული სიტყვა). მაგ: NAYLON < New-York + London; V –day < Victory Day;

საინტერესოა, თუ როგორი ერთეულები წარმოიქმნება აბრევიაციის დროს? ცხადია ისეთები, რომლებიც სტრუქტურულად განსხვავდებიან ძირეული ერთეულებისაგან.

გამოყოფენ აბრევიაციის სამ ხერხს:

1. მორფემული აბრევიაცია – DDC < dideoxyrytidine; THX < thanks; LTD < limited;

2. ინიციალური აბრევიაცია – E < ecstasy; Q < quarter desk; PR < public relations;

3. კომბინირებული აბრევიაცია – MDMA < methilenedioxymethaphamine; UNIVAC < universal automatic computer; INMARSAT < intmational maritime satellite; INTERPOL < criminal police organization;

მორფემული აბრევიაციის შედეგად ეღებულობთ სიტყვის ნაწილებს ან ე.წ. „ნატეხებს". მორფემული აბერევიაცია ძირითადად როული სიტყვების შემოკლების დროს გამოიყენება, რომლის დროსაც სიტყვების „ამოსაცნობად" რამდენიმე ძირეულ მორფემას ვტოვებთ.

ინიციალური აბრევიაციის დროს სრული ფორმის „ამოსაცნობი ელემენტი" არ რჩება, რადგანაც თავდაპირველი სიტყვა მაქსიმალურად არის შეკვეცილი და სახეშეცვლილი.

კომბინირებული აბრევიაცია ძალიან ჰგავს მორფემულს, მაგარამ აქ სიტყვების ამოსაცნობად უფრო მეტი რაოდენობის მორფემაა დატოვებული. ჩვენს მიერ ჩატარებული ანალიზის შედეგად, დადგინდა, რომ აბრევიატურების არსებული ტიპებიდან ჭარბობს ინიციალური აბრევიატურები, დაახლოებით 68%. მაგალითად: N/A < Not Applicable; PPP < Power Point Presentation; PTO < Please Turn Over;

საერთოდ, მორფემული და კომბინირებული აბრევიატურები უფრო მეტად იხმარება სასაუბრო ენაში, ხოლო ინიციალური – სამეცნიერო ლიტერატურაში, თუმცა მათი ხმარების სფეროები მკვეთრად გამიჯნული არაა. შეგვიძლია, ინიციალური აბრევიატურა სასაუბრო ენაშიც გამოვიყენოთ და პირიქით.

აბრევატურები ძირითადად შედგებიან სიტყვის საწყისი და ბოლო ასოებისაგან, მაგრამ შეიძლება ამ პროცესში ჩართული

იყოს სიტყვის შუა ნაწილიც. იმის მიხედვით თუ სიტყვის რომელი ნაწილი იკვეცება და რომელი რჩება, გამოყოფენ აბრევიაციის შემდეგ ტიპებს:

1. ერთსიტყვიანი ტერმინის საწყისი ასო: N < nuclear; H < heroin;

2. რამდენიმე სიტყვისგან შემდგარი საწყისი ასოები: ATV < all terrain vehicle; TNTL < trying not to laugh;

3. რთულსიტყვიანი ტერმინის ელემენტების საწყისი ასოები: BLDG < building;

4. ტერმინის პირველი ნაწილი: SCHEM < schematic;

5. რამდენიმე სიტყვიანი ტერმინის ელემენტების საწყისი ნაწილები: RADDEF< radiologicam defense;

6. ხმოვნებისა და ზოგიერთი თანხმოვნების გამოტოვება: WITZ < winterize; Gd morning < good morning;

7. ასოს გამოყენება ჩვეულებრივი პრეფიქსის ან სიტყვის პირველი ნაწილის მაგიერად: X mas < christmas;

8. ტერმინის საწყისი და ბოლო ასოები: AVN < aviation [62, 144-145].

ზ. ა. ხარიტონჩიკის აზრით, აბრევიაცია მეორადი ნომინაციის პროცესია, რომელიც გულისხმობს ძირეული ელემენტების ნაწილის მოკვეცას და რომელსაც მიეყავართ იმ სიტყვის წარმოქმნამდე, რომლის ფორმაში აირეკლება ძირეული, პირვანდელი ერთეულის რომელიმე ნაწილი [70, 189-190].

აბრევიაციის ასეთი განმარტება აერთიანებს იმ მოვლენებს, რომლებსაც სხვა ლინგვისტები ერომანეთისაგან მიჯნავენ და საშუალებას გვაძლევს შევიმუშავოთ აბრევიატურების სრული კლასიფიკაცია, რომელიც ითვალისწინებს თავდაპირველი ლექსიკური ერთეულის „კვალს" წარმოქმნილ შემოკლებულ სიტყვაში აბრევიატურისა და ამოსავალი სიტყვის ურთიერთობასა და ა.შ. ავტორმა ჩამოაყალიბა ის პარამეტრები, რომლებასაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით შემოკლებული ერთეულის სემანტიკის გაფორმებაში. ეს პარამეტრებია:

1. ამოსავალი ერთეულის ტიპი (სიტყვა, შესიტყვება, სიტყვათა ჯგუფი); ამოსავალ ერთეულში შემადგენელ ელემენტთა რაოდენობა, მათი თანამიმდევრობა და შესაბამისობა სინტაქსურ ნორმებთან;

2. მიღებული აბრევიატურის ნიშნის ტიპი (ინიციალი, მარცვალი, სიტყვა, მიღებულ შემოკლებულ ერთეულში შენარჩუნებულ კომპონენტთა რაოდენობა და მათი შეფარდება ამოსავალ შესიტყვებაში შემავალი სრულმნიშვნელოვანი სიტყვების რაოდენობასთან);

3. ადგილი, რომელიც აბრევიატურების კომპონენტებს უჭირავთ ძირეულ ერთეულში – საწყისი, ბოლო, შუა; საწყისი და ბოლო;

4. აბრევიატურების ფონეტიკური და გრაფიკული გაფორმების თავისებურებები;

5. აბრევიატურების შემადგენლობაში ისეთი ელემენტების არსებობა, რომლებიც არ შეინიშნებიან ძირეულ სიტყვაში ან შესიტყვებაში (მაგალითად, რომელიმე აფიქსი);

6. რთულია აბრევიატურაში სიტყვათა ფრაგმენტების შეერთების ხერხი – მირთვა სიტყვათა ნაწილების ჩაშენება [70, 191,199].

ა. ნ. ელდიშევის მიერ გამოყოფილი შემდეგი პარამეტრები დაედო საფუძვლად შემოკლების სტრუქტურულ კლასიფიკაციას, რომელშიც მეცნიერი სამ ძირითად სტრუქტურულ ტიპს გამოყოფს:

1. რთულმარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაში შედიან არა მხოლოდ სიტყვების რედუცირებილი ნაწილები, არანაკლებ ორფონემიანი მარცვლისა, არამედ სრულმნიშვნელოვანი სიტყვებიც;

2. მარცვლოვანი შემოკლება, რომლის შემადგენლობაში შედის ერთი სიტყვის ნაწილი ან ნაწილები, ხახოვანი მიზიდულობის არაუმცირეს ორფონემიანი მარცვლისა;

3. ინიციალური შემოკლება, რომლის შემადგენლობაში აუცილებლად შედიან სიტყვის ან შემოკლებული შესიტყვების საწყისი ასოები, ბგერები (ინიციალები) [66, 16-18].

ზ. ი. ხარიტონჩიკმა და ა.ნ. ელდიშევმა შემოკლების ახალი კლასიფიკაცია ჩამოაყალიბეს, სადაც შემოკლების ყველა ტიპი გაერთიანებულია ერთ მთლიან სისტემაში. დღესდღეობით უფრო გავრცელებულია შემოკლების ტრადიციული კლასიფიკაცია აბრევიატურებად, აკრონიმებად და ა.შ., როგორც ი.ვ. არნოლდმა, რ. ს. გინსბურგმა და ვ. ზაბოტკინამ შემოგვთავაზეს.

აბრევიაცია ბევრ პრობლემას ქმნის სიტყვაწარმოების პროცესის კვლევის დროს. დ.ი. ალექსეევის აზრით, სიტყვაწარმოების აბრევიატურული ხერხი არის ყველაზე სუბიექტური მათ შორის, რაც კი ენაში შეიძლება არსებობდეს. მას თან ერთვის აბრევიაციის თანამდევი ბევრი თავისებურება: შეცდომები, მრავალმნიშვნელოვნება და შემთხვევითობა, სუსტი ნაციონალური ფონი, რეგლამენტაცია და ა.შ. [62, 72-73].

აბრევიაციის განვითარებაში დიდი როლი ეთმობოდა კორელაციური აბრევიაციის პრინციპს, რომელიც აკრონიმების, ინიციალური აბრევიაციის განვითარების საფუძველია.

I მსოფლიო ომის დროს, როგორც ვიცით, საფუძველი ჩაეყარა ქვეყნების, ქალაქების, სამხედრო, სოციოლოგიური, საზოგადოებრივი, ჟურნალისტური, ინდუსტრიული და სხვა ტერმინების შემოკლებით ჩაწერასა და წარმოთქმას.

სწორედ ამის შემდეგ შეიძინა მან პროდუქტიულობა და გავრცელება, შემუშავდა და გამყარდა აბრევიატურების ძირითადი მოდელები სახესხვაობები, დაიწყო მათი დახვეწის პროცესი. შეიქმნა ათასობით აბრევიატურული ლექსემა, რომელიც გამყარდა და ხანგრძლივი დროით შევიდა ინგლისური სალიტერატურო ენის ლექსიკის შემადგენლობაში. I მსოფლიო ომის დროინდელი აბრევიაცია კი, შეიძლება ითქვას, ჩანასახის მდგომარეობაში იყო. აბრევიაცია, როგორც ვნახეთ იძლევა კონტექსტის მაქსიმალურად შეკვეცის საშუალებას.

თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში არცთუ იშვიათად ჩნდება აზრი იმის თაობაზე, რომ აბრევიატურა სიტყვის

არამყარი და არამუდმივი კატეგორიაა. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ იქმნება აბრევიატურები, თუ ისინი არამდგრადი და ეფემერულია? როგორც ვხედავთ ფაქტები სხვა რამეს ამტკიცებენ. სიტყვების ხმარებიდან გამოსვლა და არქაიზმებად გადაქცევა რთული პროცესია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ ამ საშიშროების წინაშე მხოლოდ აბრევიატურები კი არა, ჩვეულებრივი სიტყვებიც დგანან. არქაიზაციის მიზეზი ყველა სიტყვისთვის ერთია. ამ მოვლენებს ძირითადად ენობრივ ფაქტორებს მიაწერენ, გარკვეული რეალიების ამოვარდნას, ხოლო თუ ეს რეალიები ენაში ნარჩუნდებიან, მათი აბრევიატურული თუ არააბრევიატურული დასახელებებიც თანაარსებობენ. რაც შეეხება აბრევიატურების ე.წ. „სიცოცხლის ასაკს", ენაში დაახლოებით, საშუალოდ 50-60 წელია, რაც ძირითადად დამოკიდებულია თავად სიტყვების სტრუქტურაზე [60, 175].

აბრევიაცია მისაღებია, როგორც სასაუბრო ენის, ასევე ჟურნალ-გაზეთების ენისთვისაც. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ აბრევიაციას წერილობით და ზეპირ ტექსტში უფრო ხშირად მიმართავენ, ვიდრე ტერმინებს სრული ფორმით. მაგალითად ჩვენთვის უფრო მისაღებია MTV ვიდრე Music Television. ამ უკანასკნელის გაგონებისას მსმენელი შეიძლება ვერც კი მიხვდეს რაზეა საუბარი, მაშინ, როდესაც MTV- ის ხსენება ეჭვს არ ტოვებს, რომ მთქმელს მხედველობაში აქვს ტელევიზიის პოპულარული არხი. ასევე გავრცელებულია E-mail-ის ელექტრონული ფოსტისა (electronic mail) და PC-ის ხმარება პერსონალური კომპიუტერის (Personal Computer) ნაცვლად. CD-იც ახალგაზრდების მეტყველებაში ერთმნიშვნელოვნად იხმარება უფრო გრძელი Compact Disk-ის ნაცვლად.

იმ აბრევიატურების გამოყენების მაღალი მოთხოვნილება, რომლებიც სრულმნიშვნელოვანი ტერმინების ნაცვლად არიან გამოყენებულნი, დასახელების შერქმევის დროს საჭიროებს სიფრთხილეს იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული გაუგებრობა, ან გაურკვევლობა. მაგალითად, იმის გამო, რომ აბრევიატურა FBI < Federal Bureau of Investigation (გამოძიების ფედერალური ბიურო) სხვა დასახელების მქონე იგივე აბრე-

ვიატურას FBI < The Federation of British Industry (ბრიტანული ინდუსტრიის ფედერაცია), ეს უკანასკნელი იძულებული გახდა დასახელება შეეცვალა და გადაკეთდა კონფედერაციად – CBI < The Confederation of British Industry.

30-40-იან წლებში აბრევიატურებს აღიქვამდნენ ენის ლექსიკური ერთეულის ნაწილად და მათი ინგლისური ენიდან განდევნის პროცესიც კი დაიწყო. ეს განაპირობა აბრევიაციის ჯეროვნად შეუფასებლობამ. მაგალითად, ცნობილია, რომ შემოკლების (გრაფიკულისა და ლექსიკური) ორთოგრაფია არ იყო შემუშავებული. ამის გამო, პრესასა თუ ლინგვისტურ ლიტერატურაში დღესაც კი იბეჭდება რეკომენდაციები თუ პროგნოზები შემოკლებული სიტყვების მართლწერისა თუ წარმოთქმის შესახებ.

ძალზე საინტერესოა ფონეტიკური და ორთოეპული თვალსაზრისით, აბრევიაციებში ხმოვნებისა თუ თანხმოვნების კომბინირებული ბგერების წარმოთქმა. ინგლისურ ენაში იშვიათია ისეთი აბრევიაციები, რომლებიც არ შეიცავენ ხმოვნებს, მაგრამ თუ ასეთი გეხვდება, როგორც წესი, იკითხება ანბანური წესის მიხედვით. მაგალითად: SBKKV < Space-based kinetic kill vehicle. ეკითხულობთ (esbikeykeyvi). ანალოგიურად ხდება რუსულ და სხვა ევროპულ ენებშიც. ამ მხრივ ქართული გამონაკლისს წარმოადგენს.

როგორც წესი, ინიციალური აბრევიატურები არ გამოითქმის, როგორც სიტყვა, განსხვავებით აკრონიმებისაგან, რომლებიც წარმოების შემდეგ გადიან სემანტიკურ, ფონეტიკურ, გრამატიკულ და აქცეპტოლოგიურ ე.წ. დახვეწას. შედეგად კი გერჩება მზა, ჩვეულებრივი, საყოველთაოდ მიღებული სიტყვა. მაგ: MEGO < my eyes glaze over; SOHO < small office, home office; SMOF < secret master of fandom; როგორც ზემოთხსენებული მაგალითებიდან ჩანს, ზოგი აბრევიატურა გარეგნულად ძალიან ჰგავს აკრონიმს და ხშირად შეუძლებელიც კი ხდება მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა. ამას თან ერთვის ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ინგლისურ ენაში აღინიშნება აბრევიატურათა ცალკეული ასოების შემდეგ წერტილების დაწერაზე უარის

თქმის ტენდენცია ტექნიკური ტერმინებისა თუ სხვადასხვა ორგანიზაციების დასახელების ხმარებისას, მაგ: EPA < Environment Protection Agency და არა E.P.A. მაგრამ ზოგ აბრევიატურას წერენ წერტილითაც და მის გარეშეც. ასეთებია მაგალითად, CB ან C.B. < Citizen Band; ERA an E.R.A. < Equal Rights Amendment; ზოგი ამასთან ერთად ხან მთავრულით, ხან კი პატარა ასოებით იწერება. მაგალითად, a.k.a., a/k/a/ < also known as; AONB (US.E) – A.O.N.B (GR.E) Area of outstanding natural beauty; M.I.A (GR.E) – MIA (US.E) missing in actio;

ზოგი აბრევიატურა მხოლოდ წერტილებით იწერება, მაგრამ ნეოლოგიზმებს შორის მსგავსი ძალზედ იშვიათია, მაგ: D.W.I < drivin while intoxicated, D.J < disk jokey. ამ აბრევიატურებს შორის, რომლებასაც წერის სხვადასხვა ვარიანტი აქვთ, ისეთებსაც ვხვდებით, პროტოტიპებიც სხვა ენის სიტყვათშეთანხმებებია. მაგ: FALN –F.A.L.N. < fuerzas armadas de liberación naciona (ესპანურად) Armed forces of national liberation; RSVP – R.S.V.P. < respondez s'il vous plait (ფრანგულად), რაც ინგლისურად არის (reply to an invitation).

საყურადღებოა ისიც, რომ აბრევიატურების შემოკლებული ჩაწერის დროს, სასვენ ნიშნებს თითქმის არ ხმარობენ, რისი დაფიქსირებაც ჩვენს ხელთ არსებულ ლექსიკონებშიც არ გაგეჭირვებია.

ჩამოთვლილი აბრევიატურები ძალიან გვიანან აკრონიმებს: EDI, IL-2, ME, NAI, SID, SIDS, SIV, IT. ეს აბრევიატურები ანბანური წესით იკითხება, მაგრამ ისინი ასევე შეგვიძლია წავიკითხოთ, როგორც ჩვეულებრივი ინგლისური სიტყვები.

მასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ი. ვ. არნოლდის აზრი. იგი თვლის, რომ თუ სიტყვები შესაძლებელია წავიკითხოთ, როგორც ჩვეულებრივი ინგლისური სიტყვა, მაშინ სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. ჩვენი აზრით აბრევიატურის სიტყვის სახით წაკითხვა ზოგავს ადამიანის დროსა და ენერგიას. მაგალითისათვის მოვიყვანოთ NYC < New-York city; OJ < orange juice; SOB < short of breath ამ აბრევიატურებს ვკითხუ-

ლობთ, როგორც ჩვეულებრივ სიტყვებს. ასოით აბრევიატურებს მოკვეცილ სიტყვებთან განსხვავებით არა აქვთ ემოციურ-ექსპრესიული ელფერი და ამ თვალსაზრისით ისინი არ განსხვავდება ამოსავალი სიტყვათშეთანხმებისაგან. [61, 41].

აღსანიშნავია, რომ აბრევიაციებსა და აკრონიმებს შორის საზღვარი მერყეობია და გარკვეული დროის განმავლობაში ინიციალურირ აბრევიატურები ჩვეულებრივ ლექსიკურ ერთეულებად გადაიქცევიან ხოლმე. მაგ: VJ < video jokey, MC < master of ceremonias [19, 65].

თანამედროვე ინგლისურ ენაში მიღებულია სიტყვებში ასოების ცვლილება წერის დროს. მასთან დაკავშირებით, საინტერესოა შემდეგი მაგალითი: Xmas ნიშნავს Christmas. მოცემულ მაგალითში x ცვლის სიტყვის პირველ ნაწილს, თუმცა ამ პირველ ნაწილში საერთოდ არ არის ასო x. ასევე X-rated ნიშნავს excessive brutality. როგორც ვხედავთ ასო x-ის ინფლიკსურენოვანი სამყაროს სინამდვილეში სხვა დატვირთვაც აქვს. იგი იწერება იმ ფილმების აფიშებზე, რომლეთა ნახვაც აკრძალულია თვრამეტ წლამდე ასაკის მოზარდისათვის. ინგლისში დღესაც არსებობს ე.წ. X-certificate. პირველ შემთხვევაში, როგორც აღნიშნეთ, ასო x –მა შეცვალა სიტყვის პირველი ნაწილი, მეორე მაგალითში კი მთელი სიტყვა.

კიდევ ერთი პოპულარული მაგალითი: საყოველთაოდ მიღებული და ყველასათვის საყვარელი შემოკლება o.k., რომელიც ნიშნავს "All Correct" და აბრევიაციის შედეგად უნდა დაიწეროს, როგორც A.C., რატომღაც სულ სხვაგვარად ვწერთ და წარმოვთქვამთ როგორც [oukei], ალბათ იმიტომ, რომ როდესაც ამ შემოკლებას ვხმარობთ „ყველაფერი მართლაც რიგ'სეა". საინტერესოა ამ შემოკლების განმარტება 1969 წლის "Encyclopedia International"–ში: ეს საყოველთაო თანხმობის აღმნიშვნელი სიტყვა გახდა სლენგი. კლუბის სახელწოდებებიდან, რომელიც აშშ-ს მერვე პრეზიდენტობის კანდიდატის, მარტინ ვან ბურენის მხარდამჭერებმა გამოიყენეს თავიანთი მიზნებისათვის. მარტინ ვან ბურენი ცხოვრობდა კიდერჰუკში,

ნიუ-იორკში და მას ზედმეტ სახელად ეძახდნენ Old Kinderhook-ს. ეს ტერმინი 1840-იანი წლებიდან გამოიყენებოდა, ხოლო ამის შემდეგ მიიღო ამუამინდელი მნიშვნელობა.

ზოგჯერ აბრევიატურებში ასოები ადგილს იცვლიან, მაგ: CDV ნიშნავს compact video disk. ჩვენი აზრით ეს მოხერხებულ წარმოთქმის მიზნით ხდება.

არის ისეთი აბრევიატურებიც, რომლებიც არ იკითხება ისე, როგორც იწერება. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ WC, რომლეიც ნიშნავს wáter closet და იკითხება შემდეგნაირად /vi:ci:/. აქ ასო w შეცვალა ასომ v. ასევე გერმანიაში წარმოებული მანქანა BMV < /bi:emvi:/ და არა /bi:emdablju/.

ზოგი აბრევიაცია, როგორც ჩანს ვიზუალური აღთქმისათვის არის მისადაგებული. ასეთია, მაგალითად: M&A < Mergers and Aquisitions. ასეთ შემოკლებას and კავშირი უთუოდ დაამძიმებდა, ამიტომ მის მაგიერად იხმარება ნიშანი &. გავიხსენოთ თუნდაც ინგლისში ცნობილი მაღაზია C&A, ან მოდელიორები Dolce&Gabbana <D&C, რომლებმაც სახელი სწორედ ამ პრინციპით შეარჩიეს. ანალოგიურია შემდეგი ოხზულილი სიტყვების აბრევიატურები: D&D < deaf and dumb, C&W < country and western და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შემოკლებულ სიტყვას შეიძლება დაერთოს გრამატიკული აფიქსი. მაგალითად, შესიტყვებამ night dress წარმოშვა შემოკლება nightie, სადაც ამოსავალი შესიტყვების პირველი კომპონენტის გარდა არსებობს სუფიქსი ie, რომელიც შემოკლებას აფორმებს.

წარმოქმნილმა შემოკლებებმა დროის განმავლობაში შეიძლება შეიძინოს გრამატიკული აფიქსიც. მაგალითად, ვხვდებით შემოკლების შემდეგ ფორმებს: MP's, POW's და ა.შ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის აბრევიატურები, რომელთა ომონიმური სიტყვებიც არსებობენ ინგლისურ ენაში. მაგალითად: ME < myalgic encephalomyelitis, რომელიც ცხადია შეგვიძლია აღვიქვათ, როგორც პირის ნაცვალსახელიც, ისევე როგორც IT < informational technology. ადვილი საკარაუდოა, რომ

რაიმე დაწესებულების, ადგილის ან მოვლენისათვის სახელის მიცემისას, ინგლისელი ჟურნალისტები, მეწარმეები თუ სხვა, ცდილობენ იგი ადვილად დასამახსოვრებელი და ხალხისათვის უფრო ახლობელი გახდეს. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო საშუალებაა ახალი რეალიისათვის უკვე ნაცნობი სახელის მისადაგება, რასაც მოცემულ მაგალითებში აქვს ადგილი.

ერთ-ერთ იაპონურ ფირმას, რომელიც მის მიერ გამოშვებულ პროდუქციას აკრავდა ლოგოს "Made in USA", უჩივლეს კანონის დარღვევისათვის. ფირმამ პროცესი მოიგო და მისი კანონიერება დაამტკიცა იმით, რომ ის სწორედ იაპონიის ქალაქ უსაში აწარმოებდა ნაწარმს.

აკრონიმია

აკრონიმები ძალზე პოპულარულია ინგლისურ ენაში. ისინი გვხვდება თითქმის ყველა სამეცნიერო ნაშრომში, საგაზეთო სტატიაში, სადაც არცთუ ისე იშვიათადაა განხილული აბრევიაციისა და შემოკლების გამოყენების საკითხები. ცნობილია ტერმინ „აკრონიმის" დაბადების თარიღიც. ეს არის 1943 წლის თებერვალი, როდესაც ბაზილ დევენპორტმა აღნიშნა: "I have seen such words made up of the initial leeters or syllabels or other words called by the name of acronym, which is useful and clear to anyone who knows a little Greek". [92].

1950 წელს ფანკ და ვაგნალსმა (New words and words in the news - ახალი სიტყვების და ახალი ამბების სიტყვების) დამატებაში მოგვცა ტერმინის „აკრონიმი" განმარტება, როგორც სხვადასხვა სიტყვის საწყისი ასოებისაგან, ინიციალებისაგან მიღებული სიტყვა, მაგალითად: UNESCO< United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, მათიეე განმარტებით აკრონიმის მიღება შესაძლებელია ასევე საწყისი მარცვლით ან ასოებით, როგორც მაგალითად: RADER < Radio detecting and ranging; ან საწყისი და ბოლო მარცვლების შეწებებით ან ერთმანეთზე გადაბმით, როგორც MOTEL < motorist's hotel. როგორც ვხედავთ აკრონიმის განარტების პირველი მცედელობა არცთუ

ისე წარმატებული აღმოჩნდა, რადგანაც მასში გაერთიანებულია შემოკლებული სიტყვაწარმოების სხვა ელემენტებისათვის, მაგალითად შენაზარდი სიტყვებისათვის დამახასიათებელი თვისებები.

თუმცა აკრონიმების ლექსიკონის პირველ გამოცემაშიც (Acronyms Dictionary: First Edition) სადაც 200 გვერდში ანბანის წესით არის დალაგებული A < Army – დან ZTO < Zone Transportation Office – მდე ჩანს, რომ ავტორებს ბოლომდე გააზრებულად არ ჰქონდათ შეტანილი მხოლოდ აკრონიმები. სამაგიეროდ წიგნის ქვეთაკი: "A Guide to Alphabetic Designations, Contractions and Initialisms ამართლებს ლექსიკონის შექმნის იდეას, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ეს ლექსიკონი იყო პირველი მცდელობა არა აკრონიმების ლექსიკონის შედგენისა, არამედ ზოგადად ისეთი სიტყვებისა და ერთეულებისა, რომლებიც მიიღება ყოველგვარი შემოკლებისაგან.

საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე არ არსებობს აკრონიმიის, როგორც ენობრივი მოვლენის ერთი ზოგადი განმარტება. როგორც აკრონიმების, ინიციალიზმებისა და აბრევიატურების 1993 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, ავტორმა მოსმანმა ერთ დონეზე განიხილა ინიციალები, აბრევიატურები და აკრონიმები, რასაც უწოდა ენის ერთეულები, რომლებიც საწყისი ასოების ან სიტყვის შემოკლებული ნაწილისაგან მიიღება, რომლებიც ერთმანეთისაგან წაკითხვის წესებით განსხვავდება. მიუხედავად იმისა, რომ აქაც ბოლომდე არ არის გამიჯნული აბრევიატურა აკრონიმისაგან, აკრონიმების ლექსიკონის ადრეულ გამოცემასთან შედარებით, აშკარად ჩანს, რომ აკრონიმი არ შეიძლება ჩაითვალოს აბრევიატურად, თუნდაც იმიტომ, რომ მათ სხვადასხვაგვარად ვკითხულობთ [34].

ზოგი მეცნიერი, მაგალითად, მარკვარდი, აკრონიმებს აიგივებს ტელესკოპურ სიტყვებთან, რომლებიც შედგება მოკვეცისა და მარცვლოვანი ტიპის ინიციალური აბრევიაციისაგან, რომლებსაც შენაზარდ სიტყვებს ეუწოდებთ. ზოგი ავტორი კი ძალიან ავიწროვებს მათ მნიშვნელობას და აკრო-

ნიმებს მიაკუთვნებს მხოლოდ მარცველოვანი ტიპის შემოკლებას [92].

კ. ბარნჰარტის მონაცემებით, აკრონიმების დიდი რაოდენობით წარმოება დაფიქსირდა მეორე მსოფლიო ომის დროს. მაგ: JATO < Jet-assisted take-off; WAC < Women's army corps. მსგავსი ერთეულები შევიდა ინგლისური ენის ლექსიკური მარაგის შემადგენლობაში და ხშირად ისე იყენებენ, რომ არც კი იციან მათი სრული მნიშვნელობა, რას აღნიშნავს თითოეული ასო. გარდა ამისა აკრონიმების სრული დასახელება ყველა ლექსიკონში არ არის მოცემული. მსგავსი შემოკლებული ნეოლოგიზმების წარმოებისას კონტექსტში მათი პირველად გამოყენების დროს სრულმნიშვნელოვანი დასახელება ყოველთვის არის მოცემული. მაგ: "Most of us are familiar with GIGO (garbage in, garbage out), and we try in our system to eliminate the vast printous from the computer. Since about the middle of the last decade the strategic detterent has been designed according to the concept of Mutual Assuard Destruction – MAD fro short. On March 18th, a delegation of high school will present tens of thousands of signatures to the Whire House calling for a test ban. They represent STOP Nuclaer War < Students/Teachers Orginising to prevent nuclear war [63, 170].

რ. ს. გინზბურგისა და მისი თანაავტორების აზრით აკრონიმები არიან ჩვეულებრივი სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივი სიტყვებივით წარმოითქმიან. მათი წარმოება სხვადასხვა გზით ხორციელდება:

1. ფრაზის შემადგენელი სიტყვების პირველი (ინიციალური) ასოებისა ან მარცვლებისაგან, რომლებიც გამოითქმებიან სხვადასხვაგვარად:

ა) როგორც ჩვეულებრივი სიტყვები: PINK < Property Income Certificate; Dinky < Double/Duel Income, No Kids;

ბ) როგორც ანბანის ასოები: IKBS < Intelligent knowledge based system;

2. აკრონიმები შეიძლია მიიღოთ ყოველი სიტყვის ან ფრაზის საწყისი მარცვლებიდან: DesRes < desirable residence;

(თუმცა ჩვენ ვთელით, რომ ეს არის შეზრდის და არა აკრონიმის მაგალითი).

3. სიტყვის პირველი ან პირველი ორი მარცვლის შემოკლების კომბინაციით მეორე სიტყვის ბოლო ერთეულთან: H-bomb < Hydrogene Bomb; E-fit < Electronic Facial Identification Technique;

თანამედროვე ინგლისურ ენაში აქტიურად გამოიყენება სამიეე საშუალება, მაგრამ ჩვენს მიერ მოკვლეული მასალიდან შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ წარმოების ზემოთხსენებული ხერხებიდან პირველი და მესამე გაცილებით აქტიური და პროდუქტულია ვიდრე მეორე. ყველა აკრონიმი განსხვავებით ასოითი აბრევიაციისაგან წარმოგვიდგენს ჩვეულებრივი სიტყვის სინტაქსურ ფუნქციებს, რომლებიც იღებენ გრამატიკულ ელფერს [19, 78].

ყოველი აბრევიატურა არ შეიძლება გადაიქცეს აკრონიმად. აღსანიშნავია, რომ ამ მოვლენის დროს არანაირი კანონზომიერება არ არსებობს. გასაგებია, რომ BBC-ის ვერ წავიკითხავთ, როგორც სიტყვას, რაც არ ითქმის ისეთ აბრევიატურებზე, როგორებიცაა მაგალითად: GOM < Grand Old Man და OD < Over Doze. მხოლოდ ერთი ასოა განსხვავება აბრევიატურას JAL < Japanese Airlines და IJAL < International Journal of American Languages. ამათგან პირველი JAL – ანბანური წესით იკითხება, ხოლო მეორე IJAL – აკრონიმია და იკითხება, როგორც სიტყვა. საინტერესოა, რომ აბრევიატურას VAT < Vallue Added Tax კითხვის ორი ვარიანტი აქვს. (vi: ei'ti:) და იქმნება აბრევიატურა - ალფავიტი'ზმი და ასევე (vat) ჩაითვლება აკრონიმად. წაკითხვის ორი წესი აქვს აგრეთვე ნეოლოგიზმებს ECU < European Currency Unit (ei'ku) და (i: 'si:ju:);

ბევრი აკრონიმი, როგორც აღვნიშნეთ, ძალიან ჰგავს აბრევიატურებს. მას თან ერთვის ის ფაქტიც, რომ ზოგ აბრევიაციას ეკითხულობთ, როგორც ჩვეულებრივ ინგლისურ სიტყვას, მაგ: EDI და SID, მაგრამ აბრევიატურებისაგან განსხვავებით აკრონიმები ძალზე ხშირად იძენენ ჩვეულებრივი სიტყვე-

ბის გრამატიკულ თავისებურებებს. HERO < Hazards of Electromagnetic Radiation to Ordnance; JOSHUA < Joint sickling Haemoglobin Universal Assay; SALT < strategic arms limitation talks. ჩვენ, რომ არ ვიცოდეთ ამ აკრონიმების გაშიფვრა და მათი მნიშვნელობა, შესაძლოა შეცდეთ და ჩვეულებრივ ინგლისურ სიტყვებად მივიჩნიოთ. მას თან ერთვის ის ფაქტიც, რომ ეს აკრონიმები იკითხება, როგორც სიტყვები.

აკრონიმების წარმოთქმასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთიანი აზრი. მეცნიერთა ჯგუფი, რომლებიც აბრევიატურებისა და აკრონიმების ლექსიკონის ავტორებად გვევლინებიან, წერს: „ამ თემასთან დაკავშირებით გამომცემლები შეთანხმდნენ – მიეხმარეთ თქვენს ცნობიერებას, ინტუიციას, წაიკითხეთ და გამოთქვით აკრონიმები, ისე როგორც თქვენ გსურთ. ზოგიერთი მათ წარმოთქვამს ჩვეულებრივი სიტყვების მსგავსად, ზოგიც ანაწევრებს მათ. როგორც ვხედავთ ამ ლექსიკონის ავტორები საკითხის გადაჭრას მკითხველს ანდობს [41, 9-10].

აკრონიმებთან დაკავშირებით კიდევ ერთი თავისატეხი არსებობს: როგორ ავსახოთ აკრონიმები გრაფიკულად – მთავრული თუ პატარა ასოებით? კვლავ ზემოთხსენებულ მეცნიერთა ჯგუფის აზრი მოვიყვანოთ: „შედარებით იშვიათია, მაგრამ თანდათანობით უფრო მისაღებია სალიტერატურო ენისათვის, რომ აკრონიმები დაიწეროს პატარა ასოებით. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისები, ძირითადად სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინების წერის დროს, მაგრამ აკრონიმებს ძირითადად მაინც მთავრული ასოებით წერენ" [63, 168]. რაც შეეხება საკუთარ სახელებს, ჩვეულებრივ ორგანიზაციის დასახელებებს, პარტიის სახელწოდებებს და ა.შ. მათ ყოველთვის მთავრული ასოებით წერენ. მაგ: ASEAN < Association of South East Aisan Nations; UNISIST < United Nations Intergavernmental System of Information in Science and Technology [6].

ხშირად აკრონიმების შემდეგ სვავენ სასვენ ნიშნებს. ძირითადად წერტილებსა და დეფისებს ეხვდებით. მაგ: J-I-T < Just-in-time; თუმცა ამ აკრონიმს დეფისის გარეშეც ხვდებით- JIT. აუცილებელია აკრონიმის ზუსტად გაშიფვრა, რადგან ზოგ-

ჯერ მათი გაშიფვრა მრავალნაირად შეიძლება, მაგ: ANWR < Arctic National Wildelife Reserve, აგრეთვე სიტყვა answer შემოკლებული ვარიანტი.

ან რას ნიშნავს MOS-ს შემდეგ მაგალითში: Bill catch MOS. ის იშიფრება, როგორც "Man on the street" და სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ბილმა მოსკიტი (კოღო) Mosquitto ან Metal Oxide Semiconductor დაიჭირა, თან ეს უკანასკნელი სულ არ ეთანხმება ზემოთ თქმულს. ბილმა იპოვა სამიზნე სწრაფი ინტერვიუსათვის ქუჩაში.

შეზრდა

სამეტყველო საშუალების ეკონომიის კანონის ერთ-ერთ გამოვლინებად, „მინიმალური ძალისხმევის პრინციპად", შეიძლება ჩაითვალოს ტელესკოპური ანუ შენაზარდი სიტყვების წარმოება, რაც ბოლო ორი ათეული წლის ნეოლოგიზმებს შორის არცთუ ისე იშვიათი მოვლენაა.

ზემოთ აღნიშნულის დასადასტურებლად შეგვიძლია მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ბარნჰარტის ლექსიკონის პირველ გამოცემაში შენაზარდი სიტყვები შეადგენდა საერთო რაოდენობის 4,8%, მეორე გამოცემაში კი უკვე რვას.

ტერმინ „ტელესკოპიის" ქვეშ მოიაზრება სიტყვაწარმოების საშუალება, როდესაც ახალი სიტყვა ჩნდება ეროი ამოსავალი სიტყვის სრული შერწყმით, მეორეს მოკვეცილ ფუძეზე ან ამოსავალი სიტყვების ორი მოკვეცილი ფუძის შერწყმით. ახალი სიტყვის მნიშვნელობა სრულიად ან ნაწილობრივ მოიცავს და აღნიშნავს, გამოხატავს მასში შემავალი სტრუქტურული კომპონენტების მნიშვნელობას.

რ. ს. გინზბურგისა და მის თანაავტორების განმარტებით, შენაზარდი არის გამიზნულად შექმნილი სიტყვა, რომელიც გვეცნობა რამდენიმე სიტყვის შეერთების შედეგად, რომლებსაც ლინგვისტები უწოდებენ "Splinters" – ნამსხვრევებს. ეს ე.წ. „ნამსხვრევები" იძენენ სხვადასხვა ფორმას და შესაძლებელია მათი გათიშვა საწყისი სიტყვისაგან მორფემული სა-

ზღვრით, როგორც მაგალითად, სიტყვაში transceiver < transmitter and receiver, ან მარცვლოვანი საზღვრით, როგორც სიტყვა'ში cute (execute) < electrocute, ან საერთოდ ორივე საზღვრის უგულებელყოფით, როგორც brunch < breakvast and lunch [19, 67].

მოკლედ, რომ ვთქვათ, ეს არის სიტყვები, რომლებშიც ერთი სიტყვის მოკვეცილი ნაწილი შეერთებულია მეორე სიტყვის მოკვეცილ ნაწილთან.

ლიტერატურაში ახალი ლექსიკური ერთეულების წარმოების ეს საშუალება ცნობილია, ასევე ისეთი სახელწოდებებით, როგორებიცაა: რუსულად - **слияние, стяжени, контаминация, вставочное словообразование, гибридизация,** ინგლისურად **blends, blendings, fusions, portmanteau words,** ხოლო ქართულად ძირითადად შენა'სარდის ტერმინით მოვიხსენიებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მსგავსი ფენომენი ლინგვისტიკაში ზოგადად მოიხსენიება აგრეთვე „პორტმანტოების" სახელწოდებით. ტერმინი **"Portmanteau Words"** პირველად გამოიყენა ცნობილმა საბავ'შვო მწერალმა ლუის კეროლმა 1872 წელს საკმაოდ პოპულარულ და ყველა ბავ'შვისათვის საყვარელ წიგნში "Through the Looking Glass" "სარკის მიღმა", რომ განემარტა მის ე.წ. Nonsense ლექსში "Jabberwocky" ნახმარი ზოგიერთი სიტყვა: "Well "slithy" means "lithe" and slimy" ... you see its like a portmanteau – there are two meanings packed up into one word – ხსნის ავტორი. მართლაც ჩვენთვის ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო ადვილად გასაგებია ავტორისეული განმარტების შემდეგ, ვიდრე მისი პირდაპირი მნიშვნელობით. საინტერესოა "Jabberwocky "–ის ერთი შეხედვით უაზრო, მაგრამ ლამა'ხი სტრიქონების კითხვა, რომელიც თავად კეროლის მიერ არის გამოგონილი და რომელთა თარგმნა თითქმის შეუძლებელია იმის გამო, რომ თარგმან'ში დაიკარგება ამ ლექსის არსი და მნი'შვნელობა. მეორეს მხრივ, ინგლისური ენის მცოდნეთათვის არაა რთული სიტყვათა თამაშის გაგება. საინტერესოა, რომ თავად ლექსის საითაურისათვის გამოყენებული სიტყვა "Jabberwocky" აღნიშნავს ე.წ. „უაზრო ენით მეტყველებას".

თავად სიტყვა Portmanteau ფრანგული წარმოშობისაა და ნიშნავს ტანსაცმლის შესანახ დიდ პორტფელს, საკვოიაჟს. ლუის კეროლამდეც იყო დაფიქსირებული საკმაოდ ბევრი მაგალითი შენაზარდისა, მაგალითად: Anegdotage < anegdote და dotage, ჟბედი, ლაპარაკის მოყვარული მოხუცების აღსანიშნავად პირველად 1832 წელს დაფიქსირდა; Squirl < squiggle + whirl - 1843 წელი; Squdge < squash + pudge – 1870 წელი.

ზოგი თვლის რომ შენაზარდი სიტყვების უფრო ადრინდელი მაგალითებიც არსებობს ენაში. მაგალითად, სიტყვა Bash შესაძლოა იყოს bang-ისა და smash-ის ნარევი, ასევე Clash < clang + crash. ბევრი მსგავსი სიტყვა არის ძველი და შესაბამისად იმის დადგენა, თუ რომელი სიტყვების შეერთებით მოხდა მათი წარმოება რთულია. საინტერესოა, რომ მსგავსი სიტყვების წარმოება მე-19 საუკუნის 90-იან წლებში საკმაოდ აქტიურად დაიწყო ლ. კეროლოს ზეგავლენით. მაგალითად, შენაზარდი Electrocute < electricity + execute ენაში პირველად 1889 წელს გამოჩნდა, Prissy < prim + sissy – 1895, Travelogue < travel + monologue – 1903, Mingy < mean + stingy – 1911, Scientification < science + fiction – 1916, Seqspert < sex + expert – 1924, Saxsaitional < sex + sensetional – 1925, Jacobethen < Jacobean + Elizabethen – 1933, Guesstimamte < guess + estimate – 1936.

სიტყვაწარმოების სხვა საშუალებებს შორის შენაზარდი სიტყვების წარმოების ადგილის თაობაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. ზოგჯერ მას აიგივებენ კომპოზიციასთან, ზოგჯერ – აბრევიაციასთან, ხან თვლიან, რომ ამ ხერხს უჭირავს შუალედური მდგომარეობა აბრევიაციასა და კომპოზიციას შორის. არსებობს მოსაზრება, რომ ეს არის სიტყვაწარმოების სრულიად დამოუკიდებელი ტიპი, რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

ენაში ხშირად არის ისეთი მომენტები, როდესაც თავად შენაზარდი სიტყვები გვეცლინებიან ახლი პრეფიქსებისა თუ სუფიქსების მაწარმოებლად. მაგალითად, სიტყვა Motorcade, როგორც ვიცით მიღებულია სიტყვების motor და cavalcade–ის შეერთების გზით, რომლის შემდეგ ენაში წარმოიშვა ახლი

სუფიქსი Cade ისეთი სიტყვების საწარმოებლად გამოიყენეს, როგორებიცაა: aerocade, aquacade, camelcade, tractorcade. მის მსგავსად პრეფიქსი Info–ს საშუალებით მრავალი სიტყვის წარმოება განხორციელდა.

ჩვენი კვლევისათვის, ისევე როგორც მრავალი მეცნიერისათვის, რთულია იმის დამტკიცება, რომ სიტყვები infoglut, infobahn, infodump, infonaut შენაზარდებია თუ ჩვეულებრივი სიტყვები, როგორც information. სხვა მსგავსი მაგალითებია – Thon < marathon, telethon, preachathon, operathon, stripperthon და ა.შ.

ვფიქრობთ, რომ ამ მოსაზრებებს შორის მსგავსი განსხვავება იმით აიხსნება, რომ შეიზრდა იგივე ტელესკოპია, სიტყვაწარმოების შედარებით ახალი საშუალება. ვ.ადამსის აზრით ამ სიტყვების ძირითადი მასა გამოჩნდა მხოლოდ XX საუკუნეში და მას მერე მისი პროდუქტიულობა პერმანენტულად იზრდება. ამ ტიპის პირველი სიტყვები მეთხუთმეტე საუკუნეში გაჩნდა. ადრე მათ ქმნიდნენ იუმორისტული მიზნით და მხოლოდ მეოცე საუკუნეში გადაიქცა ეს ტიპი სიტყვაწარმოების საშუალებად, რომელსაც გააჩნია იმის საშუალება, რომ მოახდინოს სერიოზული და მნიშვნელოვანი შეესება ინგლისური ენის ლექსიკურ მარაგში [63, 174].

ამ ტიპის მაგალითებს მიეკუთვნება: Affluenza < affluence + influenza; Babynap < baby + kidnap; Daymare < day + nightmare; Travelogue < travel + catelog; ამ სიტყვებს არ მოაქვთ ახალი აზრობრივი ინფორმაცია, რადგანაც ასეთი ერთეულების წარმოქმნისას ხორციელდება სინონიმებისაგან კომპონენტების მნიშვნელობით მონათესავე სიტყვების შერწყმა. ასეთი ერთეულები იქმნება ცნების ან მოვლენის სინამდვილის უფრო ემოციურად და ექსპრესიულად გადმოცემის მიზნით.

საინტერესოა სხვადასხვა მეცნიერის აზრი შენაზარდ სიტყვებთან დაკავშირებით. მაგალითად ი.ვ. არნოლდის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ შენაზარდების ადიტიური და რესტრიქტიული ტიპები. ორივე ტიპი თანაარსებობს ენის ლექსიკონში. ადიტიური ტიპი შეიძლება გადაიქცეს ფრაზად, სი-

ტყეების ძირითადი ნაწილების and კავშირის შეერთებით. მაგალითად, Vietnik < Vietnam + beatnik, Abusak < abuse and musak, Smog< smog and fog.

რესტრიქტიული ტიპი (იგივე შეზღუდული ტიპი) შესაძლოა, თვისობრივ ფრაზად გადაიქცეს, სადაც პირველი ელემენტი განსაზღვრავს მეორეს. მაგალითად, Slanguage < slang + language; Motel < motorist's hotel, Spam < spiced jam [61].

ი. ვ. არნოლდის მსგავსად სხვადასხვა მეცნიერი შენაზარდ სიტყვათა სხვადასხვა წარმოების მოდელს გვთავაზობს, თუმცა ამოსაყალი წერტილს ერთი და იგივე მოსაზრება წარმოდგენს. სიტყვაწარმოების ამ ტიპის კვლევის პროცესში გასათვალისწინებელია ორი ასპექტი – სტრუქტურა და სემანტიკა. ტელესკოპური სიტყვაწარმოების განსაკუთრებული აგებულება წარმოადგენს იმას, რომ ერთ-ერთი მისი შემადგენელი კომპონენტთაგანი წარმოდგენილია არა მთლიანი არამედ მოკვეცილი ფუძით ანუ მის ფრაგმენტებად, „ნამსხვრევებად". ამაშია ტელესკოპიის ძირითადი განსხვავება კომპოზიციისაგან, რომლის დროსაც კომპონენტები სრულ ფუძეებად წარმოგვიდგებიან.

ტლესკოპიზმები, როგორც ეხედავთ არღვევენ მორფოლოგიის საზღვრებს და ორიგინალურ კომპონენტებად გვევლინებიან. მათ როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ ძირითადად სასაუბრო ელფერი აქვთ. შენაზარდების ნაწილს ენის ლექსიკონი ითვისებს და ენაში მკვიდრდება. ბევრი ერთეული უკვალოდ ქრება, მაგრამ ძირითადად წარმოქმნიდან გარკვეული დროის მანძილზე შენაზარდები დიდი პოპულარობით სარგებლობენ.

ნეოლოგიზმების განვითარების მოკლე ისტორია და მათი აღიარება კულტურაში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნეოლოგიზმები გამოიყენება იმ ცნების აღსანიშნავად, რომელიც ახალია ენაში. ახალი სიტყვები ჩნდება ძველი სიტყვების ახალი ინტერპრეტაციის გზით ან სპონტანურად იქმნება საუბრის პროცესში მოსაუბრის მიერ, რომელიც განსაკუთრებით თავს იჩენს სოციალურ ქსელებში.

თვითონ სიტყვა ნეოლოგია დაახლოებით 1800 წელს იოჭელის. იგი პირველად გამოყენებულ იქნა ახალი სიტყვების მოსახსენებლად ენაში და თვითონ შექმნა ახალი ცნება.

როგორც ლიტერატურული ცნება და ტერმინი ნეოლოგიზმი ენაში გამოჩნდა მე-18 საუკუნის დასაწყისში, როდესაც ფრანგმა ნეოკლასიკოსებმა გაერთიანება იწყეს ევროპის მასშტაბით და გადაწყვიტეს დაემკვიდრებინათ ნორმატიული ანუ განსაზღვრული სწავლება. მათი იდეა კი იმაში მდგომარეობდა, რომ თითოეული ახალი მცნება, რაც თავს იჩენდა ენაში, ლიტერატურაში დაემკვიდრებინათ განსაკუთრებული ლიტერატურული ენის სტილით და უნდა ეხელმძღვანელად სპეციფიკური ტერმინებით გრამატიკული და სტილისტური ცვლილებების გათვალისწინებით.

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ ზოგიერთი ლინგვისტი თვლიდა, რომ ეს გამოიწვევდა ენის დეგრადაციას. საბოლოოდ ნეოლოგიზმებს წუნი დასდეს და როგორც ესთეტიურად, ასევე ლინგვისტურად მხოლოდ დამამცირებელი კონოტაციით იყენებდნენ. ეს მიდგომა დღესდღეობით კვლავ არსებობს.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ცხადი გახდა, რომ ლექსიკონს მთლიანად ვერ შეზღუდავდნენ ენაში დამკვიდრებული ახალი სიტყვებისა და ფრაზებისაგან. ეგრეთ წოდებულ **"Pejorative Neologism"** ანუ დამამცირებელი ნეოლოგიზმების ცნებამ შეიცვალა კონოტაცია და იმ დროისათვის მოიხ-

სენებდნენ, როგორც **"Meliorative Neology"** ანუ გაუმჯობესებული ნეოლოგიზმები, რომლებიც ენაში შეეიდოდა სწორი გრამატიკული ფორმით და ლინგვისტების მიერ იქნებოდა აღიარებული.

ეს მოსაზრება კი იმაში მდგომარეობდა, რომ ლექსიკონში მხოლოდ ის ახალი სიტყვა უნდა შესულიყო, რომელიც ახალ ცნებას აღნიშნავდა და აუცილებლად უნდა ჰქონოდა რომელიმე უკვე არსებული სიტყვაწარმოების ფორმა. წინა საუკუნეებში ტერმინი ნეოლოგიზმი თავისი არსით უტოლდებოდა "Barbarisms" – ბარბარიზმებს. ინგლისურ ენაში მას მოიხსენიებდნენ, როგორც "Gallicism", ხოლო ფრანგულში, როგორც "Anglicism". ზოგიერთი მკვლევარი ნეოლოგიზმებს არქაიზმებადაც კი მოიხსენიებდა „Archaism" და თვლიდნენ რომ ეს ტერმინი იყო "Purism"–ის ანტონიმი. სიტყვა ნეოლოგიზმის ახლებური კონოტაციით გაგება თავს იჩენს მხოლოდ მე-19 საუკუნის დასაწყისიდან. მეცნიერები გამოყოფენ ნეოლოგიზმების რამდენიმე ტიპს:

1.**Unstable Neologisms** არამდგრადი ნეოლოგიზმები, რომლებსაც იყენებს საზოგადოების მცირე ნაწილი გარკვეულ სფეროებში.

2.**Diffused Neologisms** – გავრცელებული ნეოლოგიზმები, რომლებიც საზოგადებაში გავრცელებულია, მაგრამ არ არის მიღებული ფართო მასებში.

3.**Stable Neologisms** – მდგრადი ნეოლოგიზმები. ზემოთხსენებულ ნეოლოგიზმების ტიპებში თავის მხრივ ერთიანდება scientific – მეცნიერული, technological – ტექნიკური, political – პოლიტიკური, pop-cultural jargon – მოულოდნელად გაჩენილი ჟარგონი, imported – შემოტანილი, ანუ ნასესხები, trademark – პროფესიასთან დაკავშირებული, literature ლიტერატურიდან დამკვიდრებული ნეოლოგიზმები.

პირველ რიგში აღსანიშნავია, ის რომ ნეოლოგიზმები ძირითადად მყარდებიან იმ კულტურაში, სადაც ელვისებურად იცვლება ყველაფერი. გარდა იმისა, რომ ნეოლოგიზმი აღნიშ-

ნაეს ახალ ტერმინს, მან შეიძლება თავი იჩინოს იმ ადამიანის მეტყველებაში, რომელისთვისაც ესა თუ ის ენა არ არის მშობლიური და მის მეტყველებაში სპონტანურად თავს იჩენს გრამატიკული შეცდომა, ან არასწორად ნათქვამი სიტყვა, რომელიც აგრეთვე შეიძლება მიჩნეულ იქნეს ნეოლოგიზმად.

ნეოლოგიზმები ძირითადად ვრცელდება ინტერნეტისა და მასმედიის საშუალებით, რომელსაც **"word of mouth"**–ს უწოდებენ, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ცნება თუ სიტყვა თავის დროზე ახალი სიტყვა იყო, რომელმაც გაუძლო დროს და შეინარჩუნა მდგრადობა. საინტერესოა რა ფაქტორები მოქმედებს ენაში სიტყვის გაჩენიდან მისი სტაბილურობის შესანარჩუნებლად და საზოგადოებაში დასამკვიდრებლად, რაც წარმოადგენს ჩვენი კვლევის ერთ-ერთ მიმართულებას.

ძირითად ფაქტორად შეიძლება მიჩნეული იყოს თვითონ საზოგადოება, რომელმაც უნდა მიიღოს ესა თუ ის ახალი ტერმინი და ლინგვისტები, რომლებიც მუშაობენ ლექსიკონებში ახალი ცნების შესატანად. ლინგვისტები თვლიან, რომ როცა სიტყვა აღარ არის „ახალი", ის აღარ არის ნეოლოგიზმიც. ჩვენი აზრით ენაში სიტყვის დასამკვიდრებლად საზოგადოება უფრო დიდ როლს თამაშობს ვიდრე დრო.

ენის ახალი ერთეულებით მეტყველება მისაღები გახდა მთელს მსოფლიოში. მიუხედავათ იმისა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლების მხრიდან ხშირია ახალგაზრდობის მიმართ გამოთქმული პრეტენზიები, დარიგებები, თუ მითითებები ენის „წაბილწვისგან" გადარჩენის მიზნით, უფროსი თაობის წარმომადგენლების მხრიდანაც ხშირად ვისმენთ ენის ახალ, ზოგჯერ გაუმართავ ფორმებს.

ახალგაზრდების საუბრისას შეეხვდებით თანამედროვე ენის ისეთ თავისებურებებს როგორიცაა: სლენგი, პროფესიონალიზმი, ჟარგონიზმი, ვულგარიზმი, სოციოლექტი. ეს ტენდენცია ძირითადად მუსიკის ახალი ჟანრების და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ გამოიწვია. ზოგიერთი ტერმინი ენაშიც და ინდივიდუალურ ადამიანებშიც ძნელად მკვიდრდება, ზოგიერთი კი საკმაოდ სწრაფად. ეს უმთავრე-

სად დამოკიდებულია სხვადასხვა სფეროზე, ახალი სიტყვის ჟღერადობაზე, სიტყვაწარმოების მეთოდზე და პოპულარობაზე. სიტყვის პოპულარულობის ძირითადი გამომწვევი მიზეზია ტელევიზია, პრესა და ინტერნეტი. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ სოციალურ ქსელებში ახალი სიტყვის თუ ფრაზის გავრცელება და საზოგადოების მიერ მისი გამოყენება მომენტალურად მიმდინარეობს. ასე, რომ „საყოველთაო უმეცრება", რომელიც სავაროდ არსებობდა მეტყველების ნაწილად იქცა.

"Yesterday's neologisms like yesterday's jargon are often today's essential vocabulary" - გუშინდელი ნეოლოგიზმი, გუშინდელი ჟარგონის მსგავსად დღევანდელი დღის სიტყვათა მარაგის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ნეოლოგიზმების გამოყენების სფეროები

ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია გამოვყოთ სფეროები, რომლებშიც ფეხი აქვს მოკიდებული ნეოლოგიზმებს სხვადასხვა სიტყვაწარმოების გზით, როგორიცაა აბრევიაცია, აკრონიმია, მოკვეცა, შეზრდა. ნეოლოგიზმების გამოყენების სფეროებია: სატელეგრაფო, სამხედრო, პოლიტიკური, კომპიუტერული და ინტერნეტის, საგაზეთო, მედიის, ბიზნესის, მედიცინის და მეცნიერების სხვა სფეროები. საინტერესოა, რომ ეგრეთ წოდებული „სიტყვისმჭედლები" დღითიდღე ხვეწენ სიტყვების შექმნის ტექნიკას, რაც განაპირობებს სამეტყველო ლექსიკაში საკმაოდ დიდ რაოდენობის სიტყვების მოდინებას.

ჩვენი კვლევის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა ბოლო დროს წარმოებული სიტყვების მოძიებას, რომლებსაც ყველაზე ხშირად და აქტიურად იყენებენ ინგლისური ენის მატარებლები და ბუნებრივია ენაში არსებობენ სლენგის სტატუსით. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ინტერნეტ გვერდი **http://wordspy.com**, რომელიც ყველაზე მეტი პოპულარულობით სარგებლობს თანამედროვე ინგლისურ მეტყვე-

ლებაში. ინტერნეტ გვერდის გახსნისთანავე ყურადღებას იპყრობს ფრაზა: **"The Word Lover's Guide to New Words".**

ზემოთმოყვანილი ინტერნეტ გვერდი საშუალებას იძლევა თვალი ადევნო ყოველდღიურად შექმნილ ნეოლოგიზმს, რომელიც ძირითადად თავს იჩენს პრესაში და სოციალურ ქსელებში. ინტერნეტ გვერდ'ზე შეიძლება მოიპოვო ბოლო კვირის, თვის, ან წლის ყველაზე პოპულარული და ხშირად გამოყენებული 100 ნეოლოგიზმი, რომლებიც დაყოფილია კატეგორიებისა და თარიღების მიხედვით. აღნიშნულ ინტერნეტ გვერდზე შესაძლებელია გაერთიანება და ყოველდღიურად ელექტრონულ ფოსტის საშუალებით ენაში დამკვიდრებული ახალი სიტყვების გაცნობა, სადაც მითითებულია აღნიშნული სიტყვის პირველად გამოყენების სფერო, ადგილი, შექმნის თარიღი, ციტირება უშუალოდ გამოყენებული ტექსტიდან და მონათესავე ნეოლოგიზმები.

ვებ-გვერდი wordspy.com ახალი სიტყვების ყველაზე მასშტაბურ აღრიცხვას აწარმოებს. იგი 1996 წ. დააარსა პოლ მაკფედრისმა. იგი ენას ადარებს ჯუნკანს, რომელიც მუდმივად აფრქვევს ახალ სიტყვებსა და ფრაზებს. ზოგიერთი მათგანი ქარს მიაქვს, ხოლო ზოგიერთი წარმოადგენს ლინგვისტურ ლავას, რომელიც ეშვება და დაუყონებლივ იმკვიდრებს ადგილს ენაში.

ლინგვისტების მიერ სხვადახვა დროს ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ ენაში ახალი სიტყვების დამკვიდრება განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის მიწურულს. კერძოდ 40% ახალი სიტყვებისა 90-იან წლებში წარმოიქმნა, როცა კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა პიკს მიაღწია და განსაკუთრებით ეს იყო სექსუალური რევოლუციის შედეგი; 24% სიტყვებისა დამკვიდრდა 80-იან წლებში, როცა ტექნოლოგია სტაბილურ განვითარებს ინარჩუნებდა, ხოლო 2000-2004წწ. პროცენტულმა მაჩვენებელმა 36% გადააჭარბა.

XXI საუკუნე ყველაზე მდიდარი პერიოდია ახალი სიტყვების დამკვიდრების მხრივ. კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს ზემოთმოხსენიებულ ინტერნეტ გვერდზე 2012 წლის 50 ყველაზე პოპულარული და ხშირად

გამოყენებული ნეოლოგიზმების კვლევა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: სიტყვის პოპულარულობა, საზოგადოებაში დამკვიდრების ტენდენცია და კულტურული აღიარება, სიტყვის შექმნის თარიღი, გამოყენების სფეროები, სიტყვაწარმოების ხერხები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გამოკვლეული 50 ნეოლოგიზმი, მათი შექმნის თარიღი და განმარტება.

ცხრილი 1.

№	სიტყვა	შექმნის თარიღი	სიტყვის განმარტება
1	**War-texting**	21 April, 2011	Using text messages to break into a remote such as an automobile or a GPS trackong device.
2	**Architectural myopia**	1 January,1981	Building design that emphasizes distinctive, attention-getting features over practical concerns or simple aespetics.
3	**Drunckorexia**	12 December, 2007	Eating less to offset the calories consumed while drinking alcohol.
4	**Undruggable**	18 July,2001	Relating to a disease causeing molecule for which it is extremely difficult or impossible to create a drug that inhibits the molecule
5	**Google**	14 January, 2001	to search for information on the Web, particulary by using google, search engine
6	**Two-pizza team**	21 January, 2004	In a business inviroment , a team of employees that is not too large
7	**Ghost bike**	27 May, 2004	an old bike painted and locked to a fence or post near the scene of an accident that killed a cyclist.
8	**Metrosexsual**	15 November, 1994	An urban male with a stron aesthetic sense who spends a great deal of time money on his appearance and lifestyle.
9	**Data furnace**	25 July, 2011	a computer installed in a home or office to be used a both a server and

			the buliding's heat source.
10	**No planer**	11 May, 2004	a conspiracy theorist who believes that no planes were involved in a terrorist attackts of September 11,2001.
11.	**Pishing**	28 January, 1996	Creating a replica of an existing Web page to fool a user into submitting personal, financial, or password data
12	**Ikea effect**	26 February, 2006	Increased feelings of pride and appreciation forman object because it has been self-made or self-assembled
13	**Quiet car**	31 october, 1997	A train or a subway car where riders cannot have cellphone conversations or use nosiy devices.
14	**Retrosexual**	28 June, 2003	A man with an undeveloped aesthetic sense who spends as little time and money as possible on his appearance and lifestyle
15	**Google bombing**	6 April, 2001	setting up a lartge number of Web pages with links that point to a specific web site will appear near the top of a google search when users enter the link test
16	**Flash mob**	1 July, 2003	A large group of people who gather in a usually predetermined location, perform some brief action, and then qulickly disperse
17	**Meatloaf**	9 December, 1999	Forwarded messages, jokes, lists, and other uncolicited noncommercial e-mail messages sentby an individual to a large number of people
18	**Dejab**	12 August, 2008	To stop wearing a hijab
19	**Wet signiture**	8 July, 1999	an original signiture written on a piece of paper, as oppoed to a fax copy or to an agreement offered verbally or electronically
20	**Type T personality**	15 April,1985	A personality type that seeks out thrilling or dangerous experiences.
21	**Crackberry**	29 September,	a blackberry hand held computer

		2000	particularly one used pbsessively.
22	**Plutonomy**	3 July, 1999	An economy that is driven by or that disproportionately wealthy people, or one where the creation of wealth is the principal goal.
23	**Soft power**	March, 1990	Power based on intangible or indirect influences such as culture, values and ideology
24	**Wall-Mart effect**	11 October, 1990	the economic effects attributable to the Wal-mart retail chain, including local effects, such as forcing smaller competitors out of business and driving down wages, and broader effects such as helping to keep inflation low and productivity high.
25	**Underdecided**	30 March, 1992	Being unenthuasiastic or unsure about a decision, particularly when choosing a candidate in a n election
26	**Drink the kool aid**	17 July,1987	to become a firm believer in something
27	**Bobo**	3 April, 2000	A person who combines affluence and a successful career with a preference for countercultural ideas and artifact
28	**Lip-dub**	14 December, 2006	A video that features one or more people lip-synching, which is later dubbed over the edited footage
29	**Spotlight effect**	12 August, 1996	the tendency to believe that other people are paying closer attention to one'appearance and behavior than they really are
30	**Narb**	1 April,2010	an item of personal information posted online
31	**Tweetup**	21 March, 2007	a real world meeting between two or more people who know each other through the online Twitter service
32	**Social networking**	9 January, 2003	Using a website to connect with people who share similar personal or professional interests
33	**CXO**	9 January, 1997	Generic term for corporate officer

34	**Torch and pitchfork**	4 July, 1990	relating to an energy, unruly mob, particulary one seeking vengeance
35	**Sabbath mode**	19 December, 1994	a feature that enables an oven to stay on for extended periods, such as the Jewish Sabbath- to keep pre-cooked food hot.
36	**Earwarm**	22 December, 1987	A song or tune that rapeats over and over inside a person's head
37	**Candy bar phone**	17 January, 2003	a cell phone with no lid and with a rectangular shape that resembles a traditional candy bar
38	**Wildposting**	8 May, 1984	poster advertising displayed on construction, hoardings, buildings, and other free spaces
39	**Stendal's syndrome**	7 September, 1986	Dizziness, penic, paronia, or madness by viewing certain artistic or historical artifacts or by try to see too many artifacts in too short time.
40	**Desire line**	August, 1987	An informal path that pedestrians prefer to take to get from one location to another rather than using a sidewalk or other official road.
41	**Lipstick lesbian**	7 December, 1987	a lesbian who is beautiful , stylish or marketely feminine
42	**Latchkey dog**	13 October, 1986	A dog that is allowed to roam the streets on its own, particulary durng the daywhen its owners are at work
43	**Gaydar**	1 January, 1981	An intuitive sense that enables someone to identify whether another person gay
44	**Camgirl**	28 January, 1998	a girl or a young woman who broadcasts live pictures of herself over the WWW
45	**Jump the shark**	29 May, 1998	In a TV show to include an over-the-top scene or plot twist that is indicative either of an desparate bid to stem the show's declining rating
46	**Earned media**	18 January, 1998	Free media coverage, such as a story or opinion piece
47	**Darknet**	25 November,	The collocation of networks and other

		2002	technologies that enable people to illegally share copywrighted digital files with little or no fear of detection
48	**Pareidolia**	24 June, 1994	The erroneous or fanciful perceptionof a pattern or meaning in something that is actually ambiguous or random
49	**Sock puppet**	9 July, 1993	A fake person used to discuss or comment on oneself or one's work, particularly in an online discussion
50	**War driving**	1 December, 2000	A computer crackong technique that involves driving through a neighborhood with a wireless-enabaled note-book computer and mapping houses and business that gave wireless access points.

ზემოთ მოცემული ცხრილის თანახმად 50 ნეოლოგიზმის საფუძველზე შეიძლება დავასახელოთ 2012წ. ქველაზე ხშირად გამოყენებული სხვადასხვა სიტყვაწარმოების გზით შექმნილი ნეოლოგიზმების დამკვიდრების ტენდენციები სხვადასხვა სფეროში:

1. **კომპიუტერის სფერო** (მთლიანი რაოდენობა 15), აქედან კომუნიკაცია-1, ინტერნეტი-9, ჰაკერი-2, ელექტრონული ფოსტა-2, მონაცემთა ბაზა-1.

2. **კულტურის სფერო** (მთლიანი რაოდენობა 13), აქედან: სახლის მოწყობილობა და არქიტექტურა-2, ადამიანის აღწერილობა-1, ტანისამოსი-1, წერა-1, კინო-2, მუსიკა-2, საჭმელი და დასალევი-1, მოგზაურობა და ტურიზმი-1, შინაური და გარეული ცხოველები– 1, პრესა-1.


3. **სოციოლოგიის სფერო** (მთლიანი რაოდენობა 7), აქედან: ცხოვრების სტილი-2, ასაკი და სიკვდილი-1, ჰომოსექსუალი (გეი და ლესბოსელი)–3, დემოგრაფია-1.

4. **ბიზნესი** (მთლიანობაში 6), აქედან: კულტურასთან თანამშრომლობა-1, ვაჭრობა-1, ეკონომიკა-2, დასაქმება-1, მარკეტინგი-1.

5. **მეცნიერების სფერო** (მთლიანობაში 5), აქედან: ფსიქოლოგია-4, ბიოლოგია-1.

6. **სალიტერატურო ენა** (4 იდიომი).

დიაგრამა 1.



აღსანიშნავია, რომ 2004წ. კულეშოვის თანახმად პირველ ადგილზე ახალი სიტყვების დამკვიდრების მხრივ იყო კულტურის სფერო, მეორე ადგილზე-სოციოლოგია, ხოლო მესამეზე კომპიუტერი. ზემოთ მოცემული კულეშოვის თანახმად კარგად ჩანს განხორციელებული ცვლილებები. განვიხილოთ თვითოეული სფერო ცალ-ცალკე.

კომპიუტერის სფერომ შვიდი წლის განმავლობაში მესამე ადგილიდან პირველ ადგილზე გადმოინაცვლა. 50 სიტყვიდან 15 სწორედ, რომ კომპიუტერის ვანვითარებასთან არის დაკავ-

შირებული. ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია კომპიუტერისა და ინტერნეტის ენის სწრაფი ცვალებადობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიცემული 50 ნეოლოგიზმიდან მხოლოდ 8 არის შეტანილი ვებსტერის ლექსიკონში, ახალი სიტყვებისა და სლენგის სექციაში აქედან კი 4 კომპიუტერის სფეროსთანაა დაკავშირებული, სამი სოციოლოგიასთან, ერთი კულტურასთან.

ყველაზე პოპულარულ ნეოლოგიზმს სიტყვა **"Google"** წარმოდგენს, რომელიც კიბერ სამყაროს განუყოფელ ნაწილად იქცა. ვებსტერის მიხედვით სიტყვა google არის ზმნა, რომელიც წარმოადგენს ინტერნეტ სივრცეში ყველაზე ფართო კელქციის საძიებო სისტემას, რომელიც 2001წ. დაფიქსირდა ენაში; ხოლო მისი პირველი მნიშვნელობა გახლავთ ციფრ ეროს დამატებული 100 ნული, ანუ ისეთი რაოდენობის აღნიშვნა, რაც უთვლადია. ეს სიტყვა კი უშუალოდ წარმოიშვა სიტყვა "googol"-იდან, რომელიც პირველად გამოიგონა 9 წლის მილტონ სიროტამ ამერიკაში 1930-იან წლებში. ეღვარდ კასნერი გახლდათ ცნობილი მათემატიკოსი, რომელმაც ძმის შვილს სთხოვა მოეფიქრებინა ყველაზე დიდი რაოდენობის ციფრის დასახელება.

მეორე ყველაზე გავრცელებული სიტყვაა **Flashmob-ი**, შედგენილი ზმნური არსებითი სახელი, რომელიც ნიშნავს წინასწარი ელექტრონული ფოსტის ან ტექსტური შეტყობინების საფუძველზე შეკრებილ ხალხს, განსაკუთრებულ ადგილას, განსაკუთრებულ დროს, რათა გაუჩინარებამდე წარმოადგინონ დადგმა. საინტერეოა ის ფაქტი, რომ ორივე სიტყვა ქართულ ენაში ფართოდ დამკვიდრებულია, მაგალითად **დააგუგლე, გუგალში მოძებნე, ფლეშმობი.**

მეორე ადგილს სიტყვების მრავალფეროვნების წარმოების მხრივ იკავებს კულტურის სფერო, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდება. მაგალითად სიტყვა **"Earworm"**–ი, რომელიც შედგენილი არსებითი სახელია და უკვე დამკვიდრებულია ენაში, ნიშნავს სიმღერის ან მელოდიის გამუდმებით გამეორებას გონებაში.

კვლევის თანახმად მესამე ადგილს სოციოლოგიის სფერო იკავებს, სადაც შეიდი ახალი სიტყვიდან სამი ჰომოსექსუალიზმის განშტოებას მიეკუთვნება. ამ სფეროში თავი იჩინა ყველაზე მეტმა ახალად წარმოებულმა სიტყვამ, რაც სხვა საუკუნეებისაგან განსხვავებით სექსუალური ორიენტაციის სწრაფად და ადვილად შეცვლამ გამოიწვია. მაგალითად სიტყვა **"Gaydar"-ი** საკმაოდ საინტერესო ნაზავია სიტყვებისა gay და rader, რომელიც პირველად 1982 წელს გამოჩნდა, დღესდღეობით კი ნიშნავს იმ პიროვნებას, რომელსაც ინტუიციით შეუძლია ჰომოსექსუალის ამოცნობა.

კვლევის თანახმად 50 ნეოლოგიზმიდან ოთხი 2011წ. არის შექმნილი, 20-2000-2010წლებში, 16-1990-1999წწ, ხოლო 10-1980-1989წწ. როგორც კვლევიდან ჩანს, 50 ნეოლოგიზმიდან 35 სიტყვა არსებითი სახელია, აქედან 14 შედგენილი არსებითი სახელი, რომელიც ძირითადად ორ ან ხშირად სამი მეტყველების ნაწილისაგან შედგება და უმეტეს შემთხვევაში შემადგენელი მეტყველების ნაწილები, ისევე არსებითი სახელებია ან არსებითი სახელი და ზმნა ან ზედსართაული სახელი.

ორი არსებითი სახელი შენაზარდის საშუალებით არის ნაწარმოები, მაგალითად სიტყვა **"Bobo"**, წარმოადგენს სიტყვების – bourgeois + bohemian-ის ნაზავს და აღნიშნავს იმ პიროვნებას, რომელიც მხარს უჭერს ბოჰემურ ფასეულობებს და ხელმძღვანელობს ბურჟუაზიული პრინციპებით. შეიდი შედგენილი ზედსართაული სახელია აფიქსებით ნაწარმოები, ოთხი ზმნა, 2 ხმნური არსებითი სახელი, ორი აბრევიატურა. ყურადრებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ სიტყვა flash mob-ის მსგავსად, შეიძლება ერთი სიტყვას ჰქონდეს არსებითი სახელის, ზედსართაულის, ხმის ფორმები და მრავლობითი რიცხვიც კი, როგორიცაა flash mobs.

სტატისტიკის თანახმად, ნეოლოგიზმების უმეტესობა იქმნება ენაში უკვე არსებული სიტყვებიდან, რომლებიც იძენენ ახალ მნიშვნელობას, ხოლო სრულიად ახალი სიტყვები ახალი მნიშვნელობით იშვიათად იქმნება.

"This book is a series of cultural snapshots, with the lens focused on new words and phrases that tell us something about our world. These snapshots cover various slices of modern life; including relationships, business, technology, war, aging, multiculturalism and ever fast food" – აღნიშნავს ზემოთხსენებული ინტერნეტ გვერდის ავტორი მაკფერდისი წიგნში **"Word Spy: The word lover's guide to modern culture"**. მაკფერდისი მიმოიხილავს ახალ სიტყვებს თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში, რომელიც მეტად აქტუალურია დღევანდელ ზეპირ თუ წერით მეტყველებაში, თუმცა მოცემულ სიტყვათა უმრავლესობას სლენგის ელფერი აქვს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევამ ცხადყო, რომ 2012 წლის გამოკითხვის თანახმად ყველაზე მეტი პოპულარობით ინტერნეტ სივრცე სარგებლობს და თავისთავად ამ ახალმა სიტყვებმა, რომლებიც ელვის სისწრაფით ჩნდება, ჩვენი ყურადღებაც მიიქცია. კვლევის საგანს წარმოადგენს ზემოთმოხსენიებულ ინტერნეტ გვერდზე დაფიქსირებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური ნეოლოგიზმები, რომლებიც თავს იჩენს კიბერ სამყაროში და ინტერნეტ მომხმარებლებს შორის მეტად აქტიური და პოპულარულია, აქედან ზოგი უკვე დამიკვიდრებულია, ზოგი კი თანდათან იკიდებს ფეხს. კიბერ სივრცეში ახლად შემოტანილი სიტყვები, სხვადასხვა კატეგორიებს განეკუთვნება. სულ 16 კატეგორიაა:

1. **Blogging** – ბლოგინგი, ბლოგის წარმოება ანუ პერსონალური გვერდი (29 სიტყვა).
2. **Communications** – კომუნიკაცია (28 სიტყვა).
3. **Data** – მონაცემები (42 სიტყვა).
4. **E-mail** – ელექტრონული ფოსტა (40 სიტყვა).
5. **Games** – თამაშები (18 სიტყვა).
6. **Hacking and Hackers** – ჰაკერობა და ჰაკერები (55 სიტყვა).
7. **Hardware** – კავეული (39 სიტყვა).
8. **Internet** – ინტერნეტი (194 სიტყვა).

9. **Jargon** – ჟარგონი (8 სიტყვა).

10. **Networking** – ქსელში მუშაობა (17 სიტყვა).

11. **Privacy and security**- საიდუმლოება და უსაფრთხოება (50 სიტყვა).

12. **Programming and software** – პროგრამირება და პროგრამული უზრუნველყოფა (69 სიტყვა).


13. **Social networking** – სოციალური ქსელი (20 სიტყვა).

14. **Spam** – სპამი, ანუ პრაქტიკულად არასაჭირო ინფორმაცია (ელექტრონულ ფოსტაზე მიღებული რეკლამა) (17 სიტყვა).

15. **Wireless** – უსადენო ინტერნეტი (20 სიტყვა).

16. **General** – ზოგადი (52 სიტყვა).

დიაგრამა 2.



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ნაწილი იმ 646 ინტერნეტ ნეოლოგიზმისა, რომლებიც 2005-2011 წლებშია შექმნილი. აღსანიშნავია, ისიც რომ, 16 კატეგორიდან ზემოთხსენებულ წლებში შექმნილი ნეოლოგიზმები მხოლოდ 11 კატეგორიას მოიცავს. თითოეულ მათგანს მითითებული აქვს სიტყვის განმარტება, შექმნის თარიღი, პირველადი წყარო, მეტყველების ნაწილი, და მათი სიტყვაწარმოების ხერხები. ზოგადად კი იგივე პრინციპით განხილული გვაქვს 546 სიტყვა, რომლის შესახებაც დაწვრილებით სტატისტიკურ მონაცემებს ქვემოთ მოგახსენებთ.

ცხრილი 2.

	სიტყვა	შექმნის თარიღი	სიტყვის განმარტება	პირველადი წყარო	მეტყველების ნაწილი
			Blogging		
1	**Blogebrity**	31.10.05	A famous or popular blogger	"New-York Observer"	n+n=n blog+celebrity
2	**Flog**	02.05.05	A blog that appears to be written by an individual, but it actually maintained by a corporate marketing department or a public relations firm	"Business Week"	n+n=n fake+log (blend)
3	**Lifecasting**	27.03.07	Using a protabel camera to broadcast one's activites over the Internet 24 hours a day	"The Assiciated press"	pp.
4	**Mindcasting**	19.05.08	Posting a series of messages that reflect one's current thoughts, ideas etc.	www.twitter.com	pp
5	**Peep Culture**	03.09.07	A culture in which many people write about or display – and other people to take pleasure in	"Deals" Publishers Weekly	Noun

			reading or watching the minutiae of their daily leaves		
6	**Translit eracy**	17.06.05	The ability to read and write using multiple media		Noun
7	**Tweetu p**	21.03.07	A real world meeting two or more people who know each other through the online twitter service.	"The social media marketing blog	Noun
8	**Vodcast ing**	01.03.05	Podcasting video content	"University of Missouri"	pp
9	**Word of blog**	20.11.05	Communication that occurs via blogs	"Sunday Times"	Noun CF. Word of Mouth
			Communication		
1	**Butler lies**	07.04.09	A lie used to politely avoid or end an e-mail, instant messaging or telephone conversation.	"Cornel University"	Noun
2	**Civilog ue**	28.03.10	A civil dialogue, particularly one in which the participants avoid insults, personal attacks, and negative generalizations.	"Politics Daily"	n+n=n (blend) civil+dialogue
3	**DWT**	17.03.05	Driving While Texting	"Chicago daily Herald"	abbr.
4	**Sexting**	02.07.05.	sending a salacious text message	"Daily Telegraph"	pp. belnd)sex+ texting
5	**Smextin g**	05.07.05	Sending text messages while standing outside on a smoking break	"Orange Mobile"	pp.(Blend) smoke+texting
6	**Smishin g**	25.05.06	An attempt to fool a person into submitting personal, financial or password data by sending a text message with a link to a scammer-controlled web-site	"McAfee Blog Central"	Noun (Blend) SMS +pishing

7	**War-texting**	21.04.11	Using text messages to break into remote system, such as an automobile or an GPS tracking device	"ISEC Partners"	pp
			Data		
1	**Clickprint**	18.09.06	A pattern of verb surfing behavior that identifies the person doing the surfing	http://knowledge.wharton.upenn.edu/papers/1323.pdf,	Noun
2	**Collabulary**	08.03.06	A common vocabulary with which web users categorize the data they find online	"Maison Bisson"	adj+n=n(blend) collaborative+vocabulary
3	**Filter bubble**	03.06.10	Search results, recommendations, and other online data, that have filtered to match your interests, thus preventing you from seeing data outside of those interests	"My heart's in Accra"	Noun
4	**Narb**	01.04.10	An item of personal information posted online, particularly as it contributes often unwittingly to a personal narrative that individual is creating online	"Global Media Journal"	Adj+n Blend Narrative+bit
5	**Physible**	23.01.12	A digital file containing instructions that enable a 3D printer to create a physical object	" The Pirate Bay, January 2"	adj+adj (blend)physical +feasible
6	**Pod Slurping**	15.06.05	The theft of corporating data by installing special software on an iPOD or similar device and then connecting that device to a computer or	"Sharp Ideas"	Noun

			network		
საკმაოდ საინტერესო თავისებურებას ქმნის ინფიქსის არსებობა კიბერ სივრცეში, კერძოდ კი ელექტრონულ მისამართებში, რომელიც წერტილის ჩართვას გულისხმობს. მაგ: **net.legend, net.abuse, net.police, net.citizen** [17, 83].

კიბერ სივრცეში ძალზედ პოპულარულია სიტყვაწარმოების ერთ-ერთი გზა კომპოზიცია ანუ თხზვა. ეს არის ორი სხვადასხვა ან ერთნაირი მეტყველების ნაწილების გაერთიანებით მიღებული ახალი სიტყვები. აღსანიშნავია, რომ ქვემოთ მოცემული სიტყვები ნაწარმოებია სხვადასხვა პრეფიქს-სუფიქსებით, რომელთაც ცალკე აღებულს ლიტერატურული მნიშვნელობა გააჩნიათ, მაგრამ მას შემდეგ რაც კიბერ სივრცეში ამა თუ იმ ახალი ტექნოლოგიის განშტოების სახელად იქცნენ, მათ მიეცათ პრეფიქსისა და სუფიქსის მნიშვნელობა. მაგალითად: mouse - თაგვი, click - დაწკაპუნება, ware - მოწყობილობა, web - ქსელი, net - ბადე, hot - ცხელი, bug- ხოჭო, digit - ციფრული. მაგალითად:

1. mouse: mouseclick, mousepad, mousover

2. click: click-and-buy, one-click, left-click, right-click, double-click, post-per-click

3. ware: shareware, groupware, freeware, firmware, wetware, shovelware,

4. web: webcam, webcast, webmail, webmaster, webster, webzine, webliography, webonomics, webhead

5. net: netlag, netdead, netnews, hypernet, usenet, netspeak,econet, peacenet,

6. hot: hotlist, hotlink, hotspot, hotmail, hotjava

7. bug: bugtracher, bugfix, bugbash, bugnet

8. digit: digiter, digithead;

კიბერ სივრცეში იშვიათია, მაგრამ მაინც გვხვდება ფრაზული ზმნები, მაგალითად: **mouse-across, mouse-over** [75].

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კიბერ სივრცეში წარმოებული სიტყვების უმეტესობა არსებითი სახელია და მრავლობით რიცხვს განსხვავებულად აწარმოებს. არსებითი სახელის მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი "en" სუფიქსი სალიტერატურო ენაში იშვიათია, მაგალითად ox-oxen, ხოლო ინტერნეტ სივრცეში "x" –ზე დაბოლოებული საკმაოდ ბევრი სიტყვა მრავლობით რიცხვს აწარმოებს en-ის საშუალებით, მაგალითად: boxen, vaxen, matrixen, bixen. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი "s" სუფიქსი, კიბერ სივრცეში "z"-ითაა შეცვლილი. მაგ: warez, tunez, gamez, serialz, downloadz, filez.

არცთუ იშვიათია სიტყვაწარმოების კონვერსიის ფორმები: a mouse – to mouse, a clipboard – to clipboard, a geek – to geek out (talk technically) a 404 – to 404 (be unable to find a page).

კიბერ სივრცეში უხვადაა წარმოდგენილი სიტყვაწარმოების ისეთი გზებით მიღებული სიტყვები როგორებიცაა: **შენაზარდი** მაგალითად: Netiquette, netizen, infonet, cybercide (the killing of pesrson on virtual games) datagram, infobahn, Internaut, bugzilaa (a bug-tracking agency).

აბრევიატურა — **FAQ** - Frequently asked questions, **ISP**- Internet service provider, **URL** - Uniform, resourse locator, **3Com**- computer, communication, compatibility.

აკრონიმები — **GTG** – Got to go,?, **BBS** – Bulettin board system, **BCC** – Blind carbon boy, **DNS** – Domain name system, **HTML** – Hypertext markup language, **ISP** – Internet service provider, **URL** – Uniform resource locator.

აკრონიმების სიტყვათა რაოდენობას შეზღუდვა არ აქვს, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როცა თითოეული აკრონიმი მთლიანად წინადადების თანაფარდია: **AYSOS** – Are you stufid or something?; **CID** – Consider it done; **CIO** – Check it out; **GTG** – Got to go; **WDYS** – What did you say?

თითოეულ ზემოთხსენებულ სიტყვაწარმოების მაგალითებზე დაწერილებით ინფორმაცია და კვლევის შედეგები ქვემოთ მდებარე თავებშია მოცემული [76].

კიბერ ენა იმდენად შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში, იმდენად სწრაფად ვრცელდება, რომ სპეციალური ლექსიკონებიც კი შეიქმნა. მათი უმრავლესობა ოქსფორდის ინგლისურენოვან ლექსიკონშიცაა შეტანილი. მაგ. OMG, LOL და "გულის სიმბოლო". გამოდის, რომ ინგლისურმა ენამ აღიარა ინტერნეტ სამყაროს მიერ შექმნილი ახალი სიტყვები, სლენგი და ნიშნები. ეს თამამი ნაბიჯია და ალბათ, ის ენას მთლიანად შეცვლის მომავალში. მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ისაა, რომ აკადემიურმა სამყარომ აღიარა კიბერ-რეალობის ძალა, რაც ნიშნავს, რომ თუ მაგალითად, მოსწავლე ინგლისურ ლიტერატურაში საშინაო დავალების მომზადებისას რეულში ნახატავს "გულის" სიმბოლოს, მასწავლებელმა უნდა იგულისხმოს სმნა-სიყვარული. ან თუ შექსპირის " რომეო და ჯულიეტას" ახალი გამოცემა გამოვა, შეიძლება იქ სიყვარულის სცენის ნაცვლად უბრალოდ გულის პატარა სიმბოლო იყოს დასმული, ანუ მომავალმა თაობამ შესაძლოა მომავალში კიბერ ენაზე დაიწყოს მეტყველება [77].

„კიბერ ენის ფენომენი ფუნდამენტალურად აპირებს შეცვალოს ჩვენი აზროვნება ენის შესახებ, რადგან ის სრულიად

ახალი მოვლენაა ლინგვისტიკაში" აღნიშნავს კიბერ ენის ერთ-ერთი უდიდესი მკვლევარი დ. კრისტალი.

ამრიგად, ზემოთხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ კიბერ ენა ახალი ფენომენია ლინგვისტიკა'ში, მაგრამ კიბერ ენის სიტყვაწარმოება თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწა-მოებაზეა დაფუძნებული, თუმცა ინარჩუნებს სპეციფიკურობას და ახალ ლინგვისტურ მახასიათებლებს ლინგვისტურ ენა'ში.

ᲙᲘᲑᲔᲠ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲰᲐᲙᲔᲠᲗᲐ ᲔᲜᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲔᲑᲣᲠᲔᲑᲔᲑᲘ

პირველად ტერმინი კიბერკულტურა 1963 წელს გაჩნდა. ეს კულტურა წარმოიშვა კომპიუტერული ქსელების მოხმარების შემდეგ, როგორც კომუნიკაციისთვის, ისე გასართობად, სამუშაოდ და ბიზნესში. შეიძლება ითქვას, რომ კიბერკულტურა არის „ონლაინ" კულტურა. ამასთანავე, კიბერკულტურა არის ფართო სოციალური და კულტურული სფერო, რომელიც ძალიან მჭიდროდ არის დაკავშირებული მეცნიერებასთან და ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან, მათ გამოჩენასთან, განვითარებასთან და აყვავებასთან სოციალურ და კულტურული მნიშვნელობით 1960-90-იან წლებში.

კიბერკულტურის გამოჩენაზე გაელენა მოახდინეს ინტერნეტის თავდაპირველმა მომხმარებლებმა, რომლებიც ნერგავდნენ ახალ და ახალ ორიგინალურ პროექტებს, მაგრამ ისინი ხელმძღვანელობდნენ ჰაკერების ეთიკით. მაშინ, როცა თავდაპირველად კიბერკულტურა ემყარებოდა პატარა კულტურის მაგალითს და მის იდეალებს, თანამედროვე კიბერკულტურა წარმოადგენს სხვადასხვანაირი გემოვნების მქონე ჯგუფებს, თავიანთი იდეებით და ცნებებით. კიბერკულტურის დამაარსებლები არიან: ლევ მანოვიჩი, არტურო ესკობარი და ფრელ ფორესტი. ზოგი ავტორი კიბერკულტურას განიხილავს, როგორც **„კულტურა + ტექნოლოგია"** [79].

კომპიუტერის გამოგონებამ და მისმა ფართოდ მოხმარებამ გამოიწვია ცვლილებები თანამედროვე ინგლისურ ენაში. გაჩნ-

და ჰაკერთა ენა. ვინ არის ჰაკერი? ჰაკერი თავდაპირველი მნიშვნელობით არის ის, ვინც ავეჯს ნაჯახით ამზადებს. მოგვიანებით მან შეიძინა სხვა მნიშვნელობა და დღეს მისი განმარტების რამდენიმე ვარიანტი არსებობს:

1. ჰაკერი არის პიროვნება, რომელსაც სიამოვნებას ანიჭებს პროგრამირებული სისტემის დეტალების შესწავლა და მისი შესაძლებლობების გავრცელება რაც შეიძლება მეტი მომხმარებლისათვის, მათთვის, რომელსაც სურს მხოლოდ მინიმუმის აუცილებელის ცოდნა.

2. ის, ვინც მუშაობს პროგრამებზე ენთუსიაზმით, ან ვისაც ეს საქმიანობა უფრო სიამოვნებს, ვიდრე თეორიული ცოდნა პროგრამირების შესახებ.

3. პიროვნება, რომელსაც შეუძლია შეაფასოს სწაფი მუშაობის ღირებულება.

4. პიროვნება, რომელსაც ეხერხება სწრაფი პროგრამირება.

5. განსაკუთრებული პროგრამის ექსპერტი ან ის, ვინც ხშირად მუშაობს მასზე.

ჰაკერები ჰაკერთა ენას იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს. როგორც სხვა დანარჩენ ენებს, მას გააჩნია თავისი კონსტრუქციები, სტილისტური და ფონეტიკური თავისებურებები. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ ჰაკერთა ენის თავისებურებები.

ჰაკერებს აქვთ **„ჰეკერდომი"** ანუ **"ჰაკერული კულტურა"**. ეს არის ქვეკულტურების ფართო ქსელური კოლექცია, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან ხიარ გამოცდილებას, ფესვებს და ღირებულებებს. მას აქვს საკუთარი მითები, ხალხური ეპოსი, აკრძალული სიტყვები და ყავს თავისი გმირები. ჰაკერები შემოქმედი ხალხია, მათ აქვთ უჩვეულოდ მდიდარი ტრადიციები. იგი თავისი არსებობის უკვე 40 წელს ითვლის.

ჰაკერებს აერთიანებთ თავისებური ლექსიკა, სლენგი, რომელსაც იყენებენ, როგორ კომუნიკაციის იარაღს. ჰაკერთა სლენგი გამოირჩევა შემოქმედობითობით. ის უჩვენებს რამდენად განსხვავდება ის ენა, რომელსაც ისინი იყენებენ იმ ენისაგან, რომელსაც იყენებენ განათლებული და მაღალი ინტე-

ლექტის მქონე ადამიანები. ჰაკერებს ასევე აერთიანებთ ელექტრონული მედია. ისინი კარგად უთავსებენ ერთმანეთს ახალ და ძველ სიტყვებს და სიტყვათა კომბინაციებს. ჰაკერები იყენებენ ე.წ. **"Low-context"** კომუნიკაციას, რომელიც არის ნათელი, ზუსტი, ლოგიკური, ინდივიდუალური, მისგან განსხვავებით **"High-context"** კომუნიკაცია-არის ემოციური, ელიპტური, სუბიექტური, შემოქმედებითი. ჰაკერთა ენა ცნობილია კომპიუტერებთან low–context ინტერაქციით და high-context სლენგის გამოყენებით.

ჰაკერები ჰაკერთა ენას იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს. როგორც სხვა დანარჩენ ენებს, მას გააჩნია თავისი კონსტრუქციები, სტილისტური და ფონეტიკური თავისებურებები. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ ჰაკერთა ენის თავისებურებები.

ჰაკერების ენა იცის მხოლოდ ჰაკერმა. ის გაუგებარია სხვებისთვის. მაგ: TCP, IP, Winsock, Linux, root access, vi, და სხვ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჰაკერებმა ბევრი რამ შეცვალეს ენაში. მაგ. **"ph"** შეცვალეს **"f"**-ით; **"s"**-კი **"z"**-ით. ასევე ასოების ნაცვლად შემოიღეს ციფრები, მაგ: **'0' for 'O'; '1' for 'I' or L'; '2' for 'R or Z'; '3' for 'E'; '4' for 'A'; '5' for 'S'; '6' for 'B or G'; '7' for 'T or L'; '8' for B'; '9' for 'G or Q'** [73].

ჰაკერთა ენისთვის დამახასიათებელია უნებლიე კაპიტალიზაცია (CAPITALIZATION), შემოკლებები, სლენგი და სიტყვები, რომელთა გასაძლერებლად მათ წინ ხმარობენ **"k"**–ს. მაგ. **"k-rad"** და ამთავრებენ ნათქვამს სხვადასხვა ნიშნებით. მაგ. <elph> c4n sUm1 h31p m3 w1tH h4x0RiNg mY sk00lz c0mPz?!?!?!!?!?. ეს მაგალითი აღებულია ინტერნეტიდან და ნიშნავს: "<elf> can someone help me with hacking my school's computers?". "elf" მოდის warez and crackerz – დან. "Warez d00dz" არიან კომპიუტერის პირატები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უახლესი პროგრამის (warez) ან თამაშის (gamez). გადაწერით მიიჩნევენ, რომ ენა რომელზეც ლაპარაკობენ ჰაკე-

რები ინგლისური ენის დიალექტია, მაგრამ შეცვლილი ვარიაციით. ჰაკერთა ენისთვის დამახასიათებელია:

1. **ზმნების გაორმაგება – (Verb Doubling)** ნათქვამის გასაძლიერებლად ხდება წინადადების ბოლო სიტყვის გაორმაგება. მაგ. The disk heads just crashed. ***Lose, lose.*** ძირითადად ორმაგდება შემდეგი სიტყვები: win, lose, hack, flame, die, drill, და ხმაურის ამსახველი სიტყვები, როგორიცაა: "Bang, bang!" or "Quack, quack!»

2. **კალამბური (Sound-alike slang) –** ჰაკერები ხშირად ქმნიან კალამბურებს იუმორისტული ეფექტისათვის. ასეთი სიტყვები ძირითადად არსებითი სახელებია. მაგ: Boston Hearald – Horrid (or harried) საშინელი, შემზარავი; Boston Glob – წვეთი; New-York Times – New York Slime - ჭუჭყი.

3. **წესების გადამეტებული ხმარება – (Overgeneralisation).**- ჰაკერები არასწორ დაბოლოებებს უმატებენ სხვადასხვა სიტყვებს და ამ გზით ღებულობენ არსებით სახელებსა და ზმნებს, მაგ: porous – porosity; generous – generosity; mysterious – mysteriosity; ferrous – ferrosity; obvious –obviosity; dubious –dubiosity. ახალი სიტყვების მისაღებად ხშირად იყენებენ სუფიქსს: "itude". მაგალითად, win < winnitude (acommon exclamation): loss < lassitude; cruft , crufitude; lame < lameitude;

4. **ხმოვანი „სმაილები" – (Spoken in articulations)** ჰაკერთა ენაში გამოიყენება ხმოვანი **„სმაილები"** სიტყვები "mumble", "sigh" და "groan". გაისმიან იქ, სადაც მათი ხმარებაა საჭირო. ხშირად ისმის ასეთი "Complain!", რაც ნიშნავს "I have a complaint!"

5. **ანტროპორმორფიზაცია – (Anthropormorphisation).** საშუალებას გვაძლევს წინადადებები გავაიოლოთ, რათა გასაგებად იოლი გახდეს. "My computer couldn't cope with all the stress and crashed."

6. **კომპარატივები - (Comparatives).** ბევრი სიტყვა ჰაკერებთან გაიგება, როგორც კომპარატივის წევრი. ზედსართავი სახელები და არსებითი სახელები ხშირად გამოიყენებიან

სილამაზის აღსაწერად. ესენია: monstrosity, brain-damage, screw, bug, (ხოჭო) lose, kluge, hack, win, feature, elegance, perfection [73].

ხშირად ჰაკერები არსებით სახელებს ხმარობენ, როგორც ზმნებს, მაგ: "I'll **mouse** it up"; "Hang on while I **clipboard** it over". ჰაკერები ასევე ცვლიან მრავლობითი რიცხვის ფორმას. სიტყვა mouse–ის მრავლობითი რიცხვი არის meeces, საერთოდ, ის რაც მთაურდება "X"–ზე, მრავლობითს აწარმოებს, როგორც "xen", როგორც ეს წინათ ანგლო- საქსურში იყო. მაგ: soxen – ერთი შეკერა მამაკაცის წინდა. ხშირად ხდება ასო "Z"–ის დამატება სიტყვებზე მრავლობითი რიცხვის საწარმოებლად. მაგ: "warez" ("wares") ნიშნავს პირატულ კომპიუტერულ პროგრამებს. არსებობს ჰაკერთა ორი ცნობილი ლექსიკონი: "**The Hacker Dictionary**" და "**The New Hacker's Dictionary**", ნებისმიერ დაინტერესებულ პიროვნებას შეუძლია მისთვის საჭირო სიტყვის მოძებნა. აქ მოვიყვანთ რამდენიმე სიტყვის მნიშვნელობას:

- **Bug** –შეცდომა კომპიუტერის პროგრამაში.
- **Cracker**- ჰაკერი, რომელიც ცუდ საქმეებს ჩადის. ასევე - a black hat hacker.
- **Delta** - სხვაობა ორ ანგარიშს ან ორ ფაილს შორის. მაგ. "the delta was 30 percent".
- **Dumpster diving** პირადი ინფორმაციის ძებნა "ნაგავში".
- **Easter egg** - მოულოდნელი "feature', რომელიც ჩასმულია ავტორის მიერ.
- **FAQ** – ხშირად დასმული კითხვები.
- **Flame**- გამაღიზიანებელი ი-მეილი.
- **Kluge (or Kludge)**-პრობლემის ეფექტური, მაგრამ ინტელექტური გადაწყვეტა.
- **Moby** –დიდი, როგორც მელვილის ვეშაპი.
- **Nontrivial** - ძნელი.
- **Owned** - ცუდი ჰაკერი.

• **Ping** -მარტივი პროგრამა, სხვა კომპიუტერთან კომუნიკაციის დასამყარებლად. მაგ. "I'll ping you later".

• **Script kiddie** - ფანატი ჰაკერი.

• **Wizard**- დიდი შესაძლებლობის მქონე.

• **Xyzzy** - ჯადოსნური სიტყვა თავგადასავალში 1977 წლის თამაში, ხშირად გამოიყენება სხვა პროგრამებში [58].

თავისებურებები შეინიშნება ჰაკერთა ენის წარმოთქმაში:

1. თანხმოვნები წარმოითქმებიან, როგორც სტანდარტულ ინგლისურში.

2. "g" ყოველთვის მაგარია, წარმოითქმის ისე როგორც "got"

3 ."r" შეიძლება წარმოითქვას, ან არა, როგორც "hard" და "more"

4 ."j" წარმოითქმის, როგორც ბგერა სიტყვაში "judge".

5. "s" წარმოითქმის ისე, როგორც სიტყვა "pass"–ში. ის არასოდეს გამოითქმის როგორც "z".

6. "ch" არის რბილი, წარმოითქმის ისე, როგორც "church" და არა როგორც "chemist".

7. "kh" წარმოითქმის, როგორც "loch".

8. "gh" წარმოითქმის, როგორც "g + h" სიტყვებში "bughouse" ან "T".

9. "z" წარმოითქმის, როგორც /zee/ ან /zed/.

ხმოვნები წარმოითქმებიან, როგორც: **/a/** - back, that; **/ah/** - father, palm; **/ar/ or / a: /** - far, mark; **/aw/** - flaw, caught; **/ay/** - bake, rain; **/e/** - less, men; **/ee/** - easy, ski; **/eir/ or/ ea/** - their, software; **/i/** - trip, hit; **/o/** - block, stock; **/oh/** - flow, through; **/or/ o:/** - more, door; **/ow/** - out, how; **/oy/** - boy, coin; **/uh/** - but, some; **/y/** - yet, young;

თავისებურებები ვლინდება სიტყვაწარმოებაშიც. ყველაზე პროდუქტული სუფიქსებია: "ness, er, mini, over".მაგალითად: roomer, well-to-do-ness, thingness, oneness და ა.შ.

არსებითი სახელების მაწარმოებელი გავრცელებული სუფიქსებია "er" და "ing", რომლებიც ზმნაზე დართვით აწარ-

მოებენ არსებით სახელებს, მაგალითად: brain-washer, double-talker; cracking, phreaking;

ზმნები ძირითადად იწარმოებიან პრეფიქსი "un"– ით, მაგ: un + ზმნა (unhook, undo, unbreak);

ზედსართავის სახელის მაწარმოებელი ფორმებია: ზედსართავ სახელს + არსებითი სახელი + სუფიქსი ed, მაგ: long-legged, flat-bottomed; ზმნას + able (attachable, livable-in); აგრეთვე un + მიმღეობა I და II (unguarded, unheard-of); un + ზმნიზედა, მაგალითად: unsouled, uncool;

კონვერსია სხვა მეტყველების ნაწილად სიტყვის ტრანსფორმაციის აფიქსური ტიპია. კონვერსიის გავრცელებული ფორმებია:

არსებითი სახელი > ზმნა: a butcher – to butcher; a boss – to boss;

ზმნა > არსებითი სახელი: to know how – the know-how, to catch – the catch;

ზედსართავი სახელი > არსებითი სახელი: intellecstula – the intellectual, progressive – the progressive;

არსებით სახელს > ზედსართავი სახელი: a maiden – maiden, a sidelong – sidelong;

სიტყვის კომპოზიცია ანუ თხზვა: fish-in, laugh-in და ა.შ. რთული არსებითი სახელის მეორე კომპონენტი ხშირად ანალოგიით იქმნება. მაგ: seasick – ისა და homesick – ის ანალოგით შექმნილია: space-sick, airsick, carsick და სხვ. სიტყვა quake – earthquake – ის ანალოგიით შეიქმნა birthquake.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე, ვასკვნით, რომ პაკერთა ენა არის კომპიუტერის ენა, რომლესაც იყენებს ჰაკერი. ის ინგლისური ენის ვარიანტია და როგორც ყველა ენას, მასაც ახასიათებს თავისებურებები: განსაკუთრებული დამწერლობის ნიშნები, სიტყვაწარმოების სხვადასხვა გზები, რომლის არცოდნის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია ტექნოლოგიების ამ ურთულეს სისტემაში გარკვევა და კომპიუტერის ეპოქის ფეხდაფეხ სვლა.

კიბერკულტურა (**Cyberculture**) თანამედროვე საზოგადოებრივი კულტურის სახეობაა, რომელიც დაფუძნებულია კომპიუტერული თამაშების მოხმარებაზე და ვირტუალური რეალობის ტექნოლოგიებზე. ხშირად კიბერკულტურა დიზაინში, მოდინგში, ლიტერატურაში და კინოხელოვნებაშიც შეიძლება აისახოს. კიბერკულტურიდან წარმოიშვნენ ისეთი ქვეკულტურები, როგორებიცაა ჰაკინგი და კიბერპანკი [89].

როგორც Leet (კიბერკულტურის ნაწილს წარმოადგენს ენა, რომელსაც ჰაკერები იყენებენ და ეს ენა ცნობილია, 1337) ენა, მას აგრეთვე უწოდებენ **ELEET**–ს ან **Leetspeak**-ს. **Leet** ენა ძირითადად ინტერნეტ მომხმარებლების მიერ გამოიყენება. Leet ენა წარმოიშვა "Bulletin Board System"-ში 1990 წელს, სადაც სტატუსი-**"elite"** მომხმარებლებს საშუალებას აძლევდა შესულიყვნენ ფაილებში, პაპკებში, თამაშებში და სპეციალურ "ჩატებში", ამასთან შეეძლოთ არქივების პირატული პროგრამებისა და საეჭვო შინაარსის ფაილების გადმოწერა. Leet ენა საკმაოდ რთულ სიმბოლოებს შეიცავს. დღემდე ის გამოიყენება, საუბრის შინაარსის დასაფარავად, ამიტომ პროფესიონალურ "Leet"-ს შეუძლია ისეთი კრიპტოლოგიური კომბინაციები გამოიყენოს, რომ სრულიად გაუგებარი იყოს არაპროფესიონალებისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს არის ასოების კომბინაცია, ციფრები და სიმბოლოები, რომლებიც ჰაკერთა სამყაროში ძალიან პოპულარულია. მაგალითად:

A = 4 @ /-\ Λ ^ aye ∂ ci λ Z

B = 8 |3 6 13 |3 ß]3

C = (< ¢ { © sea see

D = |) [) ∂]) I> |> 0 ð cl

E = 3 £ & € [- ə

F = |=]= } ph (= ʃ

G = 6 9 & (_+ C- gee jee (γ cj

H= |-| #]-[[-])-((-) }{ }-{ aych

I= ! 1 | eye 3y3 ai ¡

J= _| _/] ¿ </ _) ʝ

K= X |< |X |{ ƙ

L= 1 7 |_ £ | |_ lJ ¬

M= 44 /\/\ |\/| em |v| IYI IVI [V] ^^ nn //\V/\\ (V) (V) /|\/|/| .\\ /^^\ /V\ |^^| AA

N= |\| /\/ //\V// И [\] <\> {\} // ๒ []\[]]\[~

O= 0 () oh [] ¤ Ω

P= |* |o |° |> |" ? 9 []D |7 q þ ¶ ℗ |D

Q= 0_ 0, (,) <| cue 9 ¶

R= |2 2 /2 I2 |^|~ Iz ® |2 [z|` I2 Я ʁ

S= 5 $ z § es

T= 7 + -|- 1 '][' †

U= |_| (_) Y3W M µ [_] _/ _\ /_/

V= \/ √ \\/

W= \/\/ vv '// \\' \^/ (n) \X/ \|/ _|_/ \V/\V/ _:_/]I[UU Ш щ ₩ JL

X= % >< Ж }{ ecks × *)(ex

Y= j `/ `(-/ '/ Ψ φ λ Ч ¥

Z= 2 ≥ ~/_ % ʒ 7

ეს ანბანი არ არის ზუსტად ჩამოყალიბებული, რადგან გამუდმებით ცვლილებებს განიცდის და ამაედროულად სხვადასხვა სიმბოლოებიც იქმნება [75].

ინგლისურად კარგად წერა გრამატიკულად გამართულ მეტყველებას ნიშნავს, მაგრამ Leet ენაზე წერისას, ინგლისური ენის გრამატიკული წესები თითქმის უგულვებელყოფილია, რადგან Leet ენის მომხმარებელი მეტყველებისას იყენებს 'თავის" წესებს. როგორიცაა:

1. ზედსართავი სახელის ხმარება არსებითი სახელის ფუნქციით;

2. განსაზღვრული არტიკლის – "the"–ს ხმარება ზმნის წინ; მაგ. "I the owned j00" (I the owned you _ niSnavs I beat you badly).

3. საუბრისას ხშირად ასოების გამოტოვება; მაგ. Fr xmpl, (For example), nmbr 1 (number one), u cn tll (you can tell), i t wrks (it works).

4. არსებითი სახელის ზმნად ხმარება ან პირიქით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ Leet ენა გრამატიკას "ბრმად"იყენებს. "თავისუფალი გრამატიკა," ისევე როგორც თავისუფალი წერა, ფარული ხერხით გამოხატავს სიტყვის ირონიას და სხვა ემოციებსაც. მომხმარებელი უნდა დაეყრდნოს სიტყვების უფრო ლოგიკურ ანალიზს წინადადება'ში, ვიდრე ყურადღება მიაქციოს მათ სტრუქტურას.

Leet ენის მომხმარებლებს უყვართ მაგალითად არსებითი სახელის ზმნად ხმარება ან პირიქით. ასე რომ თვითონ მკითხველმა უნდა გაარკვიოს მისი ემოციურობისა და გამომხატველობის ფორმა. მაგ. წინადადება "Bob rocks" უფრო გასაგები და ზუსტი მნიშვნელობის გამომხატველია, ვიდრე "Bon is t3h r0xx0rz".

Leet ენას ასევე ახასიათებს უბრალოება, წერის მარტივი ფორმა. მათი უმრავლესობა სახუმაროა, დაფუძნებულია წერის დროს დაშვებულ შეცდომებზე, რაც დაშვებულია ახალბედა მომხმარებლების მიერ და ინტერნეტის მომხმარებლების არასაკმარისი ცოდნის საფუძველზე. Leet ენა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ინგლისური ენისათვის. ბერძნულ, ჩინურ და რუსულ ენებსაც აქვთ თავიანთი Leet ენა და ნებისმიერი ენის Leet მომხმარებელს შეუძლია მოიხმაროს მეორე ენის Leet–ენის ფორმები. Leet ენა ხშირად მიიჩნევა შიფრულ, დიალექტურ ან ენობრივ ფორმად, მაგრამ ის არც ერთ მათგანს არ ეკუთვნის. ტერმინი leet იწერება, როგორც 33t, 1337 ან 10011011111 უფრო მეტი იდუმალების გამოსაწვევად.

ამ ენის ერთ-ერთ თვისებას წარმოადგენს გრამატიკის სპეციალურად დამახინჯება. ეს ურთიერთობა ხდება ინტერნაციონალური და ამიტომ Leet ენის ფორმები სხადასხვა ქვეყნის მომხმარებლებისთვის ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. კიდევ

ერთი დამახასიათებელი თვისება Leet ენისა ისაა, რომ ის ხშირად იყენებს ძახილის ნიშანს (!) წინადადებებში. ეს ხდება შემთხვევით ან სპეციალურად, რადგან ნიშანი (!) იმავე ღილაკზეა, რომელზეც ციფრი 1. ხშირად ამ ნიშნის (!) მაგივრად იწერება ციფრი ერთი. მაგ: This is really exciting!!11. ეს ძირითადად დამახასიათებელია ინტერენეტ თამაშების დროს, სადაც საჭიროა ძალიან სწრაფი ბეჭვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ დააგვიანებ ბეჭვდას შეიძლება წააგო. იგივე შემთხვევა შესაძლოა კითხვითი ნიშნის შემთხვევაშიც. მაგალითად: "What are you talking about??// [90].

ქვემოთ წარმოდგენილია ის გავრცელებული სუფიქსები, რომლებიც დამახასიათებელია Leet ენისათვის. ესენია: **(X)xor, zor, age, ness, ed** და **&.** განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე: სუფიქსი **(x)xor**, აგრეთვე–**zor**, (როგორც ერთერთი ვარიანტი) გამოიყენება, როგორც **er** – სუფიქსის ალტერნატიული ვარიანტი, რითაც აღნიშნავენ ადამიანს, რომელიც კონკრეტულ პროფესიას ფლობს. მაგ: pwnzor (owner – მფლობელი) და haxxor (hacker – ჰაკერი) Xxor, zor, zorzz და xxorxx სუფიქსები გამოიყენებიან შედარებითი და აღმატებითი ხარისხის მაჩვენებლად. ამ სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები მაღალი ინტენსიურობით გამოირჩევიან. **ed** და **d** სუფიქსები აწარმოებენ ზმნას. მაგალითად: pwnzor + ed = pwnzored owner > owned.

წარმოქმნილი ზმნები იულლებიან ისე, როგორც წესიერი ზმნები. **xor [z]** (როგორც სიტყვაში xylophone) სუფიქსის წარმოთქმის გამო, Leet ენის მომხმარებლებმა დაიწყეს zor და zorz სუფიქსების ხმარება იმავე მნიშვნელობით, ხოლო **ñ**-ს დამატება სუფიქსებზე სიტყვებში ირონიას მატებს. მაგალითად: "I am the suxorixorage". ასევე იგივე მნიშვნელობით იხმარება სუფიქსი izzle (owndizzle).

ზმნებს შეუძლიათ აწარმოონ არსებითი სახელები **age** სუფიქსის დამატებით. ანალოგიურად, ზედსართაგი სახელი აწარმოებს არსებით სახელს **ness** სუფიქსის დახმარებით. მაგალითად, ზმნა speak-ი ხდება არსებითი speakage, ხოლო

ზედსართავი leet-ი არსებითი leetness, როგორც მაგალითად ფრაზაში "I know leetness speakage", რომელიც ნიშნავს "I know leetspeak' (მე ვიცი Leet ენა).ზმნის ასეთი ცვლილებების გამო, არსებითი სახელები შეიძლება გამოიყენონ, როგორც ზმნა მაგ. "Complete Pwnage" (Completely owned – მიღებული –ness სუფიქსი გამოიყენება, რათა უფრო გამოკვეთონ სიტყვა, ხშირად ძახილის ფორმით: მაგალითად: "coolness!"

ინგლისური ენის წარსული დროის მაწარმოებელ სუფიქსს ed–ს Leet ენის მომხმარებლებიც იყენებენ. აპოსტროფი (#) e-ს ნაცვლად, როგორც ძველად პოეტურ ნაწარმოებში იყო გამოყენებული (მაგ. pwned ხდება pwn#d). მაგრამ პოეტური ენისაგან განსხვავებით, აპოსტროფის გამოყენება აქ აღნიშნავს ხმოვნის წარმოთქმას. Leet ენის წესები ამ პუნქტუალური ნიშნების ამოღების საშუალებას იძლევიან (ეს ხშირად ხდება სისწრაფის გამო), ამგვარად, აპოსტროფს შეუძლია შეიცვალოს თავისი პოზიცია სიტყვაში, სიტყვის მნიშვნელობის შეუცვლელად. ხანდახან ასო e სრულიად იკარგება, სიტყვა კი ბოლოვდება t ასოთი, მაგალითად: owned შეიძლება დაიწეროს, როგორც ownt.

სიტყვები, რომლებიც ბოლოვდებიან and, anned და ant-ით ზოგჯერ იცვლებიან & სუფიქსით. მაგალითად: banned (აკრძალული/დაბლოკილი) იწერება, როგორც "b&" (მაგ. "I'm sorry, you've been b&"). ან "b7". ეს ალბათ იმიტომ, რომ "&" სიმბოლო და ციფრი "7" ერთ და იმავე კლავიშზე მდებარეობენ [90].

როგორც ვხედავთ Leet ენას ახასიათებს უბრალოება, წერის მარტივი ფორმა, მათი უმრავლესობა სახუმაროა, დაფუძნებულია წერის დროს დაშვებულ შეცდომებზე, რაც დაშვებულია ახალბედა მომხმარებლების მიერ. ხშირ შემთხვევაში Leet ენის გამოყენების დროს მომხმარებელი სიტყვების ლოგიკურ ანალიზსს უფრო ნაკლებ დაეყრდნოს წინადადებაში, ვიდრე ყურადღება მიაქციოს მათ სტრუქტურას.

სლენგის ფენომენი ძართულ მეტყველებაში

ენის ახალი ერთეულებით მეტყველება მისაღები გახდა მთელ მსოფლიოში. ეს გარკვეულწილად MTV-ის Eurosport–ისა და სხვა სატელევიზიო არხების წყალობით მოხდა, რომლებიც ინტერნეტთან (Cyberspcak) ერთად ინფორმაციის გადაცემის ქვეშ სწრაფი და მისაწვდომი საშუალებაა დღევანდელ სამყაროში.

მიუხედავად იმისა, რომ უფროსი თაობის წარმომადგენლების მხრიდან ხშირად გაისმის ახალგაზრდობის მისამართით გამოთქმული პრეტენზიები, დარიგებები, თუ მითითებები ენის „წაბილწვისაგან" გადარჩენის მიზნით, ხშირად მათ მეტყველებაშიც გაისმის ენის ახალი, ხშირად გაუმართავი ფორმები. ახალგაზრდების საუბრისას ვაწყდებით თანამედროვე ენის ასეთ თავისებურებებს. მაოი მეტყველება სხვადასხვა გემოვნების ადამიანისთვისაა განკუთვნილი. დღეს ენა უფრო „კრიმინალური" გახდა, ისე, როგორც საერთოდ სა'ზოგადოება. თავიდან ეს გარკვეულწილად მუსიკის, კერძოდ როკ-მუსიკის შემდგომი ეტაპის შედეგი იყო. წარმოიშვა და განვითარდა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მუსიკალური ჟანრები: პოპ-მუსიკა, პოპი, მეტალი, გრანჟი, ტრეში, სოული და ა.შ. რამაც ზეგავლენა მოახდინა ჩვენს მეტყველებაზე.

მკვეთრად იმატა ინგლისური ენიდან სიტყვების მოდინებამ როგორც ქართულ, ისე რუსულ და სხვა ევროპულ ენებში, ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მეცნიერების სხვადასხვა სფეროში. განსაკუთრებით კომპიუტერულ ტექნოლოგიებში. ესაა მეცნიერება, სადაც ჯერ არ არის ჩამოყალიბებული საკუთარი ტერმინოლოგიისა და დასახელების სისტემა. ცნობილი ფაქტია, რომ თუ ენაში არ არსებობს ამა თუ იმ მოვლენის ან საგნის დასახელება, როგორც წესი თუ მისი შესატყვისი საკუთარი ენის მარაგიდან ვერ მოიძია, მაშინ მას მოუწვეს მისი

სხვა ენიდან სესხება. ბუნებრივია მეორე ხერხი გაცილებით იოლია და ყველაზე ხშირად ენაში ახალი სიტყვის შემოტანის ამ საშუალებას მიმართავენ მაგალითად: სიტყვა „პრინტერი" უფრო ახლობელი და მისაღებია ჩვენთვის ვიდრე „საბეჭდი მოწყობილობა". თითქოს „ინვოისი" უფრო ადვილი სათქმელია, ვიდრე „ანგარიშფაქტურა", „ფანდრაიზერის" უფრო კარგად ჟღერს ვიდრე "ფონდების მაძიებელი". სიტყვა მოდელმა გააძევა მანეკენი, სალონმა–სალარიკმახერო, ვიზაჟისტმა–პარიკმახერი, დეველაინმა–ბოლო ვადა, იმიჯმა–სახე, პრეზენტაციამ–წარდგენა და ა.შ. განცხადება: „გვესაჭიროება სეილსმენეჯერი" სოგიერთისთვის გამოცანაა, საქმეში ჩახედულები კი ხვდებიან, რომ საუბარია გამყიდველზე, ასევეა სიტყვა „ბრენდმენეჯერი" და სხვა მრავალი.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამ ქართველ „თინეიჯერებში", რომელზეც დაწერილებით ქვემოთ გვექნება საუბარი, ცხადყო, რომ ქართულ ენაში საკმაოდ ღიდია ინგლისური ენიდან შემოსული სიტყვები. ის ყოველდღიურად გვესმის ქუჩაში, პრესაში, ტელევიზიაში, ოჯახში. მაგალითად: სკინჰედი, ბექგრაუნდი, ჯეკპოტი, სმარტფონი, ანდროიდი, ივენთი, კრეატიული, როკ-ჯამფინგი, ფეიბოქსი, პროვაიდერი, იდენთიფიკატორი, ოვერდრაფტი, გეიმშოუ, ესემეზაცია, სკანირება, ჰაკერი, ჰენდაუთი, ბლოგი, იმეილი, ნეთვერქი, სპამი, ვაიარლესი, აუდიობლოგი, დრაივი, ქოლი, ნიუს რუმი, ქოლორი, ქული, მასტერფისი, მასტერკლასი, სტაფი, ნიუსი, პრეზენსი, პერფომანსი, პრონანსი, ბოდი ლენგვიჯი, ლინკი, ფოლდერი, ინბოქსი, აუთბოქსი, რესტარტი, სეივი, სერჩი, სლაიდი, ზუმი, დესკტოპი, იქსპლორერი, ლოგინი, ნოუთბედი, პასვორდი, ნიკნეიმი, ვაით ბორდი, სლაიდ შოუ, ბოლდი, სივი, ლაითი, ფანი, ვოლი, ჩატი, პერმანენტულად, ფამილარული, სპირიტული, ჰელფული, კოჰაბიტაცია, სეილი, სექენდ ჰენდი, ქომუნითი, ჰაი, იეს, თასქ ბარი, ფონტი, ჰომ ფეიჯი, იგზითი, ქასთინგი, პროდუსინგი, პრომოუშენი, პროდაქშენი, დილერი, ბაიკერი, რაფტინგი, სნოუბორდი, სკეთბორდი, ოფ-შორული კომპანია, ბექვოკალი, რეზერჩი, ფეშენი, ქეისი, ტრეინინგი, ფეისი, სფიჩი,

ჯუისი, ჰოლდინგი, ბილდინგი, ბილბორდი, მულტიფლექსიური, იმიჯი, ვორქშოფი, ბაიერი, არტი, პარტიკულარული, დუიერი, საუნდტრეკი, ენერჯი და სხვა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდებმა დაასახელეს ის გავრცელებული ინგლისური სიტყვები, რომლებსაც თვითონაც ხშირად იყენებენ და სხვებისგანაც ხშირად ესმით. ყველა ზემოთხსენებულმა ტერმინმა უკვე შეიძინა ქართული ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. უმეტესი მათგანი არსებითი სახელის და სახელსმნის ფორმითაა დამკვიდრებული.

მსგავსი ნასესხები სიტყვები მრავლადაა ყველა ენაში დიაქრონული თვალსაზრისით, მაგრამ ენის მატარებლები ამას თავად ვერ ხედებიან. ენა მეტად სტაბილური სისტემაა და საკმაოდ ბევრი „უცხო სხეულის გადახარშვა", შეთავსება და გათავისება შეუძლია. საერთოდ როგორც წესი, საზოგადოების შეგნებაში ენის ესა თუ ის მდგომარეობა ექვემდებარება კრიტიკას და უმრავლეს შემთხვევაში ცუდ შეფასებას. მსგავსი კრიტიკა გამოწვეულია ენაში ძალზე სწრაფად მიმდინარე ცვლილებებით, რაც ჩნდება ე.წ. თაობათა ბრძოლის ფონზე. შემოვიდნენ ბროკერები, დილერები, მაკლერები, ქილერები, ჯოკერები, ტრაილერები, მათ მოყვნენ ბიტნიკები, ჰიპები, როკერები, ნოსტალგისტები. სლენგი თავისი წარმოშობის დროიდან უპირისპირდება უფროს თაობას, უპირველეს ყოვლისა – ოფიციალურ სისტემას.

ახალგაზრდული სლენგი მეტად საინტერესო ლინგვისტური ფენომენია, რომლის ყოფა და საერთოდ, არსებობა შეზღუდულია არა მხოლოდ განსაზღვრული ასაკობრივი ჩარჩოებით, როგორც ეს თავად მისი ნომინაციითაც ჩანს, არამედ სოციალური, დროისა და სივრცის ჩარჩოებითაც. როგორც ყველა სოციალური ნაირსახეობა, ის არის ლექსიკონი, რომელიც საერთო, ეროვნული ენით იკვებება და არსებობს მის ფონეტიკურ და გრამატიკულ ნიადაგზე.

ლინგვისტები სლენგის წარმოშობის ყველაზე პროდუქტულ საშუალებად სხვა ენებიდან სიტყვების სესხებას მიიჩნე-

ყენ. მაგრამ ეს ინგლისური ენის გარდა, სხვა ენებსაც ეხება, რადგან ამ მხრივ ინგლისური ენა სესხების უმრავლ წყაროს წარმოადგენს. მაგალითად ინგლისურმა სიტყვამ "Chat" – ჭორაობა, ქართულ სლენგში ფართო მოხმარება ჰპოვა, რაც შემდეგ მაგალითებში დაფიქსირდა: **„ვიჩეთავე", „ჩათაობა", „ჩეთში ვარ"**. როდესაც ჩვენ სლენგს ყოველდღიურ მეტყველებაში ვაწყდებით, ვნახავთ, რომ ეს ჟარგონი კი არა, არამედ ჟარგონიზირებული მეტყველებაა: სლენგს+ნეიტრალური ან ფამილარული ლექსიკა. ბევრი სლენგი ქართულ, ყოველდღიურ მეტყველებაში ისე გაშინაურდა, რომ მეტყველების დროს ხშირად ვერც ვხვდებით სალიტერატუროა თუ არა. მსგავსი სიტყვებია: დავასება, დაპადიესდება, ბაზრობა, რა პონტში და სხვა.

საინტერესოა ფედერალური მოსამართლის ჯეკ უეინშტეინის მიერ 1984 წლის 11 ივლისს სასამართლო სხდომაზე წარმოთქმული სიტყვა, როდესაც მან აშშ-ს მთავრობას მოსთხოვა ყოველგვარ ბარს მოკლებული სიტყვების ამოღება სამედიცინო დაზღვევის ტერმინოლოგიიდან: "The language used is burcaucratic, gobbledygook, jargon, double-talk, a form of officialese, federalese, insurancese and doublespeak. It docs not qualify as English". რა თქმა უნდა უეინშტეინმა სიტყვების უაზრო გროვაში „gobbledygook" იგულისხმა უკვე ბიუროკრატიაში, სამედიცინო სფეროში შეღწეული არაოფიციალური დამახასიათებელი შემოკლებული სიტყვები და სლენგი [48].

სხვადასხვა ენის სისტემის ფუნქციური სტილების შესწავლა და შედარება საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჟარგონი, სლენგი ან სოციოლექტი არ არის ენის სხეულზე ამოსული პარაზიტული გამონაზარდი, რომელიც „აშრობს, აბინძურებს და ეულგარულს ხდის" იმ ხალხის მეტყველებას, რომელიც მას იყენებს. ეს არის ლაბორატორია, სადაც ენისათვის დამახასიათებელი ყველა პროცესი იკრის თავს და მათზე თვალყურის დევნება ხელმისაწვდომია [69].

სლენგი ენას ვერასოდეს „გამოაშრობს" ან „დაანაგვიანებს". მეორეს მხრივ, რადგან ყველა სოციალური დიალექტი,

ტერიტორიული დიალექტისაგან განსხვავებით არასოდეს არ არის კომუნიკაციის პირველი და ერთადერთი საშუალება, ახალგაზრდული სლენგი ერთ-ერთი ფუნქციონირებადი სტილია მათთვის, ვინც მას იყენებს.

სანამ ახალგაზრდული სლენგი ახალგაზრდების მიერ მხოლოდ ერთმანეთში, არაოფიციალურ გარემოში გამოიყენება, არანაირ დაბინძურებაზე არ შეიძლება ვისაუბროთ, ხოლო ქართულ რეალობაში, როცა გვაქვს გარკვეული სიტყვების ხუსტი ანალოგი ქართულ ენაში და ახალგაზრდების გარდა პრესაშიც, ტელევიზიაშიც, რადიოშიც და პოლიტიკოსებისგანაც იგივე სიტყვები ისმის ინგლისურად ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფუძით და პრეფიქს-სუფიქსებით ნაწარმოები რა თქმა უნდა საგანგაშო სიტუაციაში აგდებს ქართულ ენას.

სლენგის ენაში მთავარ როლს ასრულებენ სპეციალური სიტყვები და სიტყვათშეთანხმება-მარკერები. ეს სიტყვები უნივერსალური შეტყობინებებია, რომლებმაც შეცვალეს გრძელი წინადადებები, რომელთა წარმოთქმა გარკვეულ სიზარმაცესთან არის დაკავშირებული. გარდა ამისა, ისინი შეიცავენ დაფარულ, კოდირებულ ახრს, ინფორმაციას, რისი ხმამაღლა თქმა არ არის სასურველი.

რით განსხვავდება ახალგაზრდული სლენგი სხვა სტილის სლენგისაგან? პირველ ყოვლისა, ეს სიტყვები ერთი ასაკობრივი კატეგორიის ადამიანების სამეტყველო საშუალებაა. ახალგაზრდული სლენგის ლექსიკონი მოიცავს გაცილებით მეტ ახალ სიტყვას, ვიდრე ნებისმიერი სხვა. ეს გამოწვეულია იმით, რომ ახალგაზრდულ მეტყველებაში გამოიყენება ბევრი პოპულარული სიტყვა და რაც უფრო პოპულარულია ის, მით უფრო ბევრი სინონიმი აქვს ენაში, ძირითადად სლენგური მნიშვნელობის მქონე.

ერთი მოდური მოვლენა მეორეს ცვლის, ძველი სიტყვები დაიწყებას ეცემა, მათ ადგილს ახალი სიტყვები იკავებენ. ეს პროცესი მიზანმიმართულად მიმდინარეობს. იცვლება მოდა, საზოგადოებრივი ტენდენცია. ბევრი სიტყვა უბრალოდ ბეზრ-

დება ხალხს. ის სიტყვები, რომელთა წარმოთქმაც არ ბეზრდებათ, დროთა განმავლობაში ენის ლექსიკაში მკვიდრდება, მაგრამ არა როგორც სლენგი, არამედ როგორც ჩვეულებრივი სიტყვები. ასეთ დროს, ეს სიტყვები უკვე კარგავენ თავის ემოციურ-ექსპრესიულ ელფერს, რაშიც დიდ როლს ჟურნალ-გაზეთები და პრესა თამაშობს.

საქართველოში საკმაოდ საინტერესო ინტერნეტ – სლენგის თემატიკაა. აქ, ისევ როგორც მსოფლიოში, აქტუალურად იდგამს ფეხს ვირტუალური რეალობა და მას ასევე თავისი დამახასიათებელი ლექსიკა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ინტერნეტ-სლენგი, უმეტესად პირდაპირ ითვისებს საერთაშორისო კიბერ – ენობრივ ნორმატივებს. ტიპური ქართული სლენგის ნიმუშებია:

E – დუმალება < იდუმალება დამახასიათებელია ძირითადად წერის დროს;

ეგზიბიჭიონიზმი < საკუთარი კაი ბიჭობის წარმოჩენა (სიტყვიდან **ეგზიბიციონიზმი**, რაც ნიშნავს სხვისის გაშიშვლების სურვილს);

პროფ ა ნაცია < ეროვნული პროფესიონალიზმი;

მამქანა < მამიკოს მიერ ნაყიდი ავტომობილი;

ალტორიტეტი < გარკვეული რარიტეტი პარიტეტულ პრინციპზე;

ბიჭიშნიკი < სიტყვიდან "мальчишник";

გოგოშნიკი < ბიჭიშნიკის ანალოგიით შექმნილი;

გავაშაგავეთ < სიტყვიდან "war";

ვშპ < ვაი შენს პატრონს.

როგორც ვხედავთ, ინგლისური ლექსიკის გარეშეც, წარმოუდგენლად „რთულია" საკუთარი, ქართული სლენგის შექმნა, თუმცა უნდა ითქვას, რომ უმრავლესობა რუსული ენის გაყალბით არის შექმნილი.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახალგაზრდულ სლენგს ყველა სხვა სლენგისაგან ადვილად გამოვარჩევთ მისთვის დამახასიათებელი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1. რეალია, რომელიც გამოხატულია სიტყვით, ის მხოლოდ ახალგაზრდული სლენგისათვის არის დამახასიათებელი;

2. სლენგის მატარებლების მიერ სიტყვა მიღებულია, როგორ „თავისი", ანუ სპეციფიკურია მხოლოდ ახალგაზრდებისათვის;

3. სიტყვა არ არის ცნობილი „მაკონტროლებელი" ინფორმატორებისათვის, რომლებიც სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები არიან და არ მიაკუთვნებენ თავიანთ თავს ამ ასაკის კატეგორიას;

4. სიტყვას აქვს გამოყენების საკმაო სიხშირე მოცემულ სფეროში, ადამიანთა სხვა სოციალურ ჯგუფებთან შედარებით;

5. სიტყვამ ამ გარემოში მიიღო განსაკუთრებული სემანტიკური ან საკომუნიკაციო ელფერი;

სლენგი მრავალფუნქციურია. პირველ ყოვლისა მას აქვს ირონიული, სატირიკული ელფერი – სიტყვაწარმოების საშუალების შესაბამისად, სიტყვა უკვე განკუთვნილია მხოლოდ სლენგისათვის.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტიც, რომ საქართველოსგან განსხვავებით საზღვარგარეთ არსებობს შემდეგი პრაქტიკა ენის დაცვის მხრივ. საზოგადოება ირჩევს სიტყვებს, რომლებიც უნდა განიდევნოს ენიდან. 2002 წლის იანვარში სან ფრანცისკოში გამართულ ყოველწლიურ შეხვედრაზე, საზოგადოებამ გადაწყვიტა ასეთ სიტყვად დაესახელებინა 911 (ცხრაას თერთმეტი), ანუ nine-eleven, რომელიც 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ბევრი ადამიანისათვის მიუღებლად იქნა მიჩნეული გასაგები მიზეზების გამო.

პირადად ჩვენ, მხარს ვუჭერთ იმ პოზიციას, რომ ენაში ახალი სიტყვების შემოდინება და დამკვიდრება გარდაუვალია, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, როცა შესაბამისი შესატყვისი ენას არ გააჩნია, დღესდღეობით კი ტექნოლოგიური საშუალებების მრავალფეროვნებამ ეს პრობლემა ენის დაცვის მხრივ უფრო გაამწვავა. ლინგვისტური თვალსაზრისით ძალზედ

საინტერესოა ენაში მიმდინარე ცვლილებების კვლევა, რაც დისერტაციის სხვა თავებშია განხილული, თუმცა მიუხედავად, რომ ყველა ის სიტყვა, რომელსაც ქართული შესატყვისი გააჩნია, ქართულად უნდა ეწერდეს ჩვენს რეალობაში და ამის დიდ აგიტაციას პირველ რიგში რადიო, პრესა და ტელევიზია უნდა იძლეოდეს, საიდანაც ასე ხშირად ისმის განსაკუთრებით უფროსი თაობისათვის გაუგებარი ქართულ ფუძიანი ინგლისურენოვანი სიტყვები.

კიბერ სივრცე და ქართველი „ნეტიზენების" კომუნიკაცია

კომპიუტერის მომხმარებელთა რიცხვის მკვეთრ ზრდასთან დაკავშირებით არაერთი კვლევა განხორციელებულა სხვადასხვა მეცნიერის მიერ. მათ შორის იყვნენ ბარონი, პერინგი, დევისი და ბრიუერი, სნაიდერი, პაოლილო, კრისტალი და სხვა მრავალი. ეს მეცნიერები იკვლევდნენ კომპიუტერის მომხმარებელთა შორის კომუნიკაციის პრაგმატულ ასპექტებს და ძირითადად ემყარებოდნენ ე.წ. „ჩატს" [57]. დევისისა და ბრიუერის აზრით „ელექტრონულ კომუნიკაციას, რომელიც კლავიშებზე იწერება და იკითხება კომპიუტერის ეკრანებზე წერისა და მეტყველების ბევრი თავისებურება გააჩნია" [57].

როგორც ბაიბერი ამბობს, არ არსებობს არანაირი განსხვავება ინგლისური ენის წერითსა და ზეპირ მეტყველებას შორის, არსებობს მხოლოდ განსხვავების განსხვავებები და მეტყველებისა და წერის განსხვავებები მეტნაკლებად კავშირშია თითოეულ განზომილებასთან [57].

სიტყვა ინტერნეტი შეიძლება 1990-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე ყველაზე პოპულარულ ტერმინად ჩაითვალოს, რადგან თანამედროვე პირობებში საერთაშორისო ქსელი კომუნიკაციის, ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და გადაცემის ყველაზე ეფექტური საშუალებაა. ამ ახალმა სისტემამ ახალი რეალიები, დასახლებები შემოიტანა სალიტერატურო ენაში წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში. შეიძლება

შემდეგი ფრაზა უკვე კლიშედაც კი მოგვეჩვენოს. "Internet has affected life, and society in many, and in part, fundamental ways".

ჩემი კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილია ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების ზეგავლენის საკითხი ქართულ ენაზე და ახალგაზრდულ მეტყველებაზე. ქართულ სივრცეში უკვე დამკვიდრებულია ტერმინი **"ნეტიზენი"**, რომელიც ორი ინგლისური სიტყვის **"Netizen+Citizen"**-ის შენაზარდს წარმოადგენს და აღნიშნავს ინტერნეტ სივრცეში ჩაფლულ მოქალაქეს.

ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებულია კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე. ასევე მიზნად დავისახეთ, შემოკლებული ერთეულების მიერ ინგლისური კიბერ მეტყველების (Cyberspeak) ახალი სიტყვებით, ფრაზებით გამდიდრებისა და შევსების სხვადასხვა გზებისა და საშუალებების შესწავლა–შეფასება და მათი პროდუქტიულობისა და აქტიურობის განსაზღვრა ქართული მეტყველების რეალობაში, ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული ინგლისური ნეოლოგიზმების გამოყენების სიხშირე ქართველი ნეტიზენების მიერ კომუნიკაციის დროს და ქართულ ენაში დამკვიდრების სიტყვაწარმოების გზების გამოვლენა.

მასში შედის სპეციფიკური კომპიუტერული სლენგი, აბრევიატურები და აკრონიმები, მოკვეცილი და შენაზარდი სიტყვები, რომელთა წარმოება მეტად აქტიური თემაა თანამედროვე ლინგვისტიკაში. ამ სფეროში არსებული შემოკლებული სიტყვები გამოირჩევა თავისი სალაპარაკო და ოფიციალური თვისებებით, თუმცა ბევრი ასეთი სიტყვა უკვე შევიდა ოფიციალურ სალიტერატურო ენაში. საინტერესოა, რომ ინტერნეტის შემოკლებების აღსანიშნავად იყენებენ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: **"Netacronyms, E-mail abbreviations"** და სხვ.

კომპიუტერის მეშვეობით განხორციელებული კომუნიკაცია შეიძლება მთელი რიგი ტერმინებით განვმარტოთ, როგორიცაა: **virtual communication** (ვირტუალური კომუნიკაცია), **online communication** (კომუნიკაცია ხაზზე), **electronic communication**

(ელექტრონული კომუნიკაცია), **cyber communication** (კიბერ კომუნიკაცია) ან **cyber conversation** (კიბერ დიალოგი).

ყველა ზემოხსენებული ტერმინი ტექნიკურად ეხება კომპიუტერულ მეტყველებას, ანუ **Computer mediated Communication (CMC)** მსგავსი ტიპის არასინქრონული მეტყველების ნიმუშია სიახლეების ჯგუფი–Newsgroups და გასაგზავნი სიები (ანუ იმ ორგანიზაციებისა და კონტაქტების სამონათვალი, რომლებსაც ვუგზავნით ფოსტას) mailing list–ს. სინქრონული კომუნიკაციის ე.წ. ხელსაწყოები მოიცავენ სწრაფი ტექსტური შეტყობინებების ისეთ საშუალებებს, როგორებიცაა **SKYPE, Yahoo Messenger, MSN Messenger** ან საჭორაო ოთახებს, როგორიცაა **Internet Relay Chat (IRC).** გარდა სინქრონულობისა, კომპიუტერული მეტყველება მოიცავს სხვა ასპექტებს, რომლებშიც იგულისხმება ინტერაქციის სტრუქტურა: ერთი-ერთზე ინტერაქცია – One-to-one interaction, და ბევრი ბევრთან ინტერაქცია – many-to many interaction, რასაც ასევე ვუწოდებთ ჯგუფურ ინტერაქციას.

უნდა აღინიშნოს, რომ SMS-ი ანუ მოკლე ტექსტური შეტყობინებაც ზემოთხსენებულ ერთ-ერთ კატეგორიას შეგვიძლია მივაკუთნოთ. ეს არსი სწრაფი ელექტრონული გზავნილი, როგორც წესი 160 ერთეულზე ნაკლები, რომლის გაგზავნაც და მიღებაც შესაძლებელია როგორც კომპიუტერის, ასევე მობილური ტელეფონის საშუალებითაც. რადგან, ამ მომსახურეობით ოთხქმის ყველა ასაკის ადამიანი სარგებლობს, შეიძლება დაზუსტებით ითქვას, რომ შემოკლებული წერის სისტემა მობილურ ტელეფონზეც ვრცელდება. ასეთი ტიპის კომუნიკაცია ხელსაყრელია ყველასთვის, რადგანაც ე.წ. SMS–ით შეგვიძლია ნებისმიერი ფორმატის ტექსტური შეტყობინების გაგზავნა მობილურის ე.წ. Bluetooth-ით და ინტერნეტის მეშვეობითაც.

დისერტაციის ძირითად საკვლევ მასალად გამოყენებულია ინტერნეტ ფორუმებში არსებული ინფორმაცია, როგორიცაა:

ICQ, Messenger, OOVOO, Skype, www.facebook.com, www.myspace.com, www.Twitter.com, და სხვა.

ინტერნეტის ქართველი მომხმარებლების უმეტესობა ფლობს ინგლისურ ენას საშუალო დონეზე, რაშიც გარკვეული წვლილი თავად ინტერნეტს ეკუთვნის. იმისათვის, რომ ინტერნეტში კომუნიკაცია სწრაფი ტემპით წარიმართოს, ფრაზებსა და მთლიან წინადადებებს ამოკლებენ, ხოგჯერ ინიციალებამდეც კი. მსგავსი შემოკლებების შექმნაში თუ არა, გამოყენებაში ქართველი თინეიჯერები არ ჩამოუვარდებიან მათიკე ასაკის ინტერნეტ საზოგადოების ევროპელ და ამერიკელ ნეევრებს. მიუხედავად ამისა, რთულია რაიმე ამტკიცო ზუსტი მონაცემებისა და ფაქტების გარეშე.

სწორედ ამიტომ, გადაწყვიტეთ გვეწარმეობინა კვლევა სხვადასხვა მიმართულებით. კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად, სამ ქვეყანაში: აშშ, საქართველო და აზერბაიჯანი. კვლევა დაიწყო 2012 წლის იანვარში და რვა კვირის განმავლობაში გაგრძელდა. კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 500 ადამიანმა.
პირველ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აშშ-ს, ნებრასკის შტატის, ნებრასკის უნივერსიტეტის 50 სტუდენტი, ასაკი (20-25 წელი). მათ სოციალური ქსელ Facebook-ის მეშვეობით გავუგზავნეთ კითხვარები და ვთხოვეთ გამოეგზავნათ ის 80 აბრევიატურა/აკრონიმი (გარდა უცენზურო სიტყვებისა), რომელიც მათ გარშემო ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა, გარდა ამისა უნდა გამოეგზავნათ ის სიტყვები, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს, ესენია: **Awesome** – ძალიან მაგარი, **Buddy** – ძმაკაცი/„სასტავის წევრი", **What's up** – რა მოხდა?, **Hot** - „თიში", **Sweet** – მაგარი, **Yo** – მისალმების ფორმა, **Dude** - „ტიპი", **Keep in Touch** – „კონტაქტში ყოფნა", **Getting Nowhere** – „პროგრესი არ შეიმჩნევა", **Hang On** - „დალოდება", **It's Up To You** - „შენზეა დამოკიდებული", **It Depends**... - ეს დამოკიდებულია..." და სხვ. ქვემოთ წარმოდგენილია ის კითხვარი, რომელიც მოგვიანებით მეორე სამიზნე ჯგუფს გაეგზავნათ განმარტებების გარეშე.

№	აბრევიატურა/აკრონიმი	განმარტება		აბრევიატურა/აკრონიმი	განმარტება
1	10Q	Thank You	41	FS	For Sale
2	121	One To One	42	GF	GirlFriend
3	143	I Love You	43	GHM	God Help Me
4	1432	I Love You Too	44	GI	Google It
5	14AA41	One For All And All For One	45	GJ	Good Job
6	182 –	I Hate You	46	GR8	Great
7	2B or not 2B	To Be OR Not To Be	47	H&K	Hugs and Kisses
8	2moro	Tomorrow	48	H/O	Hold On
9	2nite	Tonight	49	Hi 5	High 5
10	4ever	Forever	50	HMU	Hit Me Up
11	A/S/L/P	Age/Sax/Location/Picture	51	IDC	I Don't Care
12	ADR	Address	52	IMO	In My Opinion
13	AFAP	As Far As Possible	53	ISTM	It Seems To Me
14	ALAP –	As Late As Possible	54	KISS	Keep It Simple Stupid
15	AMBW –	All My Best Wishes	55	KIT	Keep In Touch
16	AML	All My Love	56	KMA	Kiss My Ass
17	ASAP	As Soon As Possible	57	L8R	Later
18	B/C-	Because	58	LOL	Laughing Out Loud?/Lots Of Love
19	B4	Before	59	LOLA	Laugh Out Loud Again

20	B4U	By For Now	60	LY4E	Love You 4ever
21	BF	Best Friend/Boyfriend	61	MSG	Message
22	BR	Bathroom/best Regards	62	N/A	Not Applicable/ Not Affiliated
23	BTW	ByThe Way	63	NATO	No Action/Talk Only
24	BW	Best Wishes	64	NG	New Game
25	BZ	Busy	65	PCM	Please call me
26	CB	Call back/Coffee Break/Chat Brat	66	PS	Post Script
27	CT	Can't Talk	67	PW	Password
28	CUL8R	See You later	68	r	Are
29	CYM	Chek You Mail	69	RM	Remake
30	CYT	See You Tomorrow	70	S2Y	Same To You
31	DF	Dear Friend	71	TC	Take Care
32	DNBL8	Do Not Be Late	72	TTTT	To Tell The Truth
33	Dunno	I Don't Know	73	TXS	Thanks
34	DWBH	Don't Worry Be Happy	74	URW	You Are Welcome
35	EM	Excuse Me	75	VIP	Very Important Person
36	EMA	E-mail Address	76	W8	Wait
37	Every1	Everyone	77	XOXO	Hugs and Kisses
38	F2F	Face 2 Face	78	YOYO	You Are On Your Own
39	FF	Friends Forever	79	YW	You are welcome
40	FB	Facebook/Buddy	80	ZZZ	Sleeping, Bored, Tired

მეორე სამი'სნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს მას'შტაბით 16-25 წლის მოსწაელეები და სტუდენტები. სულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 350 ადამიანმა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ სტუდენტებსა და მოსწაელეებს სოციალური ქსელის მეშვეობით დაურიგდათ კითხვარი, რომელშიც წარმოდგენილი იყო, ნებრასკის უნივერსიტეტის გამოკითხულთა მიერ წარმოდგენილი პოპულარული აბრევიატურა/აკრონიმები განმარტებების გარეშე. კვლევა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. იცოდნენ თუ არა მო'სარდებმა ინგლის'ურენოვანი ტერმინების ზ'უსტი განმარტება;

2. რა სიხშირით იყენებენ თვითოეულ მათგანს და კერძოდ რა შემთხვევებში. მაგ: წერისას, საუბრისას, სკაიპში, თუ ზოგადად სოციალურ ქსელში;

3. სამიზნე ჯგუფს უნდა ჩამოეწერა ის ინგლის'ურენოვანი აბრევიატურა/აკრონიმები, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი კითხვარში და თვითონ ხშირად იყენებდნენ;

4. სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოედგინა ის ინგლის'ურენოვანი კიბერ ნეოლოგი'სმები, რომლებსაც ხშირად იყენებენ ქართული ენა'ხე მეტყველების დროს;

სამიზნე ჯგუფს კითხვარი ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიუვიდათ. აღსანიშნავია, რომ კვლევაში მონაწილეობის მიღების სურვილი თინეიჯერებმა ნებაყოფლობით გამოთქვეს. კვლევაში მონაწილეობა მიიღო:

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწაელო უნივერსიტეტის 100 სტუდენტმა;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 სტუდენტმა;

3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 20 სტუდენტმა;

4. თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის 10 სტუდენტმა;

5. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 10 სტუდენტმა;

6. ქ. ახალციხის №1 საჯარო სკოლის 100 მოსწაელემ;

7. ქ. თბილისის მე-18 საჯარო სკოლის 10 მოსწაელემ;

8. დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის 10 მოსწავლემ;

9. ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ;

10. ქ. თბილისი 160-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ;

11. ქ. თბილისის 195-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ;

12. ქ. თბილისის 54-ე საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ;

13. ქ. ფოთის მე-15 საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ;

14. ქ. ტყიბულის მე-6 საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ;


15. ქ. ოზურგეთის №4 საჯარო სკოლის 10 მოსწავლემ;

კვლევის შედეგები ასეთია: ციფრებით გამოხატულია მომხმარებელთა რაოდენობა, რომლებიც იყენებენ ამ აბრევიატურებასა და აკრონიმებს. ფრჩხილებში მოცემულია პროცენტული მაჩვენებელი, ხოლო კვადრატულ ფრჩხილში პროცენტული მაჩვენებელი იმ სიხშირისა, თუ რამდენმა ახალგაზრდამ იცის მოცემული აბრევიატურებისა და აკრონიმების სრული მნიშვნელობა, მაგრამ არასოდეს იყენებს:

10Q-Thank You–ს იყენებს გამოკითხულთა 50 (14.28%) მოსწავლე წერისას სოციალურ ქსელებში 140 [40%]; **One To One** – 20 (5.71%), 46 [13.14%]; 143 - **I Love You** - 18 (5.14%), 70 [20%]; 1432 - **I Love You Too** – 10 (2.85%), 48 [13.71%]; **2B Or Not 2B - To Be Or Not Be** – 6 (1.71%) წერისას, 14 (4.%) საუბრისას, 230 [65.71%]; **2moro- Tomorrow** – 41 (11.71%) მიმოწერისას უცხოელ მეგობრებთან, ხოლო 7 (2%) წერისას, 186 [53.14%]; **2nite - Tonight** – 58 (16.57%), 190 [45.28%]; **4ever- Forever** – 137(39.14%) კომენტარების წერის დროს სკაიპში, 155 [44.28%]; **A/S/L/P/ Age/Sex/Location/Picture** – 27 (7.71%) ანკეტის შევსების დროს, 36 [10.28%]; **A/F/A/P-As Far As Possible** – 14 (4%), 54 [15.42]; **AMB - All My Best Wishes** – 8(2.28%); **ASAP - As Soon As Possible** – 30 (8.57%), 80 [22.85]; **BC- Because** – 4 (1.14%) საუბრისას, 42 [12]; **Be4 – Before** – 51 (14.57%) გაკვეთილზე და სკაიპში მიმოწერისას, 200 [57.14%]; **B4N - By 4 Now**- 28 (8%), 160 [45.71%; **BF Best Friend/Boyfriend** – 58 (16.57%), 114 [32.57%; **BR Best Regards/Bathroom** – 7 (2%), 60 [17.42%]; **BTW - By The way** – 51

(14.57), საუბრისას, 98 [28%]; **BZ - Busy** – 9 (2.57%), 27 [7.77%]; **CUL8R** – 55 (15.71%), 80 [22.85%]; **Dunno - I Don't Know** – 53 (15.14%) საუბრისას და სკაიპში მიმოწერისას, 70 [20]; **Ema - E-mail Address** – 5 (1.42%), 1° [2.85%]; **Every1 – Everyone** – 52 (14.85%) სკაიპში, 185 [52.85]; **F2F-Face 2 Face** – 17 (4.85%), 51 [14.57%]; **FB-Facebook/Buddy** – 80 (22.87%) სკაიპში, წერისას 77 [22%]; **GF – Girlfriend** – 51 (14.57%) საუბრისას, 90 [15.71%]; **GR8 - Great** – 15 (4.28%), 76 [21.71%]; **High 5 -24** (6.85%), 89 [25.42]; **HMU - Hit Me Up** – 2 (0.57), 2 [0.57]; **IDC - I Don't Care** – 17 (4.85%), 4 [1.14%]; **IMP - In My Opinion** – 26 (7.42%), 30 [8.57%]; **Kiss It Simple Stupid** – 16 (4.57), 53 [15.14%]; **L8R – Later** – 40 (11.42%), 65 [18.57%]; **LOL - Lauthing Out Loud/Lots Of Love** – 130 (37.14%), 108 [30.87%]; **MSG – Message** – 13 (3.71%), 80 [22.87%]; **Nato – No Action/Talk Only** – 12 (3.42%) საუბრისას, 111 [31.71%]; **NG – New Game** – 6 (1.71%) გაკვეთილზე, 13 [6.57%]; **PCM – Please Call Me** – 3 (0.85%), 26 [7.71%]; **PC Post script** – 61 (17.42%) სკაიპში, 25 (7.14%) საუბრისას, 81 [23.14%]; **R – Are** – 50 (14.28%), 21 [6%]; **S2Y - Same To You** – 16 (4.57%), 40 [11.425]; **VIP - Very Important Person** – 72 (20.57%), 124 [35.42%]; **W8 – Wait** – 53 (15.14%), 60 [17.14%]; **XOXO - Hugs and Kisses** – 22 (6.28%), 21 [20.85%]; **YOYO - You Are On Your Own** – 14 (4%), 23 [6.57%];

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 350 გამოკითხულიდან სამიზნე ჯგუფის არც ერთმა წარმომადგენელმა არ იცის შემდეგი აკრონიმების მნიშვნელობა: **182 - I hate You, 1432 – I Love You Too, DF - Dear Friend;** ყველაზე მაღალი სიხშირით გამოიყენება: **4ever - Forever – 140 (40%); LOL - Lauthing Out Loud/Lots Of Love – 130 (37.14%); FB-Facebook/Buddy – 80 (22.87%),** ხოლო ყველაზე ნაკლებად იყენებენ შემდეგ ტერმინებს: **HMU - Hit Me Up – 2 (0.57), PCM – Please Call Me – 3 (0.85%), Ema - E-mail Address – 5 (1.42%)**



წარმოგიდგენთ იმ აბრევიატურებსა და აკრონიმებს, რომლებიც არ იყო კითხვარში გამოყენებული, მაგრამ საქართველოში გამოკითხულთა სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების 85% დაასახელა და აღნიშნა, რომ ძირითადად იყენებენ იმ ადამიანებთან საუბრის ან წერის დროს, ვისთანაც დარწმუნებულები არიან, რომ აღნიშნული ტერმინი იციან, ასეთებია: **G2G** – Get To Go, **OMG** – Oh My God, **NP** – No Problrm, **PLZ** – Please, **ILY** – I Love You, **WKnd** – Weekend, **U** – You, **TGIF** – Thanks God Its Friday, **TTYL** – Talk To You Later, **YUNO** – Why Don't You, **BFF** – Best Friend Forever, **EU** – European Union, **OMG** – Oh My God, **PR** – Public Relations, **CIA** – Central Intelligence agency, **FBI** – Federal Bureau Of Investigation, **A/D** – Anno Domini, **LA** – Los Amgeles, **NYC** – New York City, **BTWITIAILWY** – By The Way I Think I Am In Love With You, **ILYA** – I Love You All, **637** – Always and Forever, **14344** – I Love You Very Much, **TBR** – To Be Real, **TFRM** – Thanks For Reminding Me, **THO** – Though, **TLDNR** – Too Long Didn't Read, **TTG** – Time To Go, AFK – Away From Keyboard, **TTLY** – Totally, **FAB** – Fabulous, **FIO** – Figure It Out, **FW** – Forward, **FIN** – Fine, **D8** – Date, **DAM** – don't Ask


Me, **DDt** – Don't Do That, **DIY** – Do It Yourself, **DLTM** – Don't Lie To Me, **DOL** – Dying Of Laughter, **DWEET** – Do It, **DUH** – Of Course, **VR** – Virtual Reality, **ATM** – At The Moment, **Sis** – Sister, **Bro** – Brother, **Smth** – Something, **SMN** – Someone, **Ppl** – People, **Yr** – Your, **X-mas** – Christmas, **HS** – High School, **HTN** – High Time Now, **Loc** – Location, **CD** – Compact Disc, **BRB** – Be Right Back, **ROFL** – Rolling On The Floor Laughing

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესამე სამიზნე ჯგუფის წარმოადგენდა აზერბაიჯანის ენათა უნივერსიტეტის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის 100 სტუდენტი (ასაკი 20-25 წელი). მათ ზუსტად იგივე კითხვარი გავუგზავნეთ სოციალური ქსელის მეშვეობით და ზუსტად იგივე მოთხოვნები ჰქონდათ, რაც ქართველ სტუდენტებს. კვლევამ ცხადყო, რომ ქართველ თანიჯერებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა იცოდნენ ოთხმოციევე აბრევიატურისა და აკრონიმის განმარტება, თუმცა 50%-ით ნაკლები იყენებს მათ, ვიდრე საქართველოში. ტერმინების ასეთი მაღალი ცოდნის გამოვლინება გამოწვეული იყო იმით, რომ მათ უმეტესად სპეციალობას ინგლისური ენის ცოდნა განაპირობებდა ქართველ მოზარდებისაგან განსხვავებით, სადაც სამიზნე ჯგუფებს სხვადასხვა ასაკისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მოზარდები წარმოადგენდნენ.

კვლევამ ცხადყო, რომ ყველაზე მეტად აზერბაიჯანელი სტუდენტები იყენებენ **10Q-ს, "Thank You"** (56 სტუდენტი, ანუ გამოკითხულთა 56%) ისიც მხოლოდ წერის დროს და უმეტეს შემთხვევაში იყენებენ ასო Q-ს მაგივრად ასო X-ს, რაც იგივეს ნიშნავს. აგრეთვე, **2moro** – Tomorrow – 57%, **2nite** – Tonight – 53% (თუმცა აღნიშნავენ, რომ 2nite-ს მაგივრად 2nyt-ს წერენ), **4ever** – Forever – 51%, **AFAP** – As Far As Possible – 50%, **AMBW** – All My Best Wishes – 52%; ხოლო გამოყენების ყველაზე დაბალი სიხშირე აჩვენა შემდეგმა ტერმინებმა: **L8R** – Later, **LY4E** – Love You Forever, **MSG** – Message, **Nato** – No Action, Talk Only, **DNBL8** – Do Not Be Late (გამოკითხულთა მხოლოდ 10% იყენებს მათ). უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ეს აბრევიატურა მოხვდა იმ სია-

ში, რომლის განმარტებაც არცერთმა ქართველმა მოხარდმა იცოდა.

დიაგრამა 5.



ახრებაიჯანელმა სტუდენტებმა მოთხოვნის მიხედვით კითხვარს დაამატეს ის აკრონიმები, რასაც მათი უმრავლესობა იყენებს და კითხვარში არ იყო წარმოდგენილი, ესენია: **Bcoz – because, Luv u – Love You, Em – Them.**

კვლევამ ცხადყო, რომ ქართველი ნეტიზენები ინგლისურენოვან ტერმინებს ფართოდ იყენებენ ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს. ძირითადად მათ იციან რას ნიშნავს მოცემული ფრაზა კონტექსტში, მაგრამ ცალკე აღებული სიტყვა, თუ ფრაზა ხშირად გაუგებარია მათთვის.

ქართველ ნეტიზენთა დიალოგების მონაცემთა ბაზაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ქართველი ნეტიზენების მეტყველება გამოირჩევა სპონტანურობით და ინგლისურ-ქართულ ენებზე მიმდინარეობს. მათი მეტყველება ძირითადად გაჯერებულია აბრევიატურებით, შემოკლებული გამონათქვამებით და მათი გამოყენების სიხშირე ძალიან მაღალია. მაგალითისთვის მოცემულია ყოველდღიური საუბრის მცირე მონაკვეთი:

აუ ბიჭო, გუშინ **ფეისბუქზე** ნამომეძინა.

რატომ? რამე **ნიუსია?**

ხო, ვიღაც გავიცანი. მილიონი **ჰაგები და ქისები** გავუგზავნე, მერე რაღაცეები **დავუაფლოიდე**. საკმოდ ბევრი **ლინკი** გამომიგზავნა და მაგათი **დასეივებით** ხომ დავიღალე.

რაო **ფეის თუ ფეის** არ შეეხვედოო?

ჯერ **ვისკაიპოთ** და მერეო.

მაღალრეიტინგული „თბილისის ფორუმის" ერთ-ერთი წევრი ჰერმიონე წერს: **„ერთხელ დავპოსტე ის, რასაც თსუ-ს იურ ფაკზე ვფიქრობდი და ვორნი მივიღე"** (To post – წერილის გაგზავნა, to warn – გაფრთხილება, იურ ფაკზე – იურიდიულ ფაკულტეტზე). აგრეთვე წინადადებაში **„პასვორდი დამეკარგა, რომელ ოთახში მივიდე, მითხარი პლზ"** (Password – პაროლი, Please – პლზ გთხოვ) [87].

ტერმინების ამგვარი სიჭარბე ყოველთვის ვერ აიხსნება ფორუმის მონაწილეთა ქართული ენის ცოდნის ხარისხით. გლობალური ქსელის მომხმარებელთა დიდი ნაწილი განათლებული ადამიანია. მათი უმრავლესობა კარგად ფლობს საერო თუ სასულიერო მწერლობის ტერმინოლოგიას, მაგრამ მაინც უხვად იყენებს კალკირებას, თუ უცხოურ ტერმინებს. მაგ: **„მუნ არს <u>ქოფირაითნი"</u>** Copywritcs – ნიშნავს, „საავტორო უფლებები" [88].

ფორუმებზე საოანადო ყურადღება არ ექცევა სტანდარტული ენის ნორმების დაცვას, მაგრამ ამავე დროს, მკაცრად იზღუდება უცენზურო, (უტაქტო სიტყვების გამოყენება). ფორუმებზე არცთუ იშვიათია ასეთი ცნობები: „მომხმარებლის ნიკი „კოტე" მოსპობილია ფორუმის წესებისა და ნეტიკეტის სისტემატური და ბოროტი დარღვევისათვის" (Nick/nickname – მეტსახელი, netiquette – ნეტიკეტი: net-etiquette > netiquette – ინტერნეტში „ნეტში" ქცევის წესები" [89].

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინტერნეტის ქართული ენა, რომელიც საკმაოდ სამართლიანად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ქართული ენის ერთერთი ახალი ქვე-სისტემა, ჯერჯერობით უარგონს უფრო ჰგავს, თუმცა გარკვეულწილად მაინც

ხდება მისი საზოგადოებრივი „კონტროლი" (უცენზურო სიტყვების აკრძალვის ფაქტი).

ინტერნეტის მოქალაქეები საკმაოდ მობილური პირები არიან. ფიზიკური სამყაროსაგან განსხვავებით, სადაც ადამიანები ანახლებენ მეტყველებას გარკვეული მოტივაციის საფუძველზე, სტანდარტული სალიტერატურო ენის მოთხოვნების შესაბამისად, კიბერ მოქალაქეები ანახლებენ ენას, ინტერნეტ კომუნიკაციის შესაბამისად, როგორიცაა წერითი მეტყველების თავისებურებები და ა.შ. ამ მხრივ, ინტერნეტის საკომუნიკაციო ენა ძალიან ჰგავს გარკვეული სახის ჟარგონს. ინტერნეტის მომხმარებლების მეტყველება ქმნის თანამედროვე რეალობას, რაც საკმაოდ საინტერესო და შემოქმედებითია, ასევე არაკონვენციური და გარკვეულწილად მეამბოხურ, დაუმორჩილებელ ხასიათს ატარებს. რაც მთავარია, ყოველივე ეს საერთაშორისო განზომილებაში არსებობს და გამოიყენება, ასევე ტექნოლოგიურად მაღალგანვითარებულია და საკმაოდ მისაღებიც გარკვეული სფეროებისათვის.

ავტორთა და მკითხველთა ასაკი, განათლება, ვირტუალური ურთიერთობის სპონტანური ხასიათი, ცენზურის არ არსებობა, ნაკლები პასუხისმგებლობა, გამოხატვის თავისუფლება, ვერბალური ვარიაციების საშუალება – ეს და კიდევ მრავალი სხვა მიზეზი წარმოშობს ახალი ტიპის ენას მნიშვნელოვნად განსხვავებულსა და ძალიან საინტერესოს.

ქართულ ენაში ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების დამკვიდრების სიტყვაწარმოების გზების გამოვლენა

ქართული ვირტუალური საუბრების ტერმინოლოგია ქართული ინტერნეტ–სიერცის გამოჩენილი უბანია. კომპიუტერის ენა და ძირითადი ტერმინებიც ჯერჯერობით ინგლისურს ეყრდნობა, შესაბამისად, ქართული „ჩათების" ტერმინოლოგიაც „გადატვირთულია" ინგლისური ტერმინებით, ინგლისურ ტერმინთა კალკებითა და ქართულაფიქსიანი, მაგრამ ინგლისურფუძიანი სიტყვებით.

ქართული ფორუმების ენაში ინგლისური ტერმინები ქართული ფონეტიკისა და მორფოლოგიური ყალიბების გათვალისწინებით ფორმდება; მაგალითად,

1. ინგლისური წინადადება **Speak to me** „დამელაპარაკე" ქართული ანბანით გადაწერილი გვხვდება **„სფიქ 2 მი"**, სადაც ორიანი ინგლისურში მიმართულების to–წინდებულის შესატყვისია, ვინაიდან ორის ინგლისური წარმოთქმა to–წინდებულს წააგავს. მსგავსი მაგალითები უხვად გვხვდება ინგლისურ ფორუმებზეც და ისინი აკრონიმების სახელითაა ცნობილი. **4 you - „შენთვის", AFAIK - as far as I know „როგორც ვიცი", „რამდენადაც ჩემთვის ცნობილია"** და სხვ. შედარებით მოკლე შეტყობინებების, ე. წ. **„მესიჯების"** ენისათვის დამახასიათებელია რამდენიმე ქართული აბრევიატურა **„მსჯ-მესიჯი", „ბკ–ბკოცნი", „პკ პოკა–დროებით"**. შესაბამისად სმს გ'ხავნილები ასეთი შინაარსისაა: **„შენი სმს-ი ჯერ არ მომსვლია", „კარგი, ბკ. პკ"**.

2. ზმნათა წარმოებისას უმრავლესობა სამპირიანი ზმნაა, მხოლობით რიცხვში წარმოდგენილი, „მ" ირიბი ობიექტური პირველი პირის ნიშანი, „და" ზმნისწინი, გარდამავალი, დრო მომავალი, ასპექტი სრული, კილო წართქმითი ბრძანებითი, მეორე სერია, წყვეტილი, „ე" მწკრივის ნიშანი, გვარი მოქმედებითი, სასხვისო ქცევა, ნიშანი „ი", კონტაქტი უშუალო. მაგალითად, **და-მი-ლაიქ-ე, და-მ-ი-კოპირ-ე, და-მ-ი-ლინკ-ე, და-მ-ი-ქოლინგ-ე, და-მ-ი-ჰენგაუთ-ე** (google-ის დამკვიდრების შემდეგ, შემოვიდა ეს სიტყვა და ნიშნავს hang out-ვიჭორაოთ ანუ გამომიგზავნე მოწვევა).

3. სოციალური ქსელის **"Twitter"**-ის საშუალებით ძალიან ბევრი ინგლისურენოვანი აბრევიატურის შექმნა და გავრცელება მოხდა. ქართველი თინეიჯერები ხშირად იყენებენ ტრემინს **„დამიტვიტე"**, ერთ-ერთი სამიზნე ჯგუფის თინეიჯერი ტერმინს **"Twitter"** ასე განსაზღვრავს: **„დატვიტვა"** ნიშნავს ტექსტური შეტყობინების გაგზავნას, რომელიც მომხმარებლის გვერდზე ჩანს. სერვისი ძალიან მოხერხებულია მათთვის ვისაც სურს მომენტალურად გაეცნოს სიახლეებს ნაცნობებისა

და უცნობი ადამიანების შესახებ. **"Twollower-Twitter Follower"- „ტვიტერ ფოლოუვერები"-** ხალხი, რომელიც აგედეცნა სოციალურ ქსელში და თვალყურს ადევნებს შენს ცხოვრებას. კვლევიდან გამომდინარე არც ერთმა მონაწილემ არ იცოდა რას ნიშნავს სიტყვა **"Twitter"** სინამდვილე'ში. ეს არის სალიტერატურო სიტყვა ინგლისურ ენა'ში და ნიშნავს: **ჭიკჭიკი, ღღურტული, ჟივჟივი, ჟივილი, აღგზნება, აღელვება.**

4. აგრეთვე ხშირია ორპირიანი ხმნები, მხოლობითი რიცხვით წარმოდგენილი „და" ხმნისწინი, დრო მომავალი, ასპექტი სრული, კილო წართქმითი ბრძანებითი, მეორე სერია, წყვეტილი, „ე" მწკრივის ნიშანი, გვარი მოქმედებითი, ქცევა საარვისო ნიშანი „ა", კონტაქტი უშუალო. მაგალითად, **და-ა-რეფრეშ-ე, და-ა-დილეით-ე, და-ა-ზუმ-ე, და-ა-კლიკ-ე, და-ა-პოსტ-ე, და-ა-პაუზ-ე, და-ა-რიმუვ-ე, და-გუგლ-ე, და-ა-ი-ნსტალირ-ე, და-თაგ-ე, და-ა-რესტარტ-ე.** იგივე ნიშან-თვისებებს ინარჩუნებს ხმნა **„გა-ა-შეარ-ე, გა-ა-ბოლდ-ე"**, სადაც განსხვავებულ ნიშანს გვაძლევს ხმნისწინი **„გა"**.

5. ხმნა **ჯ-ესკაიპ-ები** გარდაუვალი, დრო ახლანდელი, ასპექტი უსრული, კილო თხრობითი, პირველი სერია, აწყმოს წრე, აწყმო, გვარი-უნიშნო ვნებითი, ქცევა სასხვისო, კონტაქტი უშუალო, ძირი „ესკაიპ".

6. **შემო-ფეისბუქდ-ი,** ერთპირიანი ხმნა, მხ.რ. „შემო" რთული ხმნისწინი, აქეთა მიმართულებისა, გარდაუვალი, დრო ახლანდელი, ასპექტი სრული, კილო თხრობითი, მეორე სერია, წყვეტილი, ნიშანი „ი", გვარი უნიშნო ვნებითი.

7. **მი-ა-ფოლდერ-ე** ორპირიანი ხმნა, მხ.რ., „მი" მარტივი ხმნისწინი, გარდამავალი, დრო წარსული, ასპექტი სრული, კილო თხრობითი, მეორე სერია, წყვეტილი, ნიშანი „ა", კონტაქტი უშუალო, „ფოლდერ" ძირი.

8. **და-ჯ-ა-შათდაუნ-ე** ორპირიანი ხმნა, მხ. რიცხვი, „და" ხმნისწინი, გარდამავალი. „ე" პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, დრო ახლანდელი, ასპექტი სრული, ქცევა საარვისო ნიშანი „ა", კილო თხრობითი, მეორე სერია, წყვე-

ტილი. ნიშანი სუფიქსი „ე", გვარი მოქმედებითი, კონტაქტი უშუალო. „შათდაუნ" ძირი.

9. **ვ-ლოგაუთდ-ები"** – ერთპირიანი ზმნა, მხ. რიცხვი, „ვ" სუბიექტური პირველი პირის ნიშანი, გარდაუვალი, დრო ახლანდელი, კილო თხრობითი, პირველი სერია, აწყმო, გვარი უნიშნო ვნებითი, ქცევა საარეისო უნიშნო, კონტაქტი უშუალო, „ლოგაუთ" ძირი.

10. **და-ვ-სითდაუნდე-თ** – ერთპირიანი, მრ. რიცხვი, „ვ" პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, „თ" მრავლობითობის ნიშანი, „და" ზმნისწინი, გარდაუვალი, დრო მომავალი, ასპექტი უსრული, კილო წართქმითი ბრძანებითი, მეორე სერია, წყვეტილი, გვარი საშუალო ვნებითი, ქცევა საარეისო უნიშნო, კონტაქტი უშუალო, „სითდაუნეე" ძირი.

11. **წა-ვ-ვლეცგოვდ-ე-თ** – ერთპირიანი, მრ.რიცხვი, ნიშანი „თ", „ვ" პირველი სუბიექტური პირის ნიშანი, „წა" ზმნისწინი, გარდაუვალი, დრო მომავალი, კილო თხრობითი, მეორე სერია, ნიშანი „ე", გვარი უნიშნო ვნებითი, კონტაქტი უშუალო, „ლეცგოვდ" ძირი.

12. **და-სერჩვ-ა** – სახელზმნა, მხ. რიცხვი, საწყისი, მაწარმოებელი სუფიქსი „ა". სახელის ნიშნებია: მიუგებს კითხვაზე რა?, იბრუნვის ისე, როგორც მსგავსი ფუძის არსებითი სახელი, დგას სახელობით ბრუნვაში. ზმნური ნიშნებია: დაირთავს ზმნისწინს „და", შეიძლება ქონდეს ასპექტი და კონტაქტი, უსრული ასპექტი, კონტაქტი უშუალო, ძირი „სერჩ". მსგავს ნიშნებს ინარჩუნებს სახელზმნები- **და-შესიჯებ-ა, და-იგნორებ-ა, და-სეივებ-ა, ჩა-ტაობ-ა.**

13. ყურადღებას იპყრობს ქართველი ნეტისენებისათვის ცნობილი ფრაზა: „არ შემოსკაიპდები?", ზმნა **შემო-სკაიპდ-ებ-ი**– ერთპირიანი, მხ.რიცხვი, „შემო" რთული ზმნისწინი, აქცია მიმართულებისა, გარდაუვალი, დრო მომავალი, ასპექტი უსრული, კილო უკუთქმითი ბრძანებითი, პირველი სერია, მყოფადის წრე, მყოფადი, უნიშნო ვნებითი.

14. ძალიან ბევრი ინგლისური ზმნა ქართულში სახელობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით გადმოდის. მაგა-

ლითად, **To log out** „სისტემიდან გამოსვლა - **ლოგაუთი**", **Restart** „კომპიუტერის ხელახლა ჩატვირთვა – **რესტარტი**", **Rename** „სახელის შეცვლა – **რინეიმი**", **Delate** „წაშლა – **დილეითი**", **Shut Down** „სამუშაოს დასრულება –**შათ დაუნი**".

სოციალური ქსელები დიდი ყურადღების ცენტრშია მთელს მსოფლიოში და ქართულ საზოგადოებაშიც. ქართულ რეალობაში გავრცელებული ფრაზებია: **Face-to-Face** პირისპირ საუბარი – ჩემს შეყვარებულს სიყვარული **„ფეის თუ ფეის"** ავუხსენი, **XOXO-Hugs and Kisses** – ჩახუტება და კოცნა. საქართველოში ამბობენ **„ჰაგები და ქისები გამომიგზავნეს"**, ეს აბრევიატურა დამკვიდრებულია არსებითი სახელის ფორმით, მრავლობითი რიცხვი, **LOL- Lots of Love/Laughing out Loud** - ეს არის აბრევიატურა LOL-ის ის ორი ძირითადი განმარტება იმ 90-იდან რაც მსოფლიოში არსებობს, თუმცა ქართველი ნეტიზენები კომუნიკაციის დროს მას ძირითადად იყენებენ ფრაზაში: **"როგორი ლოლი ხარ"** ანუ **„რა საყვარელი ხარ"**. დიდი პოპულარობით სარგებლობს შემდეგი ფრაზები: **„როგორი ლაკოსტა ქალია (ანუ უშნო), რა ნიუსია შენსკენ?, რესტარტი გაუკეთე ამ საქმეს, რა ქული გოგოა, დააინსტალირე ეს საქმე, ლაითად დაწერე, ვოლზე დადე, დამიფეისბუქა, სურათზე დათაგე, იკონებში შედი, ისევ მერიჯშია, რა ჰელფული ხარ, ვიფართაოთ, ოფლაინში/ონლაინში ვარ, სეთინგში შედი, სპირიტული მეგობარი, ჯუისი დამალევინე** და სხვ.

მონაცემთა ბაზის შესწავლამ ცხადყო, რომ კომუნიკაცია ქართველ ნეტიზენებს შორის ძირითადად ინგლისურ-ქართულ ენებზე მიმდინარეობს. აქედან დასკვნა, რომ ქართველმა მომხმარებელმა სპეციალური სახის წერითი მეტყველება შეიმუშავა. მათი მეტყველება გამოირჩევა სპონტანურობით და ბუნებრიობა, არასალიტერეტურო ელფერი აქვს. გარდა ამისა, მათი მეტყველება გაჯერებულია მთელი რიგი აბრევიატურებით, სიმბოლოებითა და რიგი შემოკლებული გამონათქვამებით, რათა ზუსტად იყოს გამოხატული მთქმელის მიერ გამოხატული შეგრძნება, ემოცია, თუ სახის გამომეტყველება. მათი გამოყენების სიხშირე

საოცრად მაღალია. ინტერნეტ კომუნიკაციის მომხმარებელთა შესწავლამ ცხადყო, რომ ჩატი ახალ საკომუნიკაციო ფორმაზე გადასვლის ფორმაა, რაც XXI საუკუნის მეტყველების რეგისტრად შეიძლება ჩაითვალოს, რაც საკმაოდ მყარია და ეჭვგარეშეა, განიცდის მუდმივ პროგრესსა და არა რეგრესს.

კვლევის შედეგებიდან შეგვიძლია კიდევ ერთხელ დავასკვნათ, რომ ინტერნეტის ქართველი მოქალაქეების მიერ ცნობადია, არა მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული კიბერ შემოკლებები, არამედ სპეციალური პროგრამების, სხვადასხვა ფორმატის მქონე დოკუმენტებისა და გამოსახულების აბრევიატურული დასახელებები და მათი მნიშვნელობები, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კომპიუტერი მათი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ნეტიზენები ერკვევიან ყოველგვარ სიახლეში. რაც დაკავშირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების, სფეროს განვითარება-განახლებასთან. ბუნებრივია, ინტერნეტის მოქალაქეებში ელვის სისწრაფით ერცელდება ყოველგვარი სიახლე და რადგანაც მოზარდები კომუნიკაციის ამ ფორმით პერმანენტულად სარგებლობენ, ისინი გარკვეულები არიან ყოველგვარ სიახლეში, რასაც მათ გარკვეული საიტები, ადმინისტრატორები სთავაზობენ.

ბუნებრივია და გასაკვირიც არ იქნება, თუ დასკვნის სახით კიდევ ერთხელ ვახსენებთ, რომ შემოკლებებისას ოთხივე ტიპი საკმაოდ აქტიურად, პროდუქტულად და კრეატიულად გამოიყენება ინტერნეტ საზოგადოების წევრებს შორის, რომელთა კომუნიკაციას შეიძლება სლენგის სტატუსი მიეკანონოთ. არც ის იქნება გასაკვირი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ის სიტყვები, რომლებსაც კვლევის თანამედროვე ეტაპზე ენის ახალი ერთეულებია, ისეთივე მისაღები და ჩვეულებრივი სიტყვები იქნება სალიტერატურო ენისათვის, როგორც სხვა სიტყვებია.

დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს ინგლისური ენის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, ახალი წარმონაქმნების, შემოკლებული ერთეულების და ქართველი ნეტიზენების კომუნიკაციის საფუძველზე. მიზნად დავისახეთ გაგვერკვია სიტყვაწარმოების პროდუქტული სახეების როლი თანამედროვე ინგლისური ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების საქმეში, შეგვეფასებინა თვითოეული მათგანის მნიშვნელობა სიტყვაწარმოების პროცესში. ასევე განვიხილეთ თანამედროვე სიტყვაწარმოების ძირითადი ტიპები, რომელიც ინგლისურ ენაში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში შეიძლა.

როგორც ნაშრომიდან ჩანს, ძირითადი ყურადღება მიმართულია ინგლისური ენის ლექსიკის ცვლილებების კომუნიკაციურ-პრაგმატულ ასპექტებისადმი. ასევე დავაფიქსირეთ საკმაოდ სწრაფი ტემპით მიმდინარე მასშტაბური ცვლილებები. ყველაზე მნიშვნელოვანი და მასშტაბური ცვლილება არის უზარმაზარი რაოდენობის ახალი სიტყვების გამოჩენა, მათი წარმოება და გაუჩინარება-გაქრობა, რაც ნათლად აისახა ლექსიკონებში, ინტერნეტ სივრცეში და ლინგვისტურ ლიტერატურაში.

ნაშრომში სიტყვაწარმოება განხილულია ლინგვისტიკის დამოუკიდებელ სფეროდ, რომელიც შეისწავლის სიტყვაწარმოების პროცესებს, ხერხებს, ტიპებსა და წესებს, მათ პროდუქტიულობას, აქტიურობასა და სიტყვაწარმოების საშუალებებისა და მოდელების გამოყენების კანონიერებას.

დისერტაციაში განხილულია სხვადასხვა სფეროში არსებული ნეოლოგიზმები, რომლებსაც ბოლომდე ვერ მივაკუთვნებთ სალიტერატურო თუ არასალიტერატურო ლექსიკას. მათ უბრალოდ განვიხილავთ მოვლენას, რომელსაც თვითოეული სფეროსათვის დამახასიათებელი თვისება აქვს. ამ სიტყვების უმეტესობა, როგორც ვიცით გამოირჩევა სასაუბრო-სალაპარაკო, ხშირად უხეში ფამილარული ელფერით, მაგრამ არც იმის

დაიწყება შეიძლება, რომ სხვადასხვა სფეროში არსებული შემოკლებების დიდი რაოდენობა პროფესიული ტერმინებიდან ნაწარმოები სიტყვებია.

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს 2012 წლის 50 ყველაზე პოპულარული და ხშირად გამოყენებული ნეოლოგიზმების კვლევა სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ: სიტყვის პოპულარულობა, საზოგადოებაში დამკვიდრების ტენდენცია და კულტურული აღიარება, სიტყვის შექმნის თარიღი, გამოყენების სფეროები, სიტყვაწარმოების ხერხები.

აღსანიშნავია, რომ 2004წ. კვლევის თანახმად პირველ ადგილზე ახალი სიტყვების დამკვიდრების მხრივ იყო კულტურის სფერო, მეორე ადგილზე-სოციოლოგია, ხოლო მესამეზე კომპიუტერი. ზემოთ მოცემული კვლევის თანახმად კარგად ჩანს განხორციელებული ცვლილებები. კომპიუტერის სფერომ კი 2012 წელს მესამე ადგილიდან პირველ ადგილზე გადმოინაცვლა. 50 სიტყვიდან 15 სწორედ, რომ კომპიუტერის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ტექნოლოგიურმა განვითარებამ გამოიწვია კომპიუტერისა და ინტერნეტის ენის სწრაფი ცვალებადობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოცემული 50 ნეოლოგიზმიდან მხოლოდ 8 არის შეტანილი ვებსტერის ლექსიკონში, ახალი სიტყვებისა და სლენგის სექციაში. აქედან ოთხი კომპიუტერის სფეროსთანაა დაკავშირებული, სამი სოციოლოგიასთან, ერთი კულტურასთან.

კვლევის თანახმად 50 ნეოლოგიზმიდან ოთხი 2012წ. არის შექმნილი, 20- 2000-2011წლებში, 16- 1990-1999წწ. ხოლო 10- 1980-1989წწ. როგორც კვლევიდან ჩანს, 50 ნეოლოგიზმიდან 35 სიტყვა არსებითი სახელია, აქედან 14 შედგენილი, რომელიც ძირითადად ორი ან ხშირად სამი მეტყველების ნაწილისაგან შედგება და უმეტეს შემთხვევაში მისი შემადგენელი მეტყველების ნაწილები, ისევ არსებითი სახელებია, ან არსებითი სახელი და ზმნა, ან ზედსართავი სახელი. ორი არსებითი სახელი შენაზარდის საშუალებით არის ნაწარმოები.

აგრეთვე მიზნად დაისახეთ კვლევა ქართველ მოზარდებში, რათა შეგვეფასებინა ინტერნეტის ქართველი მომხმარებ-

ლის მიერ თანამედროვე ინგლისურენოვანი ლექსიკის ცოდნა, შემოკლებული სიტყვებისა და ერთეულების, ასევე სლენგის გამოყენების სიხშირე. აშკარაა, რომ ამ პროცესის გამომწვევი მიზეზები არა შინაგანი, არამედ გარეგანი ფაქტორები – სოციალური ცვლილებები, ინგლისურ და სხვა ენებზე მოლაპარაკე საზოგადოებაში მიმდინარე ცვლილებებია.

მოცემულია ახალგაზრდული მეტყველების თავისებურებების შესწავლის შედეგები ქართულ სოციალურ-კულტურულ გარემოში. ვაწარმოეთ კვლევა ქართველი ნეტიზენების ანუ კომპიუტერის მომხმარებელთა მეტყველების თავისებურებების გარკვევის მიზნით. ნაშრომში გაანალიზებულია ინტერნეტ სივრცის საშუალებით გავრცელებული ტექსტური მეტყველების თავისებურებები ქართულ სივრცეში, რომელიც ძირითადად ხორციელდება ინგლისურ ენაზე.

ქართულ კიბერსივრცეში განხორციელებული კვლევის თანახმად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართველი ნეტიზენები ინგლისურენოვან ტერმინებს ფართოდ იყენებენ ქართულ ენაზე კომუნიკაციის დროს. მათ იციან რას ნიშნავს მოცემული ფრაზა კონტექსტში, მაგრამ ცალკე აღებული სიტყვა ხშირად გაუგებარი რჩებათ. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გამოკითხულთა სამიზნე ჯგუფის ახალგაზრდებმა დაასახელეს ის გავრცელებული ინგლისური სიტყვები, რომლებსაც თვითონაც ხშირად იყენებენ და საზოგადოებისგანაც ხშირად ესმით. ყველა ზემოთხსენებულმა ტერმინმა უკვე შეიძინა ქართული ენისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. უმეტეს მათგანს ქართველი ახალგაზრდები არსებითი სახელის და სახელზმნის ფორმით იყენებენ მეტყველებაში და წერისას. მაგალითად: ბექგრაუნდი, ივენთი, ფეიბოქსი, პროვაიდერი, ოვერდრაფტი, ესემესაცია, ჰენდაუთი, ბლოგი, ნეთვერქი, ვაიარლესი, ქული, მასტერფისი, სტაფი, ნიუსი, პრეზენსი, პერფომანსი, პრონანსი, ბოდი ლენგვიჯი, ლინკი, ფოლდერი, ინბოქსი, აუთბოქსი, რესტარტი, სეივი, სერჩი, სლაიდი, ზუმი, დესკტოპი, იქსპლორერი, ლოგინი, ნიკნეიმი, ვაით ბორდი, სლაიდ შოუ, ლაითი, ვოლი, ჰელფული, კოჰაბიტაცია, სეილი, სექენდ ჰენდი,

ქომუნითი, ჰაი, იუს, თასქ ბარი, ფორტი, ჰომ ფეიჯი, ოგზითი, ქასთინგი, პრომოუშენი, ბექეოკალი, რეზერჩი და სხვა.

ქართული ფორუმების ენაში ინგლისური ტერმინები ქართული ფონეტიკისა და მორფოლოგიური ყალიბების გათვალისწინებით ფორმდება. ძალიან ბევრ ინგლისურ სიტყვას ქართულ ენაში იყენებენ ძირითადად ზმნის ფუნქციით და ქართული გრამატიკიდან გამომდინარე ურთავენ ხმნისწინებს მაგალითად: დატვიტე, შემოფეისბუდი, დასერჩე, დამისკაიპე, დაგუგლე, ამიაფლოუდე და სხვ.

სწორედ ამიტომ, გადაეწყვიტეთ გეწარმეობინა კვლევა სხვადასხვა მიმართულებით. კვლევა ჩატარდა სამ ეტაპად, სამ ქვეყანაში აშშ, საქართველო და აზერბაიჯანი. კვლევა დაიწყო 2012 წლის იანვარში და რვა კვირის განმავლობაში გაგრძელდა. კვლევაში ნებაყოფლობით მიიღო მონაწილეობა 350 ქართველმა ახალგაზრდამ, 100 აზერბაიჯანელმა სტუდენტმა და 50 ამერიკელმა სტუდენტმა.

პირველ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა აშშ-ს, ნებრასკის შტატის, ნებრასკის უნივერსიტეტის 50 სტუდენტი, ასაკი (20-25 წელი). მათ სოციალური ქსელ Facebook-ის მეშვეობით გავუგზავნეთ კითხვარები და ვთხოვეთ გამოეგზავნათ ის 80 აბრევიატურა/აკრონიმი (გარდა უცენზურო სიტყვებისა), რომელიც მათ გარშემო ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა, გარდა ამისა უნდა გამოეგზავნათ ის სიტყვები, რომლებსაც ყველაზე ხშირად იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს.

მეორე სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა საქართველოს მასშტაბით 16-25 წლის მოსწავლეები და სტუდენტები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველ სტუდენტებსა და მოსწავლეებს სოციალური ქსელის მეშვეობით დაურიგდათ კითხვარი, რომელშიც წარმოდგენილი იყო, ნებრასკის უნივერსიტეტის გამოკითხულთა მიერ წარმოდგენილი პოპულარული აბრევიატურა/აკრონიმები განმარტებების გარეშე. კვლევა წარიმართა შემდეგი მიმართულებებით:

1. იცოდნენ თუ არა მოზარდებმა ინგლისურენოვანი ტერმინების ზუსტი განმარტება;

2. რა სიხშირით იყენებდნენ თვითოეულ მათგანს და კერძოდ რა შემთხვევებში, მაგ: წერისას, საუბრისას, სკაიპში, თუ ზოგადად სოციალურ ქსელში;

3. სამიზნე ჯგუფს უნდა ჩამოეწერა ის ინგლისურენოვანი აბრევიატურა/აკრონიმები, რომლებიც არ იყო წარმოდგენილი კითხვარში და თვითონ ხშირად იყენებდნენ;

4. სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოედგინა ის ინგლისურენოვანი კიბერ ნეოლოგიზმები, რომლებსაც ხშირად იყენებდნენ ქართული ენაზე მეტყველების დროს;

საინტერესოა ის ფაქტი, რომ 350 ქართველი სამიზნე ჯგუფის გამოკითხულიდან არც ერთმა წარმომადგენელმა არ იცის შემდეგი აკრონიმების მნიშვნელობა: **182 - I hate You, 1432 – I Love You Too, DF - Dear Friend;** ყველაზე მაღალი სიხშირით გამოიყენება: **4ever - Forever – 140 (40%); LOL - Lauthing Out Loud/Lots Of Love – 130 (37.14%); FB-Facebook/Buddy – 80 (22.87%),** ხოლო ყველაზე ნაკლებად იყენებენ შემდეგ ტერმინებს: **HMU - Hit Me Up – 2 (0.57), PCM – Please Call Me – 3 (0.85%), Ema - E-mail Address – 5 (1.42%).**

მესამე სამიზნე ჯგუფის წარმოადგენდა აზერბაიჯანის ენათა უნივერსიტეტის, ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობის 100 სტუდენტი (ასაკი 20-25 წელი). მათ ზუსტად იგივე კითხვარი გავუგზავნეთ სოციალური ქსელის მეშვეობით და ზუსტად იგივე მოთხოვნები ჰქონდათ, რაც ქართველ სტუდენტებს.

კვლევამ ცხადყო, რომ ქართველ თინეიჯერებისაგან განსხვავებით, აზერბაიჯანელმა სტუდენტებმა იცოდნენ ოთხმოციეე აბრევიატურისა და აკრონიმის განმარტება, თუმცა 50% -ით ნაკლები იყენებს მათ, ვიდრე საქართველოში. ტერმინების ასეთი მაღალი ცოდნის გამოვლინება გამოწვეული იყო იმით, რომ მათ უშუალო სპეციალობას ინგლისური ენის ცოდნა განაპირობებდა ქართველ მოზარდებისაგან განსხვავებით, სადაც სამიზნე ჯგუფებს სხვადასხვა ასაკისა და საგანმანათლებლო დაწესებულების მოზარდები წარმოადგენდნენ.

ენის კომუნიკაციური ასპექტის შესწავლა და მისი ფუნქციონირება ლინგვოკულტუროლოგიურ წრეში ხდება და არა რეალური სალაპარაკო ენისაგან მოწყვეტით, რაც უფრო და უფრო აქტუალური ხდება დღესდღეობით. კომუნიკაციური ენა მის სიძლიერის გამო ხდება შესწავლის მთავარ და საჭირო ობიექტად. ინტერნეტისა და მობილურის ფართოდ გამოყენებამ ენაში, გამოიწვია ახალი სიტყვებისა და ფრაზების შექმნა და კომუნიკაციის ახალი ფორმის წარმოქმნა. კიბერ -სივრცით კომუნიკაციის დამყარება ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა, სწორედ ამიტომ მიზნად დავისახეთ კიბერ ენა წარმოგვედგინა და შეგვესწავლა, როგორც ინგლისური ენის ქვე-კულტურა, რაც შესანიშნავადაა წარმოდგენილი ნაშრომში.

ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ მაღალი ტექნოლოგიის დაარსების შემდეგ, შეიქმნა მრავალფუნქციონალური ენა, რომელიც ემსახურება ელექტრონულ კომუნიკაციას. სხვა სიტყვებით კიბერ-ენა არის წერითი ენა, მაგრამ იკითხება, როგორც სალაპარაკო ენა. დ.კრისტალი ამ ფენომენის აღსანიშნავად იყენებს ფორმულას: **"Speech + Writing + Electronically Mediated Properties".**

მიზნად დავისახეთ გაგვერკვია სიტყვაწარმოების პროდუქტული სახეების როლი კიბერ-ენის ახალი ლექსიკური ერთეულებით გამდიდრების საქმეში, შეგვეფასებინა თითოეული მათგანის მნიშვნელობა სიტყვაწარმოების პროცესში. მართალია, კიბერ ენის სიტყვაწარმოება თანამედროვე ინგლისური ენის სიტყვაწამოებაზეა დაფუძნებული, თუმცა ინარჩუნებს სპეციფიკურობას და ახალ ლინგვისტურ მახასიათებლებს, რაც უცხოა თანამედროვე ინგლისური სალიტერატურო ენისათვის.

ზემოთ მოცემულ კვლევაში კარგად ჩანს კიბერ ენის განსხვავებული ლინგვისტური მახასიათებლები, კერძოდ ინგლისურ ენაში დამკვიდრებულმა სიტყვებმა, რომელთაც ცალკე ალებულს ლიტერატურული მნიშვნელობა გააჩნიათ, მას შემდეგ რაც კიბერ სივრცეში ამა თუ იმ ახალი ტექნოლოგიის

განშტოების სახელად იქცნენ, მათ მიეცათ პრეფიქსისა და სუფიქსის მნიშვნელობა.

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს 100 ინტერნეტ ნეოლოგიზმი, რომლებიც 2005-2011 წლებშია შექმნილი. აღსანიშნავია, ისიც რომ, 16 კატეგორიდან ზემოთხსენებულ წლებში შექმნილი ნეოლოგიზმები მხოლოდ 11 კატეგორისას მოიცავს. თვითოეულ მათგანს მითითებული აქვს სიტყვის განმარტება, შექმნის თარიღი, პირველადი წყარო, მეტყველების ნაწილი და მათი სიტყვაწარმოების ხერხები.

კვლევის თანახმად 646 ნეოლოგიზმიდან ერთი 1963წ. არის შექმნილი, 6- 1978 -1979წლებში, 29 1981-1989წწ, 206 1990-1999წწ, 269 – 2000-2012წწ., ხოლო 135 სიტყვის შექმნის ზუსტი თარიღი უცნობია. როგორც კვლევიდან ჩანს, 646 ნეოლოგიზმიდან 478 სიტყვა არსებითი სახელია, 26 ზედსართაული სახელი, 28 ზმნა, 43 შენაზარდი, 56 ნამყოს მიმღეობა, 5 აბრევიატურა, 3 აკრონიმი, 2 სლენგი, 2 ფრაზული ზმნა, 1 ჟარგონი და 2 იდიომი.

განსაკუთრებით საყურადღებოა ნაშრომში წარმოდგენილი ჰაკერთა ენის თავისებურებანი. ის ინგლისური ენის ვარიანტია და როგორც ყველა ენას, მასაც ახასიათებს განსაკუთრებული დამწერლობის ნიშნები, სიტყვაწარმოების სხვადასხვა გზები, რომლის არცოდნის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია ტექნოლოგიების ამ ურთულეს სისტემაში გარკვევა და კომპიუტერის ეპოქის ფეხდაფეხ სვლა.

ჰაკერებს აერთიანებთ თავისებური ლექსიკა, სლენგი, რომელსაც იყენებენ, როგორ კომუნიკაციის იარაღს. ჰაკერთა სლენგი გამოირჩევა შემოქმედობითობით. ის უჩვენებს რამდენად განსხვავდება ის ენა, რომელსაც ისინი იყენებენ იმ ენისაგან, რომელსაც იყენებს განათლებული და მაღალი ინტელექტის მქონე ადამიანები. ჰაკერებს ასევე აერთიანებთ ელექტრონული მედია. ისინი კარგად უთავსებენ ერთმანეთს ახალ და ძველ სიტყვებს და სიტყვათა კომბინაციებს.

ჰაკერები ჰაკერთა ენას იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციის დროს. როგორც სხვა დანარჩენ ენებს, მას გააჩნია

თავისი კონსტრუქციები, სტილისტური და ფონეტიკური თავისებურებები. ჩვენი მიზანია შეძლებისდაგვარად მოგაწოდოთ ჰაკერთა ენის თავისებურებები

მიუხედავად ამისა, კიბერ სივრცეს გააჩნია თავისი უნიკალურობა. თუ ზოგადად ენაში ნეოლოგიზმის შექმნას და დამკვიდრებას ათეულობით წელი ჭირდება, კიბერ სივრცეში ათეულობით ნეოლოგიზმი იქმნება დღის განმავლობაში და ყველაზე მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ეს ხდება ჩვეულებრივი ინტერნეტ მოქალაქეების მიერ და მომენტალურად ვრცელდება მთელს კიბერ სამყაროში.

ყოველ წელს ინტერნეტ ონლაინ ლექსიკონში 500-მდე ახალი სიტყვა ფიქსირდება და არ კარგავს პოპულარობას. ჩვენი აზრით, თითოეული შექმნილი აბრევიატურა, აკრონიმი და სხვა შემოკლების შედეგად შექმნილი სიტყვა სწორედ, რომ ინტერნეტ ნეოლოგიზმია. დისერტაციაში წარმოდგენილია კიბერ ენის ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი, რომელიც შესანიშნავად გვიჩვენებს ინტერნეტ ენის ხვაგვალენით შექმნილ სიტყვებს და მის მაწარმოებელ პრეფიქს-სუფიქსებს.

პარარელურად წარმოდგენილია **"Leet"** ენა, რომელიც კიბერ კულტურის ნაწილს წარმოადგენს და რომელსაც ჰაკერები იყენებენ. მას აგრეთვე უწოდებენ **ELEET**-ს ან **LEETSPEAK**-სს. **"Leet"** გრამატიკის საფუძველზე კარგად ჩანს, რომ მისი სიმარტივის მიუხედავად, არცოდნის შემთხვევაში შეუძლებელია გაერკვე იმ უამრავ სიმბოლოსა და კომბინაციაში, რაც მას ახასიათებს. ხშირ შემთხვევაში Leet ენის გამოყენების დროს მომხმარებელი სიტყვების ლოგიკურ ანალიზს უფრო უნდა დაეყრდნოს წინადადებაში, ვიდრე ყურადღება მიაქციოს მათ სტრუქტურას.

ინგლისურად კარგად წერა გრამატიკულად გამართულ მეტყველებას ნიშნავს, მაგრამ Leet ენაზე წერისას, ინგლისური ენის გრამატიკული წესები თითქმის უგულველყოფილია, რადგან Leet ენის მომხმარებელი მეტყველებისას იყენებს „თავის" წესებს.

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისური ენა საოცარი სისწრაფით ვითარდება, გამუდმებით ხორციელდება ახალი ნეოლოგიზმების, წარმონაქმნების ე.წ. **Newspeak, Coined Word** – ების წარმოება. მსგავს წარმონაქმნებს ენა ხშირად ითვისებს და მის შემადგენელ ნაწილად აქცევს, ხოგჯერ კი მთლიანად გადიან ხმარებიდან.

„Yesterday's neologisms like yesterday's jargon are often today's essential vocabulary"- გუშინდელი ნეოლოგიზმი, გუშინდელი ჟარგონის მსგავსად დღევანდელი დღის სიტყვათა მარაგის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს–აღნიშნავს დ. კრისტალი, რაშიც საკუთით ვეთანხმებით.

ნეოლოგიზმების ენის შემადგენელ ნაწილად ქცევა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია აღიარება საზოგადოების მიერ, ლინგვისტ – ექსპერტების მიერ მათი ცნობა და მოგვიანებით ლექსიკონებში მოხვედრა. ეს პროცესი რთულია და ხანგრძლივად ინარჩუნებს აქტუალურობას. ყოველი ახლად შექმნილი სიტყვა იქამდე ითვლება ნეოლოგიზმად, სანამ ლექსიკონში არ დაიმკვიდრებს ადგილს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Adams V. An Introductiom to Modern English Wordformation. London. 1973

2. Adams V. Complex Words in English. Harlow: Pearson/Longman. 2001

3. Aljeo J. Blends a Structural and Systematic View. 1997

4. Aljeo J. Adn A. Among the New Words. 1992

5. Ayto J. The Oxford Dictionary of Slang. OUP. 2003

6. Barnhart C. L. Steinmeitz S. Barnhart R.K. A Dictionary of New English. 1963-1972. London. 1973

7. Bauer. L English Word-Formation. Cambridge, London, New-York. 1983

8. Baum S. V. From „AWOL" to "Weep" The Growth and Specialization of the Acronym: American Speech. XXX. 1995

9. Berg P. Dictionary of New Words. London. 1053

10. Bloomsbury Dictionary of New Words. M.1996

11. Canon G. Blends in English Word-formation. 1986

12. Canon G. Historical Changes and English Wordformation: New Vocabulary Items. N.Y. 1986

13 . Caroll L. Through the Looking Glass. 1994

14. Caroll L. Alice In Wonderland. 1995

15. Chambers English dictionary. 1988

16. Chapman R. L. The New Dictionary of American Slang. Harper Collins. 1996

17. Cristal D. Language and Internet. Cambridge University Press. 2004. 272 p.

18. Freeman D. E., Freeman Y. S. Essential Linguistics: what you need to know to teach reading, ESL, Spelling, Phonics, Grammar. Heineman. Portsmouth, NH, 2004

19. Ginzburg R. S., Khidekel S. S., Knyazeva G. Y., Sankin A. A. A Course in Modern English Lexicology. M. "Vishaya Shkola". 1979. 271 p.

20. Green J. The Slang Thesuarus. London. 1986

21. Hacken Ten Pius Word Formation and Validation of Lexical Resources. 1998

22. Hacken Ten Pius Word Formation in Electronic Dictionaries. 1998

23. Hatch E. Discourse and language Education. Cambridge University Press. 2006. Pp. 209-233

24. Hornby The Advanced Learner's Dictionary of Current English. Lnd. 1974

25. Jackson H. Etinne Ze Amvela. Words, Meaning and Vocabulary. (An introduction to modern Englsh lexicology). London. 2007. 248p

26. Joyce J. Finnegan's Wake. 1939.

27. Kelly M. H. To "Brunch" or to "Brench": Some Aspects of Blend Structure 1998.

28. Kuetemeyer. V. F. Technoogy Today and Tomorrow. USA. Glencoe McGraw-Hill. 2002.

29. Longman Dictionary of New Words. 1986.

30. Marchand H. The Catagories and Types of Present- Day English Word Formation. Munchen. 1969

31. McArthur Building English Words. London. Glasgow. 1972

32. McFedries P. Word Spy: The Word Lover's Guide to Modern Culture. 2003

33. Maurer D. W., High F. C., New Words – Where Do They Come From and Where Do They Go. American Speech. 1982

34. Monson S. Word-building. New-York. 1958

35. Nida E. Morphology: The Discriptive Analysis of Words. Michigan. 1946

36. Orwell G. "Nineteen Eighty-four", 1949.

37. Patridge E. Slang To-day and Yesterday. LTD. 1979.

38. Paxton J. Dictionary of Abbreviations. 1990.

39. Potter S. Changing English. London. 1969.

40. Spears R. A. NTC's Dictionary of American Slang Colloquial Exspressions. 2001

41. Taylor, Partridge Steen Abbreviations, Initialisms and Acronyms Dictionary. 1970

42. Thomas Dictionary of Acronyms and Initialisms 1980.

43. Thurner D. Portmanteau Dictionary: Blend Words in the English Language, Including Trade Marks and Brand Names. 2003

44. Vallins G. N. The Making and Meaning of Words. London. 1949

45. Wardhaugh R. An Introduction to Sociolinguistics. Blackwell Publishing. 2005. pp. 504-566

46. Websters' New Word Dictionary of Computer Terms. 1998

47. Weingarten A. An American Dictionary of Slang 1954

48. ბაკარაძე ე. სადისერტაციო ნამუშევარი თემაზე „ინგლისური ენის ლექსიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები (შემოკლებული ერთეულებისა და ახალგაზრდული სლენგის საფუძველზე). თბილისი. 2009.

49. გამყრელიძე თ., კიკნაძე ზ., შადური ი., შენგელაია ნ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი. თბილისი. 2003. გვ335-394

50. გონაძე გ., ძაგნიძე ძ., შემოკლებული ჩაწერის სისტემა. 1981. გვ.

51. ლოსაბერიძე თ., კოლხიდაშვილი ზ., ლოსაბერიძე გ. ინფორმატიკა, ინგლისურ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი Windows, Microsoft Word, Internet. თბილისი. 2007.

52. მაჩაიძე ნ. დაკვირვებანი ახალ სიტყვათა წარმოებაზე. საენათმეცნიერებო ძიებანი, XII. 2002.

53. ნებიერიძე გ. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი. გამომცემლობა "განათლება". 1991. 217-256.

54. ნოზაძე ლ. მ. ქართული ენის ლექსიკოლოგიის პრობლემები. თბილისი. 2008

55. ფოჩხუა ბ. ქართული ენის ლექსიკოლოგა. თბილისი. 1974. 402 გვ

56. ხვედელიძე ც. ლინგვისტური პრაგმატიკა. 2005.

57. ჯანოვა გ. კომპიუტერის მომხმარებელთა კომუნიკაცია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია სსიპ ახალციხის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი 2011

58. ჯანოვა გ. ჰაკერთა ენის თავისებურებები. „გულანი" ახალციხის უნივერსიტეტი. 2013

59. ჯავახიშვილი ი. ქართული ენის ისტორია. 1951

60. Алексеев Д. И. Стилистические особенности буквенных аббрсвиатур и слово-сокращенных слов. 1962.

61. Арнольд И. В. The English Word. Москва: Высщая Школа, 1973 г. 302с.

62. Борисов В. В. Аббревиациа и акронимиа. Военние и научно-технические сокращение в иностранных язиках. М. Воепизад. 1972.

63. Бортничук Э.Н., Василунко И В. , Пастушенко. Л. П Словоовразование в Современном Английском Язйке 1988

64. Виноградов В. В. Лексикология и Лексикография М Извранние Труди. 1977

65. Виноградов В. В. Вопросы современного руского словообразования. 1959.

66. Элднишев А. Н. Строение и Мотивирование Сокращеннйх Слов Автореферат 1985

67. Левковская К. Лексикология Немецкого язика. 1956.

68. Щанский Н. М. Очерки по Русскому Словоовразованию. 1968

69.Улуханов И С Смысл и значение в словообразовании 1992

70. Харитончик В. А. Лексикология Анклийского язика. №4 1992.

71. Хидекепь С. С ., Гинсбург Г. Ю ., Князева А. А., Санкин А .А . Readings in Modern English Lexicology. Ленинград "Просвещение" Ленинградское Отделение. 1975. 237р.

72. http://press.tsu.ge -უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

73. http://netlingo.com -უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

74. http://language@interent.com-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

75. http://all-acronyms.com-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

76. http:// wordspy.com-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

77. http://en.wikipedia.org/wiki/Cybercultre -უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

78. http://neologisms.rice.edu-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

79. http://acronyms.thefreedictionary.com-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

80. http://en.wikipedia.org/wiki/List of classical abbreviations-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

81. http://en.wikipedia.org./wiki/Internet-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

82. http://merriam-webster.com-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

83. http://wordsmith.org/awad/ უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

84. http://medgeo.net/tag/KIBERKULTURA უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

85. http://en.wikipedia.org/wiki/Leet-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

86. http://thinkzone.wlonk.com/WordFun/PortWords.htm-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

87. http://www.answers.com/topic/acronym-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

88. http://a4esl.org/q/h/nr/abbr-dictionary.html.-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

89. http://en.wikipedia.org/wiki/Internet-უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.01.2018

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . 3
English Neologisms In The Cyber World, Their Stability and Influence On Georgian Language . 8
შესავალი 11
ლიტერატურის მიმოხილვა . 21

თავი I
ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების სიტყვაწარმოების საშუალებები თანამედროვე ინგლისურ ენაში 28

შემოკლება . 39
გრაფიკული შემოკლება და აბრევიატურების განვითარების ეტაპები . . 47
ლექსიკალიზებული შემოკლება და მისი ორთოგრაფია 51
აბრევიაცია. 52
აკრონიმია 63
შეზრდა . . . 68

თავი II
ნეოლოგიზმების განკითარების მოკლე ისტორია და მათი აღიარება კულტურაში 73

ნეოლოგიზმების გამოყენების სფეროები. 76
კიბერ ნეოლოგიზმების სიტყვაწარმოების აქტიურობა ინტერნეტ სივრცეში 86

თავი III
კიბერ ენა ანუ ინტერნეტ ენა, როგორც ენის ძვე-კულტურა 110

კიბერ ენის ზოგიერთი ლინგვისტური მახასიათებელი 120
კიბერ სამყარო და ჰაკერთა ენის თავისებურებები 126
"Leet" ენის გრამატიკა 133

თავი IV
სლენგის შენიშვნები ძართულ მეტყველებაში 138

კიბერ სივრცე და ქართველი „ნეტიზენების" კომუნიკაცია . . . 145

ქართულ ენაში ინგლისურენოვანი ნეოლოგიზმების დამკვიდრების სიტყვაწარმოების გზების გამოვლენა 158

დასკვნა 164
გამოყენებული ლიტერატურა 173

ცხრილების ნუსხა

1. ცხრილი 1. 78
2. ცხრილი 2. 88
3. ცხრილი 3. 105
4. კითხვარი 1. 149

ნახაზების ნუსხა

1. დიაგრამა 1. 83
2. დიაგრამა 2. 87
3. დიაგრამა 3. 103
4. დიაგრამა 4. 154
5. დიაგრამა 5. 156

საგამომცემლო ჯგუფი: *ლარისა გურგენიძე*
ლია ზედგინიძე

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №113
ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78
ელ. ფოსტა: **contact@sjuni.edu.ge**